სიმონ გოგიტიძე

აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ტბელ აბუსერისძის სახელობის ბათუმის სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტი

სიმონ ფოფიტიძე

აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის

გამომცემლობა
„ბათუმის უნივერსიტეტი“
2002

ნაშრომი ეძღვნება აჭარის ძველი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის კერძოდ, აქ მოსახლე ტომის ვინაობის, ეთნიკური კუთვნილებისა და თვით სახელწოდება „აჭარა“-ს ეტიმოლოგიის შესწავლას. მონოგრაფიაში გაანალიზებულია ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ყველა წერილობითი ძეგლი; გათვალისწინებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შესედულებები. დასმულია საკითხი, იმის შესახებ, რომ თუ შედიოდა აჭარა ჭანთა, ლაზთა და სხვა ტომთა განსახლების არეალში. ასევე სატომო სახელწოდებების – უიტერუხის, ბიძერისა და ძიდრიტის ურთიერთმიმართებანი და მათი კავშირი ტერმინ აჭარასთან. აქვეა აჭარის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ტოპონიმების, ჰიდრონიმებისა და ორონიმების სემანტიკის გარკვევის ცდა, რომელიც საფუძველი უნდა იყოს აჭარელთა წინაპრების (ვი-ძარ-ები// ჭარ-ები) ეთნიკური წარმომავლობის სურათის აღდგენისათვის.

რედაქტორი – ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფ. *ამირან კახიძე*

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. კანდიდატი *ემზარ კახიძე*
ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი *ნუგზარ ცეცსლაძე.*

სპონსორი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
25-ე ბრიგადის მეთაური ვენერალ-მაიორი
რომან დუმბაძე

კომპიუტერული მომსახურეობა: *რამაზ ქოქოლაძე* ,
ნონა ცაბაძე

ISBN 99928-48-92-8
გამომცემლობა „ბათუმი უნივერსიტეტი“

შესავალი

აჭარის უძველესი ისტორიის შესწავლას წერილობითი წყაროების მიხედვით მას შემდეგ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება, როცა დაისვა საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მათ შორის აჭარის ისტორიის ნარკვევების მრავატომეულის შექმნისა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აჭარის მოსახლეობის ეთნოგენეზის პრობლემის წინა პლანზე წამოწევას. კერძოდ, აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის, მისი ეთნიკური კუთვნილების, სახელწოდება „აჭარა"-ს წარმომავლობისა და ზოგიერთი სხვა საკითხების გარკვევა-დაზუსტებას.

აჭარის ეტიმოლოგიაზე მსჯელობა ადრეც იყო, მაგრამ მკვლევარები ამ შემთხვევაში ზოგადი მსჯელობებით შემოიფარგლებოდნენ. რაც შეეხება აქ მოსახლე ტომის ვინაობისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხს, იგი სპეციალურად არაეის შეუსწავლია. აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა 1990 წლიდან, ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მისვლისთანავე დავიწყეთ.

ამ მიმართულებით მუშაობისას ბევრი წინააღმდეგობა შეგვხვდა. პირველ რიგში დავამუშავეთ ყველა წყარო (ქართული, ხეთურ-ლუვიური, ასურული, ურარტული, ძველი სპარსული, ბერძნული, რომაული, სომხური, ბიზანტიური, არაბული და ა.შ.). პარალელურად ვეცნობოდით ამ საკითხთან დაკავშირებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ შეხედულებებს. ისტორიულ წყაროთა ურთიერთშეჯერების, არქეოლოგიურ მონაცემებისა და სახელწოდებათა (ტოპონიმები, ორონიმები, ჰიდრონიმები) ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ აჭარის უძველესი ისტორიის რამდენიმე საკვანძო საკითხის დამუშავება.

აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის

აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობისა და ეთნიკური კუთვნილების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს. საკითხი სპეციალურად არაეის შეუსწავლია. სახეზე გვაქვს მხოლოდ მითითებები, რომლებიც მეტწილად საისტორიო წყაროების მონაცემებისა და ანალიზის გვერდის ავლითაა გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომისა თუ ტომთა ვინაობის გარკვევას ცდილობს ერთი რიგი წყაროს ცნობების მომარჯვების საფუძველზე.

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ბიძერებისა და ძიდრიტების ერთიანობას, ამ სატომო სახელწოდებებში „ძერ"-„ძარ" (ე.ი. „ჭერ"-„ჭარ") ფუძის გამოყოფასა და მათ კავშირს ტოპონიმ „აჭარასთან". ამასთანავე, რადგან წყაროთა ნაწილი აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებად სწორედ მათ ასახელებენ, ამიტომ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შესედულებები-ბიძერებისა და ძიდრიტების შესახებაც.

მეცნიერთა ერთი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი, პ. ინგოროყვა) მიიჩნევდა, რომ აჭარის მოსახლეობა ეთნიკურად მესხური წარმოშობისაა და იგივე იბერ-ქართები არიან.[1] ლ. ისარლოვი აღნიშნავდა, რომ აჭარლები მოსხურ-მოსინიკურ ჯგუფს ეკუთვნიან.[2] ი. ლისოვსკისა და ნ. ვასილევსკის გადმოცემით, ისინი გურულებისა და მეგრელების მონათესავენი არიან.[3]

---

[1] მასალები თავმოყრილია წიგნში: შ. ეარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1974, გვ. 22.

[2] Л. С. Исарлов. Письма о Грузии, Тиф., 1899, с. 246.

[3] Н. А. Василевский. От Ахалциха через Годерский перевал, до г. Батума, 1878 г., с. 292; В. Я. Лисовский. Чорохский край (военно-статистический очерк), вып.,II, Тиф., 1887, с. 28.

ა. ხახანაშვილის ვარაუდით, რომაელთა საქართველოში ბატონობის ეპოქაში მდ. ჭოროხის ორივე მხარეს ლაზები მოსახლეობდნენ, ჭანეთის საზღვრამდე.[4]

ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე ჭოროხის აუზის მკვიდრებად ზოგადად ქართველებს (ქართებს, ზანებს) მიუთითებდა. მისი ნაშრომის ქართულად მთარგმნელი ი. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ ჟან მურიე სავსებით სწორად ასახელებს ჭოროხის აუზის მკვიდრ-უძველეს მოსახლეობას.[5]

ჯ. კიბერტის მიერ შედგენილ (1906 წ.) რუქაზე წარწერა ლაზი ჭოროხის ქვემო წელის ჩრდილოეთს, დღევანდელი აჭარის ტერიტორიასაც მოიცავს. მ. ჯანაშვილი, როგორც ჩანს, იზიარებს ასეთ შეხედულებას, რადგან მის წიგნზე დართულ ამ რუქას არავითარ კომენტარს არ უკეთებს.[6]

ნ. მარი აღნიშნავდა, რომ მონათესავე ტომებს მეგრელებსა და ჭანებს შორის შეჭრილია ქართული ტომები გურულების, ქობულეთლების და აჭარლების სახით: „Грузинское же влиание связано с иммиграциею Грузин, точнее картов, начало которой положено лиш в конец VIII века по Р. Хр.“[7] ნ. მარის ეს მცდარი დებულება შემდგომში მრავალმა მკელევარმა გაიმეორა. ავღნიშნავთ, რომ მისი დასაბუთებისათვის თავი არავის შეუწუსებია. სხვა ნაშრომში მეცნიერი მიუთითებდა, რომ აჭარა ჭანების სატომო სახელიდან მომდინარეობს, აჭარა ნიშნავს ჭანების ქვეყანას, ისევე როგორც ჭანიეთი და სოფ. აჭი-ჭანეთის სოფელს, აჭის წყალი-ჭანების მდინარეს.[8]

---

[4] А. Хаханов. Древнейшие пределы разселения грузин по Малой Азии, Тиф., 1891, с. 15.

[5] ჟან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი, ფრანგულიდან თარგმნა ი. ლორთქიფანიძემ, ბათ., 1962, გვ. 6.

[6] მ. ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906, ტაბ. IV.

[7] Н. Я. Марр.Чанского (Лазсекого) языка, С-П., 1910, с. XV.

[8] Н. Я. Марр. О языке и истории абхазов, М-Л., 1938, с. 80-81.

ლ. მელიქსეთ-ბეგი წერდა, რომ „Под Лазикой в тесном смысле слова известен бассеин р.Чороха (Чороха-Фазиса), т. е. Нине Чания (Лазистан) и Аджария (Аджаристан).“[9]

ა. ჩიქობავას აზრით, ახ. წ. I-II საუკუნეში „ჭანური“ უშუალოდ მისდევდა „მეგრულს,“ წარმოადგენდა მის გაგრძელებას. შემდეგ, ეტყობა ერთ-ერთი ქართველ ტომთაგან შემოჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო „დაპყრობილი ადგილების“ მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ.[10]

ვ. ჭანტურია წერს, რომ პლინიუსი „თანამედროვე გონიოს ადგილზე“ უჩვენებს ქართულ ტომებს -პენიოხებს, სანებს და მაკრონებს.[11]

ს. კაკაბაძე შენიშნავდა, რომ მდინარეების ჭოროსსა და რიონს შორის მოთავსებული ტერიტორია ლაზებს ეჭირათ. მათ სამხრეთით მდებარე ზღვის სანაპირო ზოლში ჭანები მოსახლეობდნენ.[12]

ს. ჯანაშიას გამოკვლევით, აჭარის ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი-ქობულეთამდე არიანეს მიერ მოხსენიებულ ტომს ძიდრიტებს ეკავათ.[13]

ნ. ბერძენიშვილის აზრით, აჭარა ეთნიკურ სახელს არ ატარებს. აჭარლები „მეგრელები თუ არა, ზანები მაინც იყვნენ.“ თუმცა ქვემოთ მეცნიერი გვეუბნება, რომ პეტრას სამხრეთი ქვეყანა ლაზური არაა. პეტრა-რიზეს შორის სანები, მაკრონები, ენიოხები და დვრიტები

---

[9] Л. Меликсет-беков. Введение в историю государственных образований Юго-Кавказа, Тиф., 1924, с. 73.

[10] ა. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტებითურთ, თბ., 1936, გვ. 3-9.

[11] В. Чантурия. Просвещение в Аджарии, Батуми, 1956, с. 7.

[12] ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, I, იბერია.-„საისტორიო მოამბე“, წ. I, ტფ., 1924, გვ. 39.

[13] ს. ჯანაშია. შრომები, ტ. 3, თბ., 1959, გვ. 23.

მოსახლეობდნენ. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ბათუმის ქვეყანაში“ ზვიდრიტები ბინადრობდნენ.[14]

პ. ინგოროყვას ვარაუდით აჭარის მოსახლეობა მესხური წარმოშობისაა, თვით სახელწოდება აჭარა კი საკომო სახელ „ჭანებთან“ უნდა იყოს დაკავშირებული. მკვლევარს სხვა ადგილას აღნიშნული აქვს, რომ XII-XVI საუკუნეებში მესხეთის მხარეთა მოსახლეობა განიყოფოდა ხუთ საკომო ერთეულად (თორელნი, საკუთრივ მესხნი, შავშნი, კლარჯნი, ტაოელნი). თურმე აჭარლები შავშეთის ტომის სათემო ერთეული ყოფილა.[15] ეს დებულებები რა თქმა უნდა ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული.

ს. მაკალათია აღნიშნავდა, რომ ლაზ-მეგრელთა ტომს ეჭირა ლაზიკის ცენტრალური ტერიტორია რიონ-ჭოროსის ხეობა მათი შენაკადებით. პტოლემაიოსის ცნობის მისედვით, ზღვისპირი და ჭოროხის ხეობა ლაზურ მოსახლეობას ეკავა. ზეგანი და რიონის ხეობა კი მეგრელებს.[16]

დ. სასუტაიშვილის გამოკვლევით, სტრაბონის დროს სკვიდისისა და პარიადრის მწვერვალები ჰეპტაკომეტებით, მოსინიკებით და ბიძერებით ყოფილა დასახლებული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეცნიერმა ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა ბიძერებისა და ძიდრიტების იგივეობაზე. სხვა ადგილას აღნიშნავდა, რომ ზიდრიტების სახელს დაფარული ჰქონია ბიზერების სახელი, რომელიც ამ ტომის ერთ-ერთი თემი უნდა ყოფილიყო.[17] მოგვიანებით

---

[14] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის სკითხები, თბ., 1990, გვ. 148, 365, 484, 485, 491.

[15] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 138-139, 538-539.

[16] ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, ფირმა „უფლისცხენ“, 1992, გვ. 32.

[17] დ. სახუტაიშვილი. შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით, ძვ. წ. VI-ახ. IV სს. საკანდიდატო დისერტაცია, 1954, გვ. 39, 44, 57.

დ. ხახუტაიშვილმა ძიდრიტების ლოკალიზაცია აჭარისწყლის ხეობაში მოახდინა.[18]

გ. მელიქიშვილის აზრით, ზიდრიტები კლარჯეთის ოლქში („არსიანიდან ზღვამდე") თავსდება. მათი ტერიტორია რამდენიმე ათეული კილომეტრი ერცელდებოდა ზღვის სანაპიროზე მდ. აფსარუნტამდე. აქ სხვადასხვა მეგრულ-ჭანური ტომები მოსახლეობდნენ.[19] ნაშრომის სხვა ადგილას ნათქვამია: ძიდრიტები ჭანური ტომია. ლაზები და ძიდრიტები მოვიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან. ლაზებმა გამოდევნეს ეგრები (მეგრელები) შიდა რაიონებში.[20] გ. მელიქიშვილი თავის ნაშრომებში თანდართულ რუქებზე აჭარისწყლის ხეობასა და ათინა-აფსარუნტს შორის მდებარე ტერიტორიაზე ბიძერებს ათავსებს.[21]

ი. სიხარულიძის ვარაუდით, გონია-ციხისძირის სექტორში ჰენიოხები მოსახლეობდნენ. პეტრა-ციხისძირის ჩრდილოეთით ლაზები ცხოვრობდნენ, ხოლო ამათ სამხრეთით უკვე ამპრევეტები, რომელთა ჩრდილო საზღვარი ციხისძირის სამხრეთით და ჩაქვის ჩრდილოეთითაა საძიებელი, ხოლო სამხრეთი-მწვანე კონცხის მახლობლად. ამ ნიშნით თითქოს ნათელია სადამდე ვრცელდებოდნენ ჰენიოხები ჩრდილოეთით.[22] ი. სიხარულიძის აზრით, ბიძერები და ძიდრიტები, რომლებიც მოსახლეობდნენ ისტორიული აჭარის გარკვეულ მონაკვეთზე ჩრდილოკავკასიურ ტომთა ოჯახს განეკუთვნებიან.[23]

---

[18] დ. ხახუტაიშვილი. ფურცლები აჭარის წარსულიდან, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1990, 24 თებერვალი.

[19] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 136, 354.

[20] იქვე, გვ. 365-366.

[21] იქვე, თანდართული რუკები; სინ, ტ. 1, თბ., 1970, თანდარული რუკები.

[22] ი. სიხარულიძე. გონია, ჟურნ. „ჭოროხი", 1980, №5, გვ. 86.

[23] ი. სიხარულიძე. სამხრეთ_დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ. 1, ბათ., 1959, გვ. 34-35.

ოთ. ახელედიანი თავის გამოკვლევაში აჭარის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლის საფუძველზე აკეთებს დასკვნას-აჭარლები მესხები არ არიან, ისინი ცალკე
აბორიგენული ჯგუფია. სახელწოდება აჭარის წარმომავლობა ქართულ-იბერიული ენის უძველეს ფენაშია საძიებელი.[24]

ნ. კეჭაყმაძის აზრით, არიანეს ძიდრიტები არტანუჯის ჩრდილოეთით ბინადრობენ. სხვა აღგილას აღნიშნული აქვს: ძიდრიტები ცხოვრობდნენ დაახლოებით პრიტანიდიდან აფსაროსამდე. მდინარე არქაბისი მათ სამკვიდრებელშია.[25] საკუთარ სახელთა საძიებელში მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბათისი (ახლანდელი ყოროლისწყალი) მდინარეა ლაზების ქვეყანაში. ამავე ქვეყანაში მოედინება მდ. აკინასე (ახლ. კინტრიში).[26] პლინიუსის ამპრევეტების შესახებ ამბობს: ტომია სამხრეთ კოლხეთში ჰენიოხებსა და ლაზებს შორის.[27]

ნ. ხოშტარიას გადმოცემით, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს სამხრეთი ნაწილი, ქობულეთის რაიონი ახ. წ. პირველ საუკუნეებში ჰენიოხების ტომებით იყო დასახლებული.[28] ჰენიოხების ასეთი ლოკალიზაციით არ კმაყოფილდება მკვლევარი და განაგრძობს: „ჰენიოხები ანტიკური ავტორების ცნობებით, განსახლებული იყვნენ თითქმის მთელ თანამედროვე საქართველოს ზღვის სანაპიროზე და აგრეთვე მის საზღვრებს გარეთაც ჩრდილოეთითა და სამხრეთით.“[29]

---

[24] O. Ахвледиани. К Антропологии коренного населения Аджарской АССР, Батуми, 1957, с. 14-15.

[25] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 23, სქ. 57; 103 საძიებელი „არტანუჯი“; 104 საძიებელი „ძიდრიტები“.

[26] იქვე, გვ. 101, 105.

[27] იქვე, გვ. 102, საძიებელი „ამპრევეტები“.

[28] ნ. ხოშტარია. ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 27, 43.

[29] იქვე, გვ. 36.

ჯ. ნოღაიდელის მიხედვით, აჭარის ტერიტორიაზე ოდესღაც „ჭან-მეგრელები სახლებულან.“[30]

თ. მიქელაძის აზრით, ჭოროხის ხეობა სათავეებიდან შესართავამდე ხალიბებს ეკავათ. მათ სამხრეთიდან არმენია ესაზღვრებოდა, აღმოსაელეთიდან ტაოხების ქვეყანა, დასაელეთიდან სკვითინების ქვეყანა.[31] მეცნიერი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა ქსენოფონტეს ცნობებს. მანვე „ანაბასისის“ გამოცემისას აღნიშნა, რომ აჭარაში ოდითგანვე ჭანური ტომები ცხოვრობდნენ.[32] თავის მესამე გამოკვლევაში მეცნიერი წერს, რომ პროკოპი კესარიელის მიერ ოკენიტის ჭანების ქვეყანაში დასახელებულია სოფ. კენა, რომელსაც არიანეს მიერ აჭარის ტერიტორიაზე დასახელებულ მდინარე კინასთან კავშირი უნდა ჰქონდეს. კინასი||აკინასი დასახლებული იყო ჭანებით და შესაძლებელია იგი ოკენიტში შედიოდა.[33]

მ. ინაძე იზიარებს პ. უშაკოვის შეხედულებას, რომ ღიაუხების, ბიცერუხებისა და კოლხების ჩრდილოეთით ჰენიოხები მოსახლეობდნენ, ე.ი. დაახლოებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.[34]

სტრაბონის „გეოგრაფიის“ რუსულ ენაზე გამომცემლები თვლიან, რომ ჭოროხის შესართავის სამხრეთით ბიძერები,

---

[30] ჯ. ნოღაიდელი. გეოგრაფიულ სახელთა მედგენილობისათვის აჭარულში, ბსკი-ის მესამე სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, ბათ., 1964, გვ. 11.

[31] ო. მიქელაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მელითონე ტომების ლოკალიზაციისათვის, მაცნე, სმაო, თბ., 1966. №3, გვ. 134.

[32] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 119, კომენტარი 10.

[33] თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 130.

[34] მ. ინაძე. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები).- მსკი, ნაკე. 32, თბ., 1955, გვ. 14.

ხოლო ჩრდილოეთით კოლხები მოსახლეობდნენ.[35] შენიშ-ვნებში კი მითითებულია, რომ ბიძერები-ბარბაროსული ტომია პონტოს კაპადოკიაში.[36]

სტრაბონის „გეოგრაფიის" ფრანგი მთარგმნელი ფრანსუა ლასერი (1975), ჭოროხის შესართავის ორივე მხარეს კოლხებით დასახლებულად მიიჩნევს. აჭარის ტერიტორიას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ოლქი სორძენე და მთა სკიდისი, ხოლო ჩრდილოეთიდან ოლქი მოსხიკა და მოსხიკის მთა შემოსაზღერავს.[37]

საქართველოს ატლასში აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომად წარმოდგენილია ბიძერები. ოღონდ მათ უჭირავთ აჭარის ტერიტორია ზღვისპირა ზოლის გამოკლებით და ისინი ოძრხემდე ვრცელდებიან. ასეთი მდგომარეობაა ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში. მომდევნო ეპოქაში (ახ. წ. I-IV სს.) ვითარება იცვლება. აჭარის მიწა-წყლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ძიდრიტებს უჭირავთ.[38] მსგავსი რუკებია მოთავსებული ქართული ენციკლოპედიის დამატებით ნომერში.[39]

ნ. ლომოურის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის მცხოვრებნი ლაზები არიან. მათი განსახლების არე დაახლოებით ჭოროხის შესართავის სექტორამდე წვდება. აფსაროსის ციხე ჭანების საზღვრებშია.[40] მეცნიერი სხვა ნაშრომში წერს, რომ ჭოროხის შესართავის სექტორში ძიდრიტები იყვნენ. ანტიკური ლაზეთი ლაზისტანს ძლიერ დაშორებულია,

---

[35] Страбон. География, в 17 книгах, перевод, статья и коментарии Г. А. Стратановского, რუკა 8, 9.

[36] იქვე, გვ. 854.

[37] Дж. Гамахария. Б. Гогия. Абхазия - историческая область Грузии., ТБ., 1997, с. 817.

[38] საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, გვ. 245, 246.

[39] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, დამატებითი ნომერი, გვ. 50, 53.

[40] ნ. ლომოური. საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში. - სქაუქტ. თბ., 1993, გვ. 78.

ლაზები სადღაც ჭოროხის ჩრდილოეთით მოსახლეობენ.[41] ნ. ლომოური მესამე ნაშრომში სათანადო არგუმენტის მოშველიების საფუძველზე, ცდილობს დაამტკიცოს, რომ აჭარის ტერიტორიაზე ძიდრიტები მოსახლეობდნენ.[42] რუსულად გამოცემულ წიგნში კი საბოლოოდ, ჩვენი აზრით, სწორად ასკვნის: ზიდრიტებს ეჭირა დაახლ. თან. აჭარის ასსრ ტერიტორია. მათ შემდეგ მდ. რიონის ორივე მხარეს ლაზები მოსახლეობდნენ.[43] ამ ბოლო დროს გამოცემულ წიგნში ნ. ლომოური ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე საერთოდ გამორიცხავს ჰენიოხების მოსახლეობას. იქვე მიუთითებს, რომ დაუსაბუთებელია ჰენიოხების ქართველური, მეგრულ-ჭანური თუ სვანური წარმომავლობის მოდგმად გამოცხადება.[44]

მ. ინალიფა აღნიშნავს, რომ II ს. 30-იან წლებში არიანე ტრაპეზუნტიდან სოხუმამდე ექვს ტომს ასახელებს: მახელონებს, ჰენიოხებს, ზიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს და სანიგებს.[45] მაგრამ ამათგან თუ რომელი ტომი მოსახლეობდა აჭარის ტერიტორიაზე არაფერს ამბობს. ქვევით შენიშნავს, რომ ადიღეური ელემენტები სშირია დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში, მათ შორის აჭარაში: ქალაქი და მდინარე აფსარი, აკამფსისი, სუფსა, აჭყვა, ჩაქვი, ბობოყვათი.[46]

ა. იოსელიანი ნაწილობრივ იზიარებს ნ. ხოშტარიას აზრს, იმის შესახებ, რომ ციხისძირიც ჰენიოხებს ეკუთვნოდათ, მაშინ, შენიშნავს ისტორიკოსი ხუცუბანი და მისი მიდამოებიც ჰენიოხებით დასახლებული უნდა

---

[41] ნ. ლომოური. ლაზების სახელწოდების საკითხისათვის. - მაცნე, სმაო, №5, თბ., 1964, გვ. 72.

[42] ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 9-10.

[43] Н. Ю. Ломоури. Грузино-Римские взаимоотношения, часть I, Тб., 1981, с. 221.

[44] ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნო-კულტურული ისტორიიდან, თბ., 1998, თბ., გვ. 20.

[45] Ш. Д. Инал-ипа. Абхазы, издательство „Алашара", 1965, с. 93.

[46] იქვე, გვ. 97, 98 სქოლიო.

ყოფილიყო. თუმცა მიუთითებს იგი, ს. ჯანაშია ქობულეთის სამხრეთ ნაწილში ზიდრიტებს ათავსებდა.[47] ქვემოთ აღნიშნული აქვს, რომ ახ. წ. I საუკუნეში ჭოროსის შესართავთან მარჯვნივ შედარებით უფრო კომპაქტურად ლაზები მოსახლეობდნენ.[48]

რ. ბაქრაძის აზრით, მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი რაიონიდან კერასუნტამდე კოლხებს ეჭირათ.[49]

მ. აბდუშელიშვილი სამართლიანად განმარტავს, რომ არიანეს ლაზები რიონის მიდამოებში მოსახლეობდნენ. ეს ტერიტორია კი საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული იმ მხარეს, რომელიც მოგვიანო ხანაში ლაზისტანის სახელითაა ცნობილი.[50]

მ. ვანლიშის გადმოცემით, ელინისტურ ხანაში ჭან-ლაზებს და მათ მონათესავე მეგრელებს შავი ზღვის სანაპიროს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, ტრაპიზონიდან დაწყებული აბაზგიამდე ეჭირათ. ჭან-ლაზებს მთელი ჭოროხის ხეობაც ეკავათ.[51] ნ. ნიჟარაძისა და ნ. ჯიბუტის აზრით, უძველეს დროში აჭარის ტერიტორია დასახლებული იყო სხვადასხვა ქართველური ტომებით. ჯერ კიდევ არაა დაზუსტებული, თუ რომელი ტომები ფლობდნენ აჭარის მიწა-წყალს. გარკვეულია, მხოლოდ, რომ ისინი ეკუთვნოდნენ დასავლურ-ქართულ განშტოებას და კოლხური წარმომავლობისანი იყვნენ.[52]

ქ. ჩხატარაიშვილი იმოწმებს ვ. ბერიძეს და ამბობს: თეთროსნის ეკლესია მდებარეობდა ჭანეთში, კინტრიშის

---

[47] ა. იოსელიანი. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 44.

[48] იქვე, გვ. 78.

[49] რ. ბაქრაძე. საბჭოთა სარფი, ბათუმი, 1971, გვ. 13-14.

[50] მ. აბდუშელიშვილი და სხვები. მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის, თბ., 1968, გვ. 13.

[51] მ. ვანლიში. ჩემი ლაზეთი. - იყო და მარად იქნება, შეადგინა მ. ვარშანიძემ, ბათ., 1978, გვ. 235.

[52] Н. Нижарадзе. Н. Джибути. Аджария, Батуми, 1978, с. 82.

ხეობის სოფელ ღვარაში.[53] ლ. ფრუიძის აზრით, ტერმინები აჭარა და ჭანი მონათესავე ტერმინებია. სახელწოდება აჭარის არსებობა მხოლოდ ჭანების განსახლების არეალით აისსნება.[54]

გ. გამყრელიძე იმოწმებს პლინიუსსა და არიანეს და ვარაუდობს, რომ ფაზისის და ქობულეთ-ფიჭვნარის „ქალაქ-ქვეყნებში" ძირითადი მოსახლეობა ჭანური, ლაზურ-მეგრული იყო.[55]

თ. მიბჩუანის აზრით, დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე ძვ. წ. III საუკუნემდე სვანები მოსახლეობდნენ. ნაშრომის სხვა ადგილას კი აღნიშნულია მდ. ჭოროხის მიდამოებიდან სოჭამდე მოსახლეობდნენ სვანური ტომები-ჰენიოხები. კოლხეთის სამეფოს შექმნის (ძვ. წ. VI ს.) შედეგად შუაზე გაიხლიჩნენ.[56]

მ. ვარშანიძის ვარაუდით, აჭარლები მოსხური მოდგმისანი არიან ძარიტების სახელით. ძიდრიტი ძარიტის შერყვნილი ფორმაა და აჭარლების ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოდგენენ. ძიდრიტები სუფსამდე ბინადრობდნენ.[57]

გ. ლორთქიფანიძის აზრით, აფსარიდან დიოსკურიამდე საკუთრივ კოლხები მოსახლეობდნენ.[58]

თურქეთში მცხოვრები ვიღაც აჭარლების(?) თქმით, საქართველოში სხვა ტომებთან ერთად მოსახლეობდნენ აკრიუგები (ეკერები), რომლებიც აჭარლების წინაპრები

---

[53] ქ. ჩხატარაიშვილი. თეთროსანი და თეთროსანის დავითნი.- მის, 1982, №4, გვ. 104, სქ. 11, 108.

[54] ლ. ფრუიძე. ტერმინები „ლეჩხუმი" და „ლეჩხუმელი", „რაჭა", „რაჭველი." - სქაუქტ, გვ. 499.

[55] გ. გამყრელიძე. აბო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, მის, 1985, №3, გვ. 95.

[56] თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენიზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 64, 367.

[57] მ. ვარშანიძე. აჭარა უძველესი სანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათუმი, 1990, გვ. 48.

[58] მ. ლორთქიფანიძე. აფსაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 6.

ყოფილან. აქვეა მითითებული, რომ ეკერების წინაპარი ეგ(ე)როსია და ისინი დასახლებული იყვნენ აჩარ-აკარში (აჭარაში).[59]

ა. ელოვანის აზრით, აპოლონიოს როდოსელის მიერ მოხსენიებულ ხალიბთა „უსაზღვრო მიწა-წყალი" ტრაპეზუნტ-ჭოროხს და მათ შორის აჭარასაც მიოცავდა.[60]

გ. და გ. ყურგენაძეების გამოკვლევით, ლაზებს სამხრეთით ესაზღვრებოდა „თავისუფალი ხალხი" და საზღვარი მათ შორის გადიოდა მდ. ნატანების მარჯვენა სანაპიროზე, მდინარეების სუფსასა და ნატანებს შორის მდებარე მთიანეთის წყალგამყოფ ხაზზე. „თავისუფალ ხალხში" შედიან ძიდრიტები, რომელთა ტერიტორია ჭოროხის ჩრდილოეთით აჭარასაც მოიცავდა. ამ ტომის ტერიტორია ჭოროხის სამხრეთითაც ვრცელდებოდა.[61]

ნ. მგელაძის აზრით, აჭარა ანტიკურ ხანაში კოლხური ანუ ზანური (მეგრულ-ჭანური) წარმომაელობის ეთნოგრაფიული ჯგუფით იყო დასახლებული, შესაძლებელია მათ ჯვერდით თანაარსებობდნენ ქართის ტომის წარმომაელები. მათ სათემო თუ სახეობო-გეოგრაფიულ სასელწოდებას იმთავითვე აჭარა წარმოადგენდა.[62] ნ. მგელაძე სხვა ნაშრომში აღნიშნავს, რომ კოლხური ეთნოსის ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ გაერთიანებას „ძიდრიტები" („ბიძერები") წარმოადგენდნენ, რომლებიც უნდა ვივარაუდოთ, ზანური ენის ჭანურ დიალექტებზე მეტყველებდნენ. მკელევარი ძიდრიტების სამოსახლოს ხან

---

[59] The cultural assoclation of Adzharia. Iznik, Batum, and the svrrovnding areas publication no: I.

[60] ა. ელოვანი. მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 554, კომენტარი „ხალიბები".

[61] გ. და გ. ყურგენაძეები. ქალაქი პეტრა და ჯიხანჯიხის ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა, თბ., 1994, გვ. 11, 27.

[62] ს. გოკიტიძე. ფალსიფიკატორი და ისტორიული სინამდვილე (რეცენზია ნ. მგელაძის ნაშრომზე: ქრისტიანობა აჭარაში და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, გაზ. „აჭარა", 18 ივნისი), გადაცემულია ყურნ. „ლიტერატურული აჭარის" რედაქციში.

ჭოროხის შესართავის სამხრეთით, ხან აჭარისწყლის ხეობით და ხან კიდევ არტანუჯის ჩრდილოეთით ათავსებს. ტერმინი „აჭარა“ კი აჭარისწყლის ხეობაში ბიძერთა სამოსახლოს აღნიშნავდა.[63]

ი. ბექირიშვილი აღნიშნავდა: „უფრო მართებული ჩანს მკვლევარ ს. ჯოგიტიძის აზრი, რომ აჭარელთა წინაპრები, ბიძერები (ზიდრიტები), რომელსაც საისტორიო წყაროები ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნიდან მოიხსენიებენ, მაშინაც ჩვენს რეგიონში სახლობდნენ, მათ შორის ზღვისპირეთშიც, რამაც მათი სატომო სახელის ჭარ-აჭარლების გავრცობა მთელ მხარეზე განაპირობა.[64]

J. D. Barbie მიერ 1781 წელს შედგენილ რუქაზე (Le Palvs-Meotide et le Pont-Evxin) ბიძერებს უჭირავთ არა მარტო თანამედროვე აჭარის მიწა-წყალი, არამედ ისტორიულიც. ისინი აჭარის საზღვრების როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მიმართულებითაც განივრცობოდნენ. მათვე ეჭირათ ჭოროხის ხეობის ზემო წელისოლთისის შეერთების სამხრეთით მდებარე ტერიტორია.[65]

იზამბერის მიერ 1823 წელს შედგენილ ერთ-ერთ რუქაზე (ძვ. წ. 65 წ. ვითარებაა ასახული) აჭარა და მთელი კოლხეთის დაბლობი კოლხების ტომს უჭირავს.[66]

დ. ბრაუნდის აზრით, აფსაროსის მიდამოებში მახელონები და ჰენიოხები მოსახლეობდნენ. მათ შემდეგ აჭარისწყლის ხეობაში ძიდრიტები ბინადრობდნენ. აჭარის ზღვისპირა ზოლი ლაზებს უჭირავთ.[67]

---

[63] ს. ჯოგიტიძე. აჭარის ძველი ისტორიის დამახინჯება (რეცენზია ნ. მგელაძის საგაზეთო სტატიაზე: სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი და აჭარა, გაზ. „აჭარა“, 1994, 6 აგვისტო), ხელნაწერი.

[64] ი. ბექირიშვილი. ამას შენზე ამბობენ აჭარავ, ბათუმი, 1995, გვ. 37.

[65] The Greeks in the black sea from the bronze Age to the Early Twentieth Century. Contributions by the late prof. Al. Alexidze, An. Ballian, prof. Ot. Lortkipanidze, L. polychronidoй-Loukopouloй. Панорама, Athens, 1991, გვ. 10-11.

[66] იქვე, გვ. 198.

[67] D. Braund. Georgian in Antiguity, Oxford, 1994, p. 185.

ნ. ასათიანისა და ა. ბენდიანაშვილის ვარაუდით, ძიდრიტები ხორძენე-პარიადრ-მახელონებსა და ჭოროხს (ჩრდილოეთიდან) შორის მოთავსებულ ტერიტორიაზე თავსდებიან.[68]

როგორც ვხედავთ, ისტორიული აჭარის („ფარნავაზიანის" აჭარა, ოძრხეს საერისთავოს დასავლეთი ნაწილი) ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხის ირგვლივ აშკარა აზრთა სხვადასხვაობაა. სხვადასხვა მკვლევარის მიერ აჭარის მიწა-წყალზე მობინადრე ტომებს შორის დასახელებულია -კოლხები, ჰენიოხები, ბიძერები, მესხები, ხალიბები, მოსინიკები, ლაზები, ჭანები, ამპრეეტები, ძიდრიტები, დვრიტები, მეგრელები და აკრიუგები. ზოგიც აღნიშნავს, რომ აქ მოსახლე ტომის ვინაობის საკითხი გაურკვეველია. ზოგიერთი მკვლევარი იმ ტომის ლოკალიზაციას, რომელიც, ჩვენი აზრით, მსახლეობდა აჭარის მიწა-წყალზე, ახდენენ სხვა ოლქებში, ანდა სულაც გამორიცხავენ მათ ქართველობას და ჩრდილო-კავკასიურ ენათა ოჯახს მიაკუთვნებენ.

ახლა კი, გადავხედოთ უძველეს წყაროებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ცნობებს იძლეიან აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკური ჯგუფის ვინაობის დასადგენად.

- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ პირველი წერილობითი ცნობები ძვ. წ. XII საუკუნეში ჩნდება. ამ და მომდევნო საუკუნეების წყაროებში (XII-VII სს.) ნაშრომში აღძრული საკითხის ირგვლივ კონკრეტული ცნობები არ მოგვეპოვება. ძველაღმოსავლურ წყაროებში დაცული მასალების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ ის, რომ აჭარის ტერიტორია შედის დაიაენის (დიაოხის), კოლხას ან უიტერუხის ტომობრივ თუ სახელმწიფოებრივ გაერთიანებების ფარგლებში. ვერაფერს ვიტყვით აგრეთვე იმის შესახებ, თუ ამათგან ან მათ შემადგენლობაში არსებული რომელი ტომი ბინადრობდა ჭოროხსა და რიონს შორის მოთავსებულ მიწა-წყალზე. ო. ჯაფარიძის მიერ

---

[68] N. Assatiani. Al. Bendianachili. Histoire de la Georgie, L' Harmattan, 1997, p. 39.

დიდი ზემო ზაბი
(ბოსფორის ჯიანგი, ფასის ფალეს)
მენტე
(მაფია, მატიუმი)
ეილანი
(ეილანი, ეილანიანი)
ეილანი
(ეილანი, ეილანიანი)
ეილანი
(ეილანი, ეილანიან

LE
PONT-EUXIN,
Pour le Voyage du Jeune Anacharsis,
Par J. D. BARDIÉ DU BOCAGE.
Juin 1781 — Pluviôse An VII.
Bypanis R.
Torétice
Phasis
Trébizonde
Trapezus
Cerasus
Pont Euxin
Ister
Tyras
Borysthenes
Tanais
Palus Mæotis
Bosphore
Cimmérien
Tauric
Thracie
Bithynie
Paphlagonie
Colchide
Ibérie
Arménie
Euphrate
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45

შემუშავებული კონცეპციით ძვ. წ. V-III ათასწლეულში მთელი აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ხატურ-აფხაზურ-ადიღენურენოვან ჯგუფებს ეკავა.[69] თუ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ საერთო ქართველური ფუძის დაფერენციაცია ძვ. წ. III ათასწლეულში უნდა მომხდარიყო და მას პირველად სვანური უნდა გამოყოფოდა და დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ეგრული,[70] მაშინ ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ეთნონიმის ვინაობა შესაბამისად უნდა წარმოვიდგინოთ. ამ თეორიის საფუძველზე ჭოროხ-რიონს შორის ძვ. წ. III ათასწლეულში ქართულ ენაზე მეტყველი მოსახლეობა ბინადრობდა, ძვ. წ. II ათასწლეულში სვანური, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში მეგრულ ენაზე მეტყველი.

მიუხედავად არსებული საერთო ქართველურის დიფერენციაციული თეორიისა, თუ რომელი ტომი ბინადრობდა აჭარის ტერიტორიაზე კონკრეტული მითითება არ გვაქვს. ამ საკითხზე ყველაზე უფრო გავრცელებულ ვარიანტს წარმოადგენს გ. მელიქიშვილის შეხედულება, რომელიც მეცნიერმა წამოაყენა და სათანადო არგუმენტების მოშველიების საფუძველზე განამტკიცა. მისი აზრით, ძველაღმოსავლურ ხანაში აჭარის მიწა-წყალი (მდ. ჭოროხის შესართავის ორივე მხარე) კოლხთა ტომს ეჭირა.[71] კიმერიელების შემოსევისას (ძვ. წ. VIII ს. 30-20-იანი წწ.) კოლხთა სამეფოს განადგურების შემდეგ, აქ ოძრხე-ლენინაკანის მიდამოებში მოსახლე ტომი უიტერუსი მკვიდრდება. მას ანტიკური წყაროები ბიძერების, ხოლო ქართული-ოძრხეს სახელებით იცნობენ.[72]

---

[69] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მისედვით, თბ., 1976, გვ. 266, რუკები: 6, 7.

[70] ე. ვაშაკიძე. დ. პაიჭაძე. ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბ., 1990, გვ. 7.

[71] Г. А. Меликишвили. К истории... с. 115; შეად. Н. В. Арутюнян. Биайнили (Урарту) Ер., 1970, с. 261 და თანდარული რუკა.

[72] Г. А. Меликишвили. К истории... с. 113, 115, 210, 211.

ჰეკატეოს მილეტელი (ძვ. წ. VI-V სს.) პირველი ბერძენი მწერალია იმათ შორის ვისაც გააჩნია ცნობა ბიძერებზე (მას იგი მოიხსენიებს „დიძერის“ ფორმით). ჰეკატეოსის გადმოცემით, ხოიები „ბეხეირიკას“ მეზობლად ცხოვრობენ და მათ აღმოსავლეთით დიძერები ესაზღვრებიან.[73]

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ჰეკატეოსის ხოიები ფსევდოსკილაქსის ეკხირიელები არიან. გარდა იმისა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მრსახლე ტომთა სიაში ჰეკატეოსთან არაა დასახელებული „ეკხირიელი“ და ფსევდოსკილაქსთან „ხოი“, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორივე ეს ტომი ამ ავტორებთან მოქცეულია ბიძერებსა და ბექირებს შორის. ჰეკატეოსთან სწორედ ბექირების (ბეხირები) მთავარ ქალაქ „ბეხეირიკასთან“ გვაქვს საქმე. მკვლევარები ბეხეირიკა-ბექირიადას რიზესთან აიგივებენ.[74] შესაძლებელია ბექირიადის ასეთი ლოკალიზაცია მთლად არ იყოს ზუსტი, მაგრამ ის რომ სადღაც რიზეს მახლობლადაა საძებარი, ეჭვს არ იწვევს. V საუკუნის ბერძენი ანონიმის თანახმად ოფიუნტიდან არქებამდე ტერიტორია ეკხირიელებისა ყოფილა.[75] აქედან გამომდინარე, რიზეს მიდამოებიც ეკხირიელების ტომის გავრცელების არეალში ექცევა. ასე, რომ ბექირების მიწა-წყალი და თვით ქალაქი ბექირიადა უფრო ოფიუნტის წყლის დასავლეთითაა საძებარი. მისი ლოკალიზება ჰისოსთან (სურმენე) დასაშვებად გვეჩვენება.

როგორ გავიგოთ ბიძერები ხოიების აღმოსავლეთით ცხოვრობენ?

თუ ბიძერები არქაბე-ოფიუნტის სექტორის აღმოსავლეთით მოსახლეობენ, მაშინ ჰეკატეოსის ცნობა ძვ. წ. VI-V საუკუნეების კი არა, არამედ უფრო ადრინდელი უნდა იყოს. ბიძერებს-ოძეროხს (ასეთი გაიგივება გ.

---

[73] ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ.-მსკი, ნაკე. 35, თბ., 1963. გვ. 12.

[74] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 86.

[75] ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965. გვ. 3.

მელიქიშვილს ეკუთვნის[76]) „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ჭოროსის ხეობის ჩრდილო ნახევარიც ჰკუთვნებია.[77] ბიძერების სამხრეთის მიმართულებით განვრცობაზე შკვიდისის მთის სექტორამდე თითქოს სტრაბონიც მოგვითხრობს.[78] თუმცა ამ ცნობაში სულ სხვა ვითარება შეიძლება იყოს ასახული. იმ შემთხვევაში თუ ცნობა ბიძერების შესახებ ჰეკატეოსის მოღვაწეობის დროინდელია, მაშინ მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ ბიძერები ხოიების აღმოსავლეთით კი არა, არამედ მათგან ჩრდილოეთით ან ჩრდილო აღმოსავლეთით ბინადრობდნენ. ასეთ შესედულებას როგორც ქვემოთ დავინახავთ, რამდენიმე წყაროს ცნობა ეთანხმება. თუმცა შესაძლებელია, რომ ბიძერების ქვეყანა ხოიებს აღმოსავლეთიდანაც ესაზღვრებოდა და ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ ასეთი მდგომარეობა ძველაღმოსავლური ხანის ერთ მონაკვეთზე უნდა ყოფილიყო.

შემდეგი ძველბერძნული წყარო, რომელიც ბიძერებს ასახელებს - ფსევოსკილაქს კარიანელია (ძვ. წ. IV ს.). ზოგიერთი მკვლევარი ამ წყაროს მონაცემებს ძვ. წ. VI ან V საუკუნისად მიიჩნევენ. ფსევდოსკილაქსი ბიძერებს კოლხების შემდეგ ათავსებს.[79] მისივე ცნობის თანახმად, ამ ტომის ქვეყანაში მოედინებიან მდინარეები დარაანონი და არიანონი. ამავე წყაროს მოწმობით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიძერების სამხრეთით ეკხირიელები (ხოი) მოსახლეობენ. ამ ტომის ტერიტორიაზე კი მოედინება მდინარეები პორდანისი (ფორტუნა) და არაბისი (არქაბე-სუხა-დერე), ქალაქებია ლიმნე და ოდეინიოსი. ფსევდოსკილაქსის მიხედვით, ბიძერების ჩრდილოეთით კოლხებია და მათ ტერიტორიაზეა რისი (რიონი), ისისი

---

[76] Г. А. Меликишвили. К истории...с. 82, 113-114.

[77] ქართლის ცხოვრება (ანასეული ნუსხა), ს. ყაუსჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942. გვ. 6; მცხეთოსმა ოძრხოსს მისცა ტაშისკარიდან სპერის ზღვამდე. ოძრხოსმა ააშენა ორი ციხე-ქალაქი: ოძრხე და თუხარისი.

[78] Страбон. География, с. 515.

[79] В. В. Латышев. СК. - ВДИ, 1947, №3, с. 242.

(ნატანები), ლესტონ პოტამოსი (ყაჩაღთა წყალი) და აფსაროსი (ჭოროხი).[80]
ბიძერების ქვეყანაში დასახელებული მდინარეები დარაანონი და არიანონი მკვლევართა მიერ შესაბამისად ორხოფთან და არხავესთანაა გაიგივებული.[81] ასეთი გაიგივება მეტნაკლებად მისაღებია და ამავე დროს ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ბიძერების ქვეყნის მხოლოდ ზღვისპირა ზოლზეა ყურადღება გამახვილებული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფსევდოსკილაქსის ცნობაში აშკარად პოლიტიკური მდგომარეობა იგულისხმება. რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიძერების საცხოვრისი როგორც ჩრდილოეთის, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ვრცელ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. კოლხებს ჰეროდოტესა (ძვ. წ. V ს.) და ქსენოფონტეს (ძვ. წ. V-IV ს.) ცნობების მიხედვით სახელმწიფო საზღვარი შესაბამისად ოფიუნტის წყლამდე და კერასუნტამდე (გირესუნი) გადატანილი ჰქონიათ.[82] მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კოლხეთის სამეფოს მოსახლეობა ერთი ეთნიკური ჯგუფით (მაგ. კოლხებით) შემოიფარგლებოდა. ამ ეპოქაში კოლხეთის სამხრეთ ნაწილში მოსახლეობდნენ: იგივე ბიძერები, ეკხირიელები, ბექირები, მაკრონები და ზოგიერთი სხვა.[83] ფსევდოსკილაქსთანაც ასეთ გარემოებასთან უნდა გვქონდეს საქმე. კოლხებს თავიანთ მფლობელობაში სამხრეთის მიმართულებით მდ. აფსაროსამდე (ჭოროხი) მიწა-წყალი მოუქცევიათ (ჩვენი აზრით, ფსევდოსკილაქსის ცნობა კოლხეთის სახელმწიფოს საზღვრების შესახებ გაცილებით ადრინდელია, ვინემ ჰეროდოტესა და

---

[80] იქვე, გვ. 241-242; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, გვ. 81-82.
[81] ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსები... გვ. 14; თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 87.
[82] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967, გვ. 87; ს. გოგიტიძე. პეტრას ნაქალაქარის ძიების ისტორიიდან. ხელნაწერი, გვ. 16.
[83] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 44, 84.

ქსენოფონტეს აღწერის მონაცემები). ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბიძერები არა მხოლოდ ჭოროხის შესართავის რაიონში მოსახლეობდნენ, არამედ ქვეყნის სიღრმეში და ჩრდილოეთის მიმართულებითაც განივრცობოდნენ. ჩვენი შეხედულების სისწორეზე პასუხს გვაძლევს ბერძენი ლირიკოსი პოეტი აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს.).

„არგონავტიკაში" დაცულია ცნობა: ბერძნებმა დატოვეს „ამაყ შუოთიან საპირთა მხარეც და ბიძერების ქვეყნის ნაპირიც.[84] ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ბიძერების ქვეყანა კონტინენტის შიგნითაა მოთავსებული, მაგრამ ამავე დროს თავისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დევს. შავიზღვისპირეთის თუ რომელ მონაკვეთზეა საუბარი, აპოლონიოსი ამის შესახებ არაფერს გვეუბნება, მაგრამ მას გააჩნია ბიძერების საცხოვრისის ზოგადი დახასიათება. საპირთა ტომის საბრძანებლის „გვერდით ცხოვრობენ ბიძერები და ზემოთ-მეომარ კოლხთა ტომები,[85] თუ გავიზიარებთ შეხედულებას (რაშიც ეჭვი არ გვეპარება) საპირები იგივე სასპირები (იბერები) არიან[86] და საკუთრივ კოლხები მდ. რიონის ქვემო წელის მიდამოებში, (უფრო მეტად ჩრდილოეთით) მოსახლეობენ,[87] მაშინ გამოდის, რომ მათ შუა მითითებული ვრცელი სივრცე ბიძერების ტომის კუთვნილება ყოფილა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „არგონავტიკაში" დაცული ცნობები ქართველი ტომების განსახლების არეალის შესახებ, ავტორის თანადროული (ე.ი. ძვ. წ. III ს.) უნდა იყოს. ეს ის დროა, როცა ქართლის სამეფო (სასპერეთი-იბერია) შავ

---

[84] აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა. თარგმანი და შესავალი ა. გელოვანისა, რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი ა. ურუშაძისა, თბ., 1975, გვ. 114.

[85] იქვე, გვ. 91.

[86] ს. ჯანაშია. შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 97. А. Хаханов. Древнейшие пределы разселения грузин по Малой Азии, Тф., 1891, с. 18, 19.

[87] ВДИ, 1949, №4, с. 303.

ზღვაზე გამოდის. როგორც ჩანს, ქართლი პირველად ზღვამდე ჭოროხის შესართავის სამხრეთით-ეკხირიელების (ხოი) ტომის ტერიტორიის გავლით გამოიჭრა.[88] პალეფატე აბიდოსელი (ძვ. წ. IV ს.) ცნობის ქარიმატები, რომლებიც ესაზღვრებიან კერკეტებს (ეგრებს?), მოსხებს და შავ ზღვამდე ფლობენ პართენიოსს (ფორტუნა),[89] იგივე ქართები-სასპერები არიან (შეად: ქართი-ქარიტი-ქარი(მა)ტი). ბიძერების ქვეყნის გავრცელების არეალის შესახებ სამხრეთის მიმართულებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 64-ახ.წ. 24 წწ.). სტრაბონი შკვიდისის მთის სექტორში მოსახლე ტომებად წარმოგვიდგენს ჰეფტაკომეტებს და მოსინიკებს. ბერძენი მწერლის ენით, რომ ვთქვათ „აქ მოსახლე ბარბაროსთა შორის ყოფილან ბიძერებიც."[90] ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით სტრაბონის ცნობის ბიძერები შკვიდისის მთის სექტორში მოსახლეობენ.[91] ჩვენი აზრით, ბიძერთა ტომის ასეთი ლოკალიზება არ უნდა იყოს მართებული. არც ის უნდა იყოს სწორი, რომ თითქოს ამ ტომის სამხრეთში გამოჩენა ბიძერების გარკვეული ნაკადის შორს სამხრეთში გადაცვლებით ავხსნათ.[92] ნიშანდობლივია, რომ სტრაბონმა ამ ტომის ზუსტი ადრესატი არ იცოდა. ყოველ შემთხვევაში მას არ დაუხასიათებია ბიძერების ტომის ქვეყანა, ან საერთოდ ჭოროხის ქვემო წელის მიდამოები. მასთან არც ჭოროხია რომელიმე სახელით დასახელებული. როგორც ჩანს, სტრაბონი გვამცნობს, რომ „სრულიად ველური" ტომების მოსინიკებისა და ჰეპტაკომეტების მსგავსი ბარბაროსები არიან ბიძერები, ან ზოგადად ნათქვამი „აქ მოსახლე ბარბაროსთა შორის

---

[88] ს. გოვიტიძე. აჭარა ძვ. წ. III-I საუკუნეებში, ბსკი-ის 1995 წლის ფონდები.

[89] ВДИ, 1947, №3, с. 250.

[90] Страбон. География, с. 515.

[91] Г. А. Меликишвили. К истории... с. 115.

[92] გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 94.

არიან ბიძერები“ როდი ნიშნავს იმას, რომ ისინი მაინცდამაინც შკვიდისის მთის სექტორში ვიგულისხმოთ. ბოლო შესედულებას ამაგრებს ის ფაქტი, რომ ქსენოფონტი, რომელმაც მდ. ჰარპაროსის (ჭოროხი) ზემო დინება გადასერა, სკვითინების საცხოვრისი გაიარა და ისე მივიდა ტრაპეზუნტთან არსად არ ასახელებს ბიძერებს. სარწმუნოა პ. ინგოროყვას აზრი, რომ ბიძერების ტომის სახელი კავშირშია დაბა ვიწესთან[93] (ფაზარი), რადგან ეს პუნქტი ამ ტომის საცხოვრისთან ახლოს მდებარეობს. ეტყობა ერთ დროს ვიწეს მიდამოებიც ბიძერების ქვეყანაში შედიოდა. ს. ჯანაშიას აზრით, ბიზერ-ვიზერები ძველთა-ძველი თემის სახელი შემონახულია ღღემდე დაბა ვიზერაში მდ. გალანიმა-დერეზე, ტრაპიზონის სამხრეთ-დასავლეთით.[94] ჩვენი აზრით, ეს ცნობა ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს და ვიზერას მიდამოები, რომ ვიზართა ტომის სამკვიდრებელში შედიოდა. ამ მიდამოებში ბიძერების ტომის წარმომადგენელთა გადანაცვლებასთან უნდა გვქონდეს საქმე. თუმცა დაბა ვიზერა, გარკვეული დროის მონაკვეთში ბიძერების სამფლობელოში რომ უნდა შესულიყო მხარს უჭერს ევსტატეს (XII ს.) მიერ შემონახული ცნობა. დიონისეს „ქვეყნის აღწერილობის“ კომენტარში, რომელიც ევსტატეს ეკუთვნის ვკითხულობთ: „მაკრონები პონტოელი ხალხია ბიზერების სამხრეთით. ჩვენ მათ ეხლა ვუწოდებთ სანებს, ანუ უფრო ვულგარულად ჭანებს... სანების ქვეყანასაც უწოდებენ ჭანიკს.“[95]

ამ ნაწყვეტში, როგორც ჩანს, მოგვიანო ხანის ვითარებაა ასახული, ის დრო, როცა ჭანებმა თავიანთი საკომო სახელით გადაფარეს ტერმინი „მაკრონი“ და ზოგიერთი სხვაც; თავიანთი სახელით (ჭანები, ჭანეთი)

---

[93] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 484.

[94] ს. ჯანაშია. შრომები, ტ. II, გვ. 94.

[95] C. Müllerus. Geographi Graeci Minores, III, მითითებულია გ. ჯიზალიშვილის „ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან“ (ალ., 1965, გვ. 90) მიხედვით.

გადაფარეს ტრაპეზუნტ-არქაბემდე ზღვისპირა ზოლი. მხოლოდ ასეთი მდგომარეობით შეიძლება გავიაზროთ კონტექსტში მოცემული ცნობა, რომ ბიძერების სამხრეთით ჭანებია. ამ ცნობით ბიძერები ჭოროხის შესართავის ამიერ და იმიერ მხარეს მოსახლე ტომია. აქვე შევნიშნავთ, რომ ბიძერების სამხრეთით მაკრონები არასდროს ყოფილან, თუ აქ როგორც სხვა დროს მაკრონში მახერონი არ იგულისხმება, მაგრამ მაკრონების მახერონებთან გაიგივებისათვის საფუძველი არ არსებობს.

რომაელი მწერალი პონპონიუს მელა (ახ. წ. I ს.) ბიძერებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველურ ტომთა ასეთ რიგში ასახელებს: ხალიბები, ტიბარენები, მოსინები, მაკროკეფალები, ბექირები, ბუქსერები, შემდეგ ქალაქი და მდინარე ფასისი. ამ უკანასკნელის მიდამოებში მიუთითებს კოლხებს.[96]

როგორც ვხედავთ, ბერძენი მწერლებისაგან განსხვავებით ლათინი ავტორი იძლევა სატომო სახელ ბიძერის განსხვავებულ ფორმას-ბუქსერი. ამ ტომს ამავე ფორმით ასახელებს მეორე რომაელი მწერალი პლინიუს უფროსიც (23-79 წწ.). მკვლევარები ბუქსერებს სამართლიანად ბიძერებთან აიგივებენ. ასეთი გაიგივება ეჭვს არ იწვევს, რადგან იქ სადაც ბექირებსა და კოლხებს შორის მოსალოდნელი იყო ბიძერის დასახელება, რომაელ ავტორებთან დასახელებულია ბუქსერი. ანტიკურ წყაროებში ხშირია ძ-ზ-სა და X (ქს) შენაცვლების ფაქტები (მაგ: ქსერ-ქს-ენე, დერ-ძ-ანი, დერ-ზ-ანი).[97] წინამორბედ მწერალთან განსხვავებით მელასთან ბიძერების სამხრეთით არ ჩანან ეკხირიელები ან საპირები. საინტერესოა ხომ არ იგულისხმება ბიძერების მიერ სამხრეთელი მეზობლის თავიანთი გავლენის სფეროში შეყვანა. ასეთ შეხედულებას თითქოს სტრაბონის მონაცემი უნდა ამაგრებდეს.

---

[96] ВДИ, 1949, №1, с. 273.

[97] ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი (მცირედი შემოკლებით დაიბეჭდა ეურნ. „ჭოროხში", 1996, №1, გვ. 120-130).

წინააღმდეგ შემთხვევაში ბერძნული წყაროების ეკხირიელი ლათინი ავტორების მიერ დასახელებულ მახერონთან უნდა გაიგივდეს. ჩვენი აზრით, ამ ორი სატომო სახელს შორის განსხვავდება მხოლოდ პრეფიქსებშია.[98] ასევე არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ ეკხირიელი იგივე კლარჯის შერყვნილი ფორმა იყოს და მისი გაქრობა ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან ჭანების შემოქმედების შედეგი იყოს. ასევე საინტერესოა მახერონის ისტორიული აჭარის ძირძველ ხეობასთან მაჭახელასთან კავშირიც.[99] ყველაფერი ეს მომავალში შესწავლის საგნად უნდა იქცეს.

როგორც აღინიშნა, ბიძერებს ბუქსერების ფორმით მოიხსენიებს აგრეთვე პლინიუსი. მას „ბუნების ისტორიაში" სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დასახელებული ჰყავს შემდეგი ტომები: კენარები, ხალიბები, ტიბარენები, მასინები, მაკროკეფალები, ბექირები, ბუქსერები, შავი მდინარე, მაქორონები და სიდონები.[100]

ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, რომაელ ავტორს უსარგებლია ძველი წყაროებით. აქ ბუქსერები (ბიძერები) ბექირებსა და მახერონებს შორისაა დასახელებული. თუ მაქორონებში ბერძნული წყაროების ეკხირიელებს ვიგულისხმებთ, მაშინ ტრადიციისამებრ ბიძერი ბექირებისა და ეკხირიელების (მაქერონები) მეზობლები არიან. ამ შემთხვევაში, როგორც პლინიუსის შრომის სხვა ადგილიდან ჩანს, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთში მოსახლე ტომთა თანმიმდევრული რიგი დაცული არაა. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა ბიძერების დასახელება ბაქირებისა და მაქერონების შემდეგ.

---

[98] ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველური ტომები უძველესი ბერძნული წყაროების მიხედვით, ბსკი-ის 1994 წლის ფო˜ დები.

[99] С. Т. Еремян. Страна „Махелония надписи" Кааба-и-зардушт. - ВДИ, 1967, №4, с. 53-54

[100] პლინიუს უფროსი. ბუნების ისტორია, წიგნში: ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, უცსური წყაროები საქართველოს შესახებ; ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973, გვ. 31.

მაქერონებისა და ჰენიოხების სამეფო ხომ ფლავიუს არიანეს (ახ. წ. II ს.) მონაცემების მიხედვით, ბიძერების (ძიდრიტები) სამხრეთით ლოკალიზდება - ძირითადად მაინც რიზე-ათინას მიდამოებში (უფრო ზუსტად ოფიუნტ-არქაბისს შორის).

პლინიუსს თავის მეექვსე წიგნში გადმოცემული აქვს აგრეთვე თავისი თვალით ნანახი (ე.ი. ახ. წ. 78 წ. დროინდელი მდგომარეობა) ცნობებიც. ეს ცნობები დიდად განსხვავდება ანტიკურ სამყაროში დაცული მასალებისაგან. პლინიუსი გვაუწყებს: „ტრაპეზუნტიდან 140 000 ნაბიჯზე მდინარე აბსაროსია და იმავე სახელის ციხე-სიმაგრით შესართავთან. იმ ადგილებში მთებს გადაღმა იბერიაა, სანაპიროზე კი ჰენიოხები, ამპრევეტები, ლაზები, მდინარეები: აკამპსეონი, ისისი, მოგრუსი, ბათისი, კოლხთა ტომები, ქალაქი მატიუმი...“[101]

სადავო არ უნდა იყოს, რომ პლინიუსის მიერ აფსარის მიდამოებში დასახელებული ამპრევეტები იგივე ბუქსერები-ბიძერებია.[102] მათ წინ რიგში დასახელებული ჰენიოხები სპარსული წყაროს „ზოროასტრის ქააბის“ „მახელონიისა“ და რომაული წყაროების „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფოში“ მოსახლე ძირითად ტომს წარმოადგენდა. ლაზები კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მიხედვით ფასისის (რიონი) შესართავის ჩრდილოეთით თავსდებიან.[103]

---

[101] პლინიუს უფროსი. ბუნების ისტორია, გვ. 31.

[102] ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია, ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა გეგმა და მასალები, 1994 წ. 9-13 მაისი, ბათუმი, 1994, გვ. 28; მისივე, ერის წარსულის ანარეკლები, გაზ. „მეცნიერება“, გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის საინფორმაციო-ანალიტიკური გაზეთი, 1992, 10 სექტემბერი.

[103] პტოლემაიოსის მიხედვით, კოლხეთის სამხრეთი მიჯნებია მდ. ფასისის (რიონი) შესართავი და ქ. ფასისი (ფოთი). მისივე ცნობით, კოლხეთის ზღვისპირა ზოლში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრები (ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. - მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 45.

ამპრეეტი-აჭარელისა თუ აჭარეთის შერყვნილი ფორმა შეიძლება იყოს.[104]

რომის იმპერატორის მცირე აზიელმა მოხელემ ფლავიუს არიანემ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი 131 წელს მოინახულა. არიანეს „პერიპლუსის" მიხედვით ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსია) შემდეგი ტომები თავსდებიან: კოლხები, სანები, მახელონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბაზგები, სანიგები, ძილქები.[105] უეჭველია პლინიუს ამპრეეტის (იგივე ბუქსერის) ადგილს არიანესთან ძიდრიტი იჭერს და აღნიშნული სამივე ეთნონიმი ერთი და იმავე სატომო სახელწოდების ვარიანტები რომ უნდა იყოს ეჭვს არ იწვევს.[106] რომაელი ავტორი ძიდრიტების ადგილ-საცხოვრისისის შესახებ არაფერს გვეუბნება. მისი ცნობით, მახელონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები ყოფილან, ამ უკანასკნელთა გვერდით ლაზები.[107] არიანეს ძიდრიტების ლოკალიზაციის განსაზღვრაში თავისი წვლილი შეაქვს მისი ცნობების განმეორებულ ბერძენ ანონიმ ავტორს (V ს.). ამ უკანასკნელის მიხედვით: ოფიუნტიდან არქებამდე წინათ ცხოვრობდნენ ეკხირიელები, ასლა მახელონები და ჰენიოხები, მდ. არქაბედან მდ. აფსაროსამდე უწინ მოსახლეობდნენ ბიზირები, ახლა ზიდრიტები.[108] ანონიმმა ერთი შეხედვით თითქოს გადაჭრა ბიძერების და ძიდრიტების ურთიერთმიმართების საკითხი, მაგრამ სამაგიეროდ დაგვიტოვა მათი განსახლების შესახებ სადაო ცნობა. ჩვენი აზრით, ანონიმთან პოლიტიკური მდგომარეობითაა გამოწვეული ძიდრიტების მისეული ლოკალიზაცია. ამიტომაა, რომ თანამედროვე მკვლევარი

---

[104] ს. ფოფიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი. ჟურნ. „ჟოროხი", 1996, №1.

[105] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 99.

[106] ს. ფოფიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, გვ. 120-130.

[107] ВДИ, 1948, №4, с. 228.

[108] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა მავი ზღვის გარშემო, გვ. 85.

ფსევდოარიანეს ცნობას ძიდრიტების ლოკალიზაციის შესახებ უგულებელყოფენ და ზოგიერთი წყაროს მომარჯვებითა და არგუმენტის მოშველიებით ცდილობენ აღადგინონ იგი.

გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, ზიდრიტი ქართული წყაროების კლარჯეთის ოლქში („არსიანიდან ზღვამდე") თავსდება.[109] ნაშრომის სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ ზიდრიტების ტერიტორია რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე მდ. აფსაროსამდე ზღვის პირის მონაკვეთში ვრცელდებოდა. აფსარუნტი რომაელიბს ეკუთვნოდათ და მისი მიდამოები ახალად ჰქონდა ქართლის სამეფოს დაკავებული, სადაც სხვადასხვა მეგრულ-ჭანური ტომები მოსახლეობდნენ.[110] გ. მელიქიშვილს აქვე მოჰყავს „ქც" ცნობა აჭარის ქართლის სამეფოში ადრეულ პერიოდში შესვლის შესახებ და მას არიანეს ცნობებს ადარებს.

შევნიშნავთ, რომ თუ ძიდრიტების საცხოვრისი ისტორიული აჭარის ტერიტორიას არ ემთხვევა, მაშინ როგორ შეიძლება ქართული და რომაული წყაროების ამ მონაცემებს შორის თანხმობის ნიშანი დაისვას? პატივცემულ მეცნიერს სხვა ადგილას ნათქვამი აქვს, რომ ძიდრიტები ჭანური ტომია და ისინი ლაზებთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან მოვიდნენ.[111] ჩვენ ასეთი შეხედულების გაზიარება გვიჭირს, რადგან არც ერთი ანტიკური წყარო თუნდაც სხვა რომელიმე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ან ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ამ ტომების მოსახლეობის შესახებ არაფერს გვეუბნება.

თ. ყაუხჩიშვილის მიხედვით ძიდრიტები დაახლოებით პრიტანიდიდან (ფორტუნა-სუ) აფსაროსამდე ცხოვრობენ.[112]

ვ. ვაშაკიძის მიერ შედგენილ რუქაზე ძიდრიტებს ისეთივე ტერიტორია უჭირავთ, როგორც გ. მელიქიშვილის

---

[109] Г. А. Меликишвили. К истории... с. 136.

[110] იქვე, გვ. 354.

[111] იქვე. გვ. 365.

[112] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 100.

მიერ მომზადებულ რუქაზე-ჭოროხის შესართავის სამხრეთი და ნაწილობრივ აჭარისწყლის ხეობა.[113]

ს. ჯანაშიას მიხედვით ძიდრიტებს უჭირავთ აჭარის ზღვის სანაპირო ზოლი ქობულეთამდე.[114]

საკითხით დაინტერესდა ნ. ლომოური და წყაროების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ორიგინალური შეღეგი მიიღო. ეს შეხედულება შემდეგში არაეთმა მკვლევარმა გაიზიარა და განავითარა. ნ. ლომოურის გამოკვლევით, ქართლის სამეფოს ფარსმან IIდროს გზა გაუკვლევია შავი ზღვის სანაპიოზე და ზიდრიტთა ტომზე თავისი ძალაუფლება გაუვრცელებია. თუ ჩავთვლით, რომ ზიდრიტები გონიო-აფსაროსის სამხრეთით მოსახლეობდნენ, მაშინ მათთვის ზღვის სანაპიროზე რჩება მეტად ვიწრო ზოლი მდ. ორხოფიდან გონიომდე (10-11 კმ.). ასეთ ვითარებაში აფსაროსი უკვე ლაზების მიწა-წყალზე უნდა ვივარაუდოთ, რადგან არიანეს ცნობით, ზიდრიტები, რომ ასეთი უმნიშვნელო ტომი ყოფილიყო, საეჭვოა ისინი ქართლის სამეფოსათვის საკმარისი დასაყრდენი როლი შეესრულებინათ ზღვის სანაპიროზე გამოჭრისა და რომის სამფლობელოების გათიშვისათვის.[115] ნ. ლომოურის დასკვნით ზიდრიტების ტომი ციხე-სიმაგრე აფსაროსის ჩრდილოეთით განივრცობოდა. მათ ეკავათ ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით მთელი აჭარის მხარე.[116]

მოგვიანებით ზიდრიტების გავრცელების არე ჩრდილოეთის მიმართულებით განავრცო შ. ვარშანიძემ. მისი აზრით, ისინი მდ. სუფსამდე მოსახლეობდნენ.[117] დაახლოებით ასეთივე აზრისანი არიან გ. და გ. გურგენაძეები: ლაზებს სამხრეთით ესაზღვრებოდა

---

[113] ვ. ვამაკიძე. მეფე ქართლისა ფარსმან ქველი. - „დიდგორი", თბ., 1991, გვ. 22.

[114] ს. ჯანაშია. შრომები, ტ. 3, თბ., 1959, გვ. 23.

[115] ნ ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 9-10.

[116] იქვე. მისივე, Грузино-Римские взаимоотношения, с. 221.

[117] შ. ვარშანიძე. აჭარა უძველესი სანიდან ერთიანი მონარქიის შექმნამდე, გვ. 48.

„თავისუფალი ხალხი“ და საზღვარი მათ შორის, გადიოდა მდ. ნატანების მარჯვენა სანაპიროზე. ამ „თავისუფალ ხალხში“ შედიან ძიდრიტები, რომელთა ტერიტორიაც აჭარას მოიცავდა.[118]

დიონისიოს პერიეგეტის (ახ. წ. II ს.) „მსოფლიო აღწერილობაში“ ბიძერების შესახებ არის ასეთი ცნობა: „...კოლხებისაგან და ფაზისიდან დასავლეთისაკენ, ვიდრე თრაკიის სრუტემდე, სადაც ქალკიდის მიწებია პირველები არიან ბიძერები, მათ მეზობლად არიან ბექირთა ტომები, მაკრონები, ფილირები და ისინი ვისაც ხის მოსინიკები აქვთ...“[119] მსგავსი ცნობა ბიძერებისა და საერთოდ ქართველური მოდგმის ტომების შესახებ გააჩნიათ რამდენიმე ბერძენ და რომაელ ავტორს (ნოკიფორ ბლემიდს[120] –ახ. წ. II ს., რუფი ავიენს[121]–ახ. წ. IV ს., ამიანუს მარცელინუსს[122]–IV ს., პრისციანს[123] – V-VI სს.). მათ შორის ვასსსვავება იმაშია, რომ ამიანე ბიძერების გვერდით საპირებს ასახელებს.

ნიშანდობლივია, რომ ამ წყაროთა ცნობები ძველი ტრადიციის გამეორებას წარმოადგენს და ისინი ძირითადად მაინც ჰეკატეოს მილეტელისა და ფსევდოსკილაქსის თხზულებებზეა დამოკიდებული. მათგან ამიანუს მარცელინუსი როგორც ირკვევა აპოლონიოს როდოსელს დასესსებია. თუმცა აღსანიშნავია, ისიც, რომ ბიძერების გვერდით საპირების (სასპერების) დასახელება „ორფიკული არგონაეტიკის“ ავტორსაც აქვს. გვიანტიკური ხანის მწერლების მონაცემებიდან აღსანიშნავია, რომ ბიძერების საცხოვრისი მდ. ფასისისა (რიონი) და კოლხების

---

[118] გ. და გ. გურგენაძეები. ქალაქი პეტრა და ჯისანჯირის ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა, თბ., 1994, გვ. 27.

[119] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, გვ. 157.

[120] ВДИ, 1948, №4, с. 241.

[121] ВДИ, 1949, №3, с. 242.

[122] ВДИ, 1949, №3, с. 286.

[123] ВДИ, 1949, №4, с. 303.

სამოსახლოს შემდეგაა დასახელებული. თუ გავითვალის-წინებთ პტოლემაიოსის ცნობას, რომ ლაზები კოლხეთის ზღვისპირა ზოლში მოსახლეობდნენ[124] (ე.ი. სამეგრელოს დასავლეთ ნაწილში) და პლუტარქეს ცნობას, რომ იბერები პონტოს ზღვამდე ვრცელდებიან,[125] და იმასაც, რომ ძველი ქართული წყაროთი („ფარნავაზიანი") იბერიის ზღვამდე გავრცელების ადგილი აჭარაა და ამავე წყაროთი ეგრისი (ე.ი. კოლხეთი) რიონს სამხრეთით არ გადმოსცილდება,[126] შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ბიძერები (ძიდრიტები) ვიწე-რიონს შორის მდებარე ტერიტორიაზე განიერცობოდნენ.[127] როგორც ვხედავთ ანტიკური წყაროების ჩვენებებს კარგად უდგება „მეფეთა ცხოვრებაში" დაცული ცნობები.

როგორც აღინიშნა „ორფიკული არგონავტიკის" ავტორს ბიძერები საპირთა გვერდით ჰყავს დასახელებული. საპირთა მჭიდროდ დასახლებული ქალაქების შემდეგ ბიძერები და სიგინთა უცხომოძულე ტომები მოსახლეობენ. მაცგან ფასისი ასლოსაა და არგონავტების მიერ მისი შესართავის განელის შემდეგ ახლოა აეტის სასახლე.[128] აკ. ურუშაძე აკეთებს კომენტარს: ბიძერები საპირებსა და საკუთრივ კოლხებს შორის მოსახლე ტომია.[129] თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ აქედან გამომდინარე ბიძერების მრავალრიცხოვნებაზე შეიძლება საუბარი. ვინ იყვნენ ბიძერების მეზობელი უცხოთმოძულე სიგინები? ამ საკომო სახელში შეიძლება გამოიყოს პრეფიქსი სი „სა"-ს

---

[124] Клавдий Птоломей. Географическое руководство. - ВДИ, 1948, №2, с. 251.

[125] Плутарх. Помпей. - ВДИ, 1947, №4, с.

[126] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 17.

[127] ს. გოგიტიძე. „ფარნავაზიანი" და აჭარა, ბსკი-ის და კოლხეთის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, ბათუმი, 1996, გვ. 13.

[128] ორფიკული არგონავტიკა. ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნ. მელამვილმა, რედაქცია, შენიშვნები და საძიებლები აკ. ურუშაძისა, თბ., 1977, გვ. 104.

[129] იქვე, გვ. 121, კომ. 15.

ვარიანტი და ფუძე „გინ“ (ვარიანტი „კინ“) და ნიშნავდეს ჭანების ქვეყანას. ამ დროს (ახ. წ. IV ს.) მოსალოდნელია ჭანების ბატონობა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთის ერთ მონაკვეთზე. ტერმინი „სიგინ“-ი შეიძლება კავშირში იყოს „ზოროასტრის ქაბის“ წარწერის (261 წ.) ბერძნული ტექსტის „მახელონიას“ ფალაურ ვარიანტთან-„სიკნ“[130] (შეად: სიკნ-სიგ(ი)ნ).

ამიანუს მარცელინუსთან პირველადაა დასახელებული ბიძერების ტომი ასეთი ფორმით (ვი-ზარ - ბი-ძარ), რომლის ფუძე (ძარ=ჭარ) ზუსტად იგივეა, როგორიც გამოიყოფა მათი ქვეყნის აღმნიშვნელ ქართულ ფორმაში აჭარაში (ა-ჭარ-ა).[131] რომაელი მწერალი თავის „შავი ზღვის სანაპიროების აღწერაში“ წერს: ხალიბებს „შემდეგ ვრცელი მიწები უჭირავთ ბიზარებს, საპირებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს, ფილირებს-ხალხებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან.“[132] ჯ. გამახარია და ბ. გოგია აღნიშნულ მონაკვეთს თარგმნიან, როგორც ბიძერებს უჭირავთ ვრცელი მიწა-წყალი.[133] საინტერესოა ევსტატის (XII ს.) კომენტარი დიონისიოს პერიეგეტის ცნობაზე: „კოლხების და ფასისის (რიონი-ს.გ.) დასავლეთით პონტოს სანაპიროზე, ცხოვრობენ მრავალრიცხოვანი ბიზერები, რომლისგანაც მიიღო თავისი სახელი ბიზერების ნავსადგურმა...“[134] სხვათაშორის ამ პუნქტს ბიზანტიელი

---

[130] Н. Ю. Ломоури. Грузино-Римские взаиомоотношения, с. 251, сколио 23, 266.

[131] ს. გოგიტიძე. ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის, ეურნ. „ჭოროხი“, 1991, №4; მისივე, სახელწოდება „მაჭახელის“ (მიჭიხიანის) შესახებ, ეურნ. „ჭოროხი“, 1994, №5-6; კიდევ ერთხელ მაჭახლის ეტიმოლოგიის შესახებ, ეურნ. „ჭოროხი“, 1996, №3; სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის დამახინჯების კიდევ ერთი ცდა, ეურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1999, №3, გვ. 149-150, 152.

[132] გეორგიკა, ტ. I, თბ., 1961, გვ. 111.

[133] Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия... с. 176.

[134] იქვე, გვ. 212.

ისტორიკოსი სტეფანეც (VI ს.) ასახელებს: „ბიძერები ხალხია პონტოში, რომელთაც აქვთ ბიძერების ნავსადგური."[135]

თუ ჩვენ ბიზარებს ისტორიული აჭარის მხოლოდ ერთ მონაკვეთზე ვიგულისხმებთ, მაშინ უნდა უგუნებელვყოთ ამიანეს, ევსტატის, ავიენის, ბლემიდისა და სხვათა ზემოთ მოტანილი ცნობები. ბიძერები რომ ერცელი მიწა-წყლის მფლობელები იყვნენ ჩანს იქედანაც, რომ მათ აქვთ ნავსადგური ბიძერი. ახლა ძნელი დასადგენია, თუ იგი რომელ პუნქტს შეეტყვისება, მაგრამ ერთი რამ უდავოა, ბიძერების ნავსადგურის ძიება აფსარსა და არქაბეს შორის ნებისმიერ ისტორიკოსს გაუჭირდებოდა.

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ ბიძერებს სხვადასხვა დროს ორი ცენტრი ჰქონიათ. მისი აზრით, ბიწერები მომდინარეობენ გეოგრაფიული სახელიდან ბიწე ანუ ვიწე, ძველნი კი პტოლემაიოსის მიერ დასახელებულ პუნქტ ძადრისიდან. ამავე დროს ბიწერნი ძველი სახელწოდება ყოფილა ამ კუთხის მცხოვრებთა, ძველი ცენტრის მიხედვით, ხოლო ძიდრელნი ახალი სახელწოდება ახალი ცენტრის მიხედვით.[136] თუ ჩვენ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ ბიძერები მოსახლეობდნენ მხოლოდ არქაბე-აფსარს შორის, მაშინ ამ მონაკვეთში ამ ცენტრების ძიება აბსურდი იქნებოდა. ჩვენ აქ არ შევეხებით საკითხს, თუ რამდენადაა მართებული ასეთი შეხედულება, მაგრამ ერთი რამ უდავოდ მეღავნდება, რომ ტოპონიმიკური მასალა (თუნდაც ბიძერების სახელთან ვიწესა და ძადრისის კავშირი) საფუძველს იძლევა ამ ტომის ფართო არეალში განსახლებაზე. მით უმეტეს, რომ როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ბიძერების მოსახლეობას პარხალის მთის კალთებსა და შკვიდისის მთის სექტორამდე (მასთან აღნიშნულია: ჰეპტაკომეტების ნაწილს ეწოდებოდა მოსინიკები და ბიწერები).[137]

---

[135] Стефан Бизантийский. Описание племен. - ВДИ, 1948, №3, с. 316.

[136] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 202, სქოლიო 1ა.

[137] იქვე, გვ. 483-484.

ურარტული წყაროების დეტალური შესწავლა საფუძველს იძლევა ბიძერების ფართო ტერიტორიაზე განსახლების მტკიცებისათვის. როგორც აღინიშნა უიტერუხი (ასე უწოდებდნენ მათ ურარტელები) სამცხის მიდამოებიდან ლენინაკანის მიმართულებით განიერცობოდა[138] (თუმცა ლენინაკანის მიმართულებით მათი განვრცობის შეხედულებას ჩვენ პირადად ვერ გავიზიარებთ). ურარტული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ უიტერუხის ტომის ქვეყანას ვრცელი ტერიტორია უჭირავს: 1. ა) უიტერუხი მეფე არგიშტის დროს იხსენიება პირველად ქვეყანა აფუნის, მეორეხელ გულუტახის შემდეგ; ბ) უიტერუხი მეფე სარდურის დროს კულხას მეზობლად გვეველინება.[139] ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ იუტერუხი დიდი ქვეყანაა, მას რამდენიმე ქვეყანასთან ჰქონია შეხების წერტილი; 2. არგიშტი ლაპარაკობს უიტერუხის ტომის ტერიტორიაზე არსებულ ქალაქებზე; 3. აქ მას დაუდგამს წარწერა[140] (წარწერებს ურარტები მხოლოდ დიდი ქვეყნების დამორჩილების შემდეგ აკეთებდნენ; 4. ურარტულ წყაროებში იშვიათადაა დასახელებული რომელიმე ტომის ან ქვეყნის ტერიტორიაზე ქალაქები სახელდებით, უიტერუხში მითითებულია ურიეიუნი და ამეგუ [...]; 5. ურარტელები დაპყრობილი ქვეყნებიდან მოსახლეობის, ცხენებისა და რქოსანი საქონელის გაყვანაზე მხოლოდ დიდი ქვეყნების დალაშქრვის შემდეგ ტოვებდნენ ცნობებს; 6. სარდური ლაპარაკობს უიტერუხის

---

[138] გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები.- სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 383; შეადარე: მისივე, Наири-Урарту, Тб., 1954, с. 64.

[139] გ. მელიქიშვილი. ურარტუს სამეფო. ურარტული წყაროები. - ძასიქ, თბ., 1990, გვ. 275, 276, 293.

[140] Г. А. Меликишвили. УКН, Москва, 1960, с. 212, 228, 282.

ქვეყნის 3 თუ 6 ოლქის შესახებ და ა.შ.[141] ყველაუერი, რა თქმა უნდა უიტერუსის ქვეყნის სიდიდეზე მეტყველებს.

აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე განადგურებული კოლხას ტერიტორიაზე ჭოროხის ზღვასთან შეერთების რაიონში გამოჭრილა უიტერუხის ტომი.[142] ჩვენი შეხედულებით, არაა გამორიცხული, რომ უიტერუხის ეთნიკური საზღვარი ზღვამდე მანამდეც გამოდიოდა. სადავო არაა ის გარემოება, რომ ურარტული წყაროების უიტერუხი (ვიტერუხი-ოჭერუხი) ანტიკურ წყაროებში გვევლინება ბიძერების სახელით. ჩვენი აზრით, საკითხავია ის, რომ უიტერუხი თუ ასეთი უმნიშვნელო ტომი იყო (რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში თუ მათ არქაბე-აფსარს შორის მოვათავსებთ) 1. მაშინ როგორ შეძლო ძლევამოსილი კოლხას, თუნდაც მის ტერიტორიაზე კიმერიელების გავლის შემდეგ, კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში გამოჭრა, 2. განა შეიძლება ვიფიქროთ დიდი და ძლევამოსილი ვიტერუხის ტომის მემკვიდრედ მივიჩნიოთ აფსარ-არქაბეს შორის მოსახლე მცირერიცხოვანი ტომი? „მეფეთა ცხოვრების" მიხედვით ვიტერუხ-ოძეროხის ეპონიმს ოძრხოს სომ თავისმა მამამ მცხეთოსმა მისცა ტაშისკარიდან სპერის ზღვამდე ტერიტორია, ისე, რომ ქალაქების ოძრხესა და თუხარისის მიდამოებიც მის კერძ ქვეყანაში შედიოდა.[143] ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ უიტერუხი-ოძრხეს ქვეყნისა და მისი მემკვიდრე ტომის ბიძერების (ძარები) ისტორია მეტად ბნელი ბურუსითაა მოცული. ამ ბოლო დროს ტოპონიმ ოძრხეს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით უიტერუხისა და ბიძერების ურთიერთმიმართების საკითხს შეეხო ა. ჭინჭარაული. იგი წერს: აკად. გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების ურარტულ

---

[141] Г. А. Меликишвили. УКН, с. 212, 282; Археологическая экспедиция 1916 года в Вань, доклады Н. Марра и И. Обрели, Петербург, 1922, с. 49.

[142] Г. А. Меликишвили. К истории ... с. 223.

[143] ქართლის ცხოვრება (ანასეული ნუსხა), გვ. 6.

წყაროებში მოხსენიებული ვიტერუხის ტომის სახელი შემოინახა ტოპონიმმა ოძრხემ. შემდეგ ბერძნულ წყაროებში ჭოროხის შესართავის რაიონსა და მის სიახლოვეს გამოჩენილი ბიზერების ტომი იგივე ვიტერუსები უნდა იყვნენ.[144] როგორც ვხედავთ, შენიშნავს ა. ჭინჭარაული ვიტერუხი, ბიძერი და ოძრხე ერთი ეტიმონის ვარიაციებად არის მიჩნეული. ძალიან დიდ ეჭვს იწვევს დროისა და სივრცის ფაქტორი: „ვიტერ[უხ]ები ურარტულებმა დაიპყრეს და მათს „სამეფო ქალაქ" ურიეიუნში თავისი ციხე-სიმაგრე ააგეს. ამის შემდეგ ვიტერ[უხ]ები აღარსად ჩანან, ხოლო საუკუნეების შემდეგ ძველი საცხოვრისიდან ძალიან შორს, ჭოროხის შესართავის სამხრეთით ჩნდება რომელიღაც ველური ტომი ბიზერები, რომელთა სახელსაც პატივცემული მეცნიერი ვიტერ[უხ]ბსა და ტოპონიმ ოძრხეს უკავშირებს"[145] შემდეგ ა. ჭინჭარაული წერს, რომ სამცხის ცენტრი ოძრხე და ვიტერ-ბიზერების საცხოვრისები არა თუ მთლიანად, არამედ ნაწილობრივადაც ვერ ფარავენ ერთმანეთსო.[146] შ. ასათიანის აზრით, უიტერუხი არაქსისა და ახურიანის შერწყმის დასავლეთით, არაქსის შუა წელის ჩრდილოეთით, ქალაქ სარიყამიშის აღმოსავლეთით ლოკალიზდება, ბიძერები კი არსაბე-ჭოროხს შორის.[147]

---

[144] დამოწმებულია: Г. А. Меликишвили. К истории... с. 81.

[145] ა. ჭინჭარაული. ტოპონიმ ოძრხეს ეტიმოლოგიისათვის, პუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი „საქართველო", თბ., 1998, №1, გვ. 114.

[146] იქვე.

[147] შ. ასათიანი. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში. - სქაუქტ, გვ. 19, სქოლიო 46; 6. არუტუნიანი უიტერუხს არაქსისა და ახურიანის შეერთების სამხრეთ-დასავლეთით ათავსებს (Н. В. Арутюнян. Биайнили (Урарту), Ер., 1970, с. 194, 196, 199, 390-395). მისივე, Топонимика Урарту, Ер.,1985,с.201-203.

147ა მელას ცნობით სამხრეთ- აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბევრი ველური და გაუნათლებელი ტომია. „უფრო ნაკლებ ველურნი" არიან მაკროკეფალები, ბექირები და ბუქსერები (ალ. გამყრელიძე. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. -ქწა, I, თბ., 1965, გვ. 29.

ჩვენი აზრით, უნდა შეინიშნოს შემდეგი: 1. უიტერუხი უკანასკნელად ძვ. წ. VIII ს. მეორე ნახევარში ჩანს, ბიძერი კი ძვ. წ. IV ს.-ში ჩნდება. უიტერუხის „გაქრობა" თავდაპირველად ურარტელების მიერ მათი ქვეყნის დაპყრობით, ხოლო შემდეგ ურარტუს დასუსტებით გამოწვეული უნდა იყოს. ბიძერი ბერძნულ წყაროებში ჩნდება მაშინ, როცა საერთოდ პირველად იწერება „პერიპლუსები," ე.ი. აქ არ არის დროის ფაქტორი; 2. ურარტული, ძველი ქართული და ბერძნულ-რომაული წყაროებისა და არქეოლოგიური, ეთნონიმიკური და ტოპონიმიკური მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ უიტერუხის ტომის ლოკალიზაცია უნდა მოხდეს დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე, რომელიც მოგვიანებით ოძრხეს საერისთავოს ეკავა. აშკარაა, რომ უიტერუხი დაიაენის (დიაოხის) ჩრდილოეთით, კოლხას ჩრდილო-აღმოსავ-ლეთით (ან უკიდურეს შემთხვევაში აღმოსავლეთით) და აფუნის (უფლისციხის ქვეყანა) სამხრეთ-დასავლეთი მხარე ეკავა. შესაძლებელია მცირე აზიელი მუშქების შემოსვლისა და შემდეგდროინდელი სამცხის ტერიტორიაზე დამკვიდრების (ძვ. წ. 776 წ.) შემდეგ უიტერუხის ტომის გარკვეულმა ნაკადმა მართლაც გადმოინაცვლა ვიწესა (ან არქაბეს) და რიონს შორის მოთავსებულ ზღვისპირა ზოლში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ანტიკური წყაროები უიტერუხ-ბიძერების ასეთ ლოკალიზაციას მხარს უჭერენ. „მეფეთა ცხოვრებით" კი აღნიშნულ მხარეს ოძრხეს საერისთავოს ერთ-ერთი სუბიექტი „აჭარის ქვეყანა" ფარავს. ასე რომ „სივრცის" ფაქტორიც გამორიცხულია; 3. გაკვირვებას იწვევს ბიძერების „ველურ ტომად" მონათვლა. ძვ. წ. VI საუკუნიდან მოკიდებული ბიძერებს არაერთი წყარო იხსენიებს და მათი ველურობის თაობაზე არაფერი აქვთ ნათქვამი.[147ა]

ბიძერების ფართო არეალზე განსახლების შესახებ ისიც უნდა მეტყველებდეს, რომ ეს სატომო სახელი „ვი(-ძარ")

ქუთაისი
ოსეთი
ოლინი
ბაღდადი
ბაღდადი
(ხიდ)
ბაღდადი
ბაღდადი
ბაღდადი
(ყაზახები)



კავშირშია სახელწოდებასთან-„აჭარა."[148] ბერძნულ-რომაულ წყაროების მიხედვით, ბიძერი თავსდება ვიწეარქაბესა და ფასისს (რიონი) შორის მოთავსებულ ტერიტორიაზე.[149] „ფარნავაზიანის" მიხედვით კი ეს მიწაწყალი ოძრხეს საერისთავოში შემავალი ერთ-ერთი თემის აჭარისა იყო.[150]

უიტერუხ-ბიძერების ფართო არეალზე განსახლების შესახებ უნდა მიგვითითებდეს აგრეთვე ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა სიმრავლე, რომელთა უმრავლესობა ეთნონიმური წარმოშობისაა და რომლებშიც ანტიკური „ძერ"-„ზარ"-ის ქართული შესატყვისი „ჭერ"-„ჭარ" ფუძეები გამოიყოფა. პირველ რიგში აღსანიშნავია თვით სატომო სახელწოდებები-უიტერუსი, ბიძერი, ძიდრიტი, ამპრევეტი, გასათვალისწინებელია აგრეთვე თანამედროვე და ანტიკური სახელები:[151] ჭოროსი (ჭაროხი), მაჭახელი (მაჭარხი), ოლქი აჭარა, სოფელი დიდაჭარა, მთა აჭარა, მდინარე აჭარისწყალი, ყანა აჭარელა, სოფ. აჭარისაღმართი, სოფ. აჭი, მდ. აჭისწყალი, ქალაქი ვიწე (ბიჭერ), ქალაქი ძადრისი, ნაესადგური ბიძერი და ა. შ.

ბიძერთა (ჭართა) ტომის განსასლების არეალი, რომ თანამედროვე აჭარის საზღვრებს სცდებოდა, ჩვენი აზრით, მეტყველებს აგრეთვე ამ მხარესა და მის მომიჯნავე რაიონებში ყუაკეერიანი ცულის ყავრცელება. ისინი დღეისათვის მოპოვებულია როგორც საკუთრივ აჭარის

---

[148] ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია, გვ. 28-29.

[149] ს. გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის დამახინჯების კიდევ ერთი ცდა, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა, 1999, №3, გვ. 150.

[150] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24; ს. გოგიტიძე. აჭარა V საუკუნეში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1998, №7; მისივე, ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, ბათ., 1998, გვ. 48.

[151] ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, გვ. 120-130; მისივე, სახელწოდება „მაჭახელის" (მიჭიხიანის) შესახებ. გვ. 177-180; ჭოროხის ეტიმოლოგია, გვ. 89-92; დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, 1997, ხელნაბეჭდი, გვ. 20-21.

(საღორეთი, სიხალიძეები, ჭეანა, ჩაისუბანი, ხუცუბანი), ისე მოსაზღვრე რაიონებში (გუბაზეულის ხეობა-ხევის განძი, უდე-სამცხეში).[152] მკვლევარები ა. კახიძე და შ. მამულაძე მათ ძვ. წ. XIII-XI საუკუნეებით ათარიღებენ, ამავე დროს მიიჩნევენ, რომ ყუაკვერიანი ცულების გენეზისი აჭარის უძველეს მოსახლეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან ამ ტიპის ცულთაგან უმეტესი და ყველაზე ადრეული აჭარის ტერიტორიაზეა მოპოვებული.[153] ეს აზრი მართებულია და აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ცულების ეს ტიპი ჭართა ტომის წარმომადგენელთა ნახელავი უნდა იყოს. ყუაკვერიანი ცულების გავრცელების არეალი მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს ბიძერთა ტომის განსახლებით მოცულობას. კავშირ-ურთიერთობები აღნიშნულ მხარეებს შორის უძველესი დროიდან უნდა დამყარებულიყო. თავდაპირველად, როგორც ჩანს, მთიან და ბარის აჭარას შორის. დ. მუსხელიშვილის აზრით, დღევანდელი აჭარა ორი მნიშვნელოვანი ისტორიული „ქვეყნისაგან" შედგება: საკუთრივ აჭარა „დიდი აჭარა" და „მცირე აჭარა" (ბარი).[154]

ამრიგად, ისტორიული აჭარის (ოძრხეს საერისთავოს დასავლეთი ნაწილი) ტერიტორიაზე ძველაღმოსავლურ ხანაში მოსახლეობდნენ ან კოლხები, ან ჭარები (უიტერუხი). შესაძლებელია ამ ეპოქაში ჭართა დასავლური თემები დაფარული იყო ჰეგემონის კოლხის სახელით. წინააღმდეგ შემთხვევაში „ფარნავაზიანის" ცნობის აჭარის ტერიტორია ჭარებს ძვ. წ. 723 (კიმერიელების შემოსევა) ან ძვ. წ. 676 (მესხთა სამცხეში დამკვიდრება) წელს უნდა დაეკავათ. ანტიკური სანის დასაწყისშივე (ძვ. წ. VI ს.) აჭარის ტერიტორია იმავე ჭარებს (უიტერუხ-ბიძერებს) უჭირავთ და არა მარტო იმ პერიოდში, არამედ მთელი

---

[152] ა. კახიძე, შ. მამულაძე. აჭარისწყლის სეობის არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., გვ. 21-25.

[153] იქვე, გვ. 20.

[154] დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 14, 21, 53.

ანტიკური ხანის განმავლობაში. ქართული და სომხური წყაროების აჭარის მიწა-წყალზე მოსახლე ტომს ბერძნულ-რომაული წყაროები ბიძერებს-ვიზარებს უწოდებენ. ესენი აჭარის მკვიდრთა წინაპრები არიან და ამათვე მისცეს სახელი მათსავე სამკვიდრებელს - აჭარას (ვი-ძარ||ო-ძარ||ა-ჭარ-ა).

როგორც ზემოთ აღინიშნა მკვლევართა მეტი წილი აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომად ჭანებს წარმოგვიდგენენ. ამიტომ, ჩვენი აზრით, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა მოკლე ექსკურსი გაგვეკეთებინა ჭანების საბინადრო ადგილის გასარკვევად. აქედან გამომდინარე დაგვედგინა იყვნენ თუ არა რაიმე დამოკიდებულებაში საკუთრივ ჭანები აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთან-ბიძერებთან?

ჭანების პირველი მოხსენიება ეკუთვნის ბერძენ მწერალს სტრაბონს (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 24 წ.). იგი თაეის „გეოგრაფიაში" გადმოგვცემს: „ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ მოსახლეობენ ტიბარენები, ქალდები და სანები, რომელთაც უწინ მაკრონებს უწოდებენ."[155] როგორც ვხედავთ, არც ამ მონაცემებში დაბუსტებით არაა ნათქვამი თუ სად მოსახლეობენ ჭანები. ფაქტი ერთია, რომ ჭანები, როგორც ტომი ასპარეზზე მოულოდნელად ჩნდებიან ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, მაგრამ სხვა საკითხავია როგორ უნდა გავიგოთ მაკრონებს ახლა ჭანები ეწოდებათო?

ზოგი მკვლევარი მაკრონებს სანებთან აიგივებდა და სანების პირველ მომხსენებლად ჰეკატეოს მილეტელს (ძვ. წ. VI-V სს.) მიიჩნევდა (ს. ჯანაშია). სტრაბონისა და სტეფანე ბიზანტიელის (მას დაცული აქვს პირველის ცნობა) ცნობის ასეთი გაგება სწორი რომ არ იყო ადრევე შენიშნულ იქნა (მ. ინაძე). ზოგი მკვლევარის აზრით, ქსენოფონტეს „ანაბასისში" იმიტომ ვერ ვხვდებით სანებს, რომ ამ დროისათვის „სანს" თავისი მნიშვნელობა

---

[155] Страбон, География, с. 515.

დაკარგული აქვს და მაკრონები თავიანთ უფლებებში ისევ აღდგენილი ჩანან (თ. მიქელაძე).

ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მაკრონები იგივე მეგრელებია.[156] ეს შესედულება გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. სანების იგივე ჭანების ეთნიკური
წარმომავლობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი სვანურენოვანი ტომი.[157] ივ. ჯავახიშვილით სანი-ჭანი იგივეა, რაც მო-სინ-იკ-ი[158]. თვით სახელწოდება მოსინიკი კომპეტენტურ მკვლევართა მიერ სვანების თვითსახელ „მუშუან"-ის ფორმანაცვალი (ბერძნულად გააზრებული) სასეა.[159] ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ სანი ჩრდილოეთიდან (თან. აფხაზეთის ტერიტორიიდან, სადაც, მაშინ ძირითადად სვანური ტომები მოსახლეობდნენ) სამხრეთში მოვლენილი სანიგია, ძველი წელთაღრიცხვის მიწურულს.[160] სანიგი (სანიკი) კი შეიძლება იყოს იგივე

---

[156] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1913, გვ. 29.

[157] თ. ქემერტელიძე. სასპერთა გაერთიანების შესახებ, ჟურნ. „ცისკარი", 1992, №9-10, გვ. 179; ჭანების სვანურენოვნებაზე უნდა მიუთითებდეს ევსები კესარიელის (III-IV სს.) ერთი ცნობაც; მისი გადმოცემით სანები იგივე სანიგებია (ВДИ, 1948, №3, с. 222). ს. გოგიტიძე. რომელ ენაზე მეტყველებდნენ ანტიკური ხანის ჭანები, ჟურნ. ლიტერატურული აჭარა, 2001, №7.

158 სანიგები კი მოსახლეობდნენ თან. აფხაზეთის ტერიტორიაზე (შენიშვნა იქვე). ეს ტომი საკუთრივ სვანები (სანი-გი→სოანა→სვანი) ან სვანური წარმომავლობისანი უნდა ყოფილიყვნენ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1960, გვ. 404; სანებისა და სანიგების კავშირზე მიუთითებს აგრეთვე თ. ყაუხჩიშვილი (ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს
შესახებ, VI, თბ., 1987, გვ. 22-23).

[159] თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 13; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1980, გვ. 44-45.

[160] ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1987, გვ. 23, სქოლიო 30.

ჰენიოხი ან სანი→სოანა→სვანის შერყვნილი ფორმა. ასე, რომ სანი-ჭანი შეუძლებელია იყოს იგივე მაკრონი. მათ თითოეულს ერთ დროს განსაზღვრული მიწა-წყალი ეჭირათ. სტრაბონის გეოგრაფიის წერის დროს (ახ. წ. 10-იანი წწ.) მაკრონი, როგორც დამოუკიდებელი ტომი არ არსებობს, იგი უკვე გამქრალია. რომაულ მწერლობაში მაკრონის მოხსენიება ძველი წყაროების (ბერძნული) გავლენით უნდა იყოს განპირობებული.

ჭანის მოხსენიებას ვხვდებით აგრეთვე სტრაბონის უმცროსი თანამედროვე პლინიუსის (ახ. წ. 23-79 წწ.) „ბუნების ისტორიაში."[161] რომაელ მწერალს მოვლილი ჰქონია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო. იგი თავის წიგნში გადმოგვცემს როგორც თავისი თვალით ნანახ, ისე სხვა წყაროებით ცნობილ ცნობებს, ზოგჯერ ასდენს მათ შეჯერებასაც, მაგრამ არ განმარტავს თუ რომელი მასალა საიდან აიღო. პლინიუსი ჭანებს სამ ერთმანეთისაგან დაშორებულ ტერიტორიაზე მცხოვრებლად წარმოადგენს (თუ მისი ტექსტის „კენარებს" და „სხვა სანებს" ჭანებად ჩავთვლით): პირველი ცნობით: მდ. თერმოდონტის შემდეგ ცხოვრობენ ტომები კენარები, ხალიბები, არის კოტიების ქალაქი, ტომები ტიბარენები..." (VI, 11); მეორე ცნობით: „...ტრაპეზუნტამდე სანაპიროზე მდინარეა პიკსიპესი, იმის იქით კი სან-ჰენიოხთა ტომი..." (VI, 12); მესამეთი კი: „...სხვა მდინარეა-ხარიენტი, სალტიების ტომი, ძველები, რომ ფთიროფაგებს ეძახდნენ და სხვა სანები. მდინარე ხობისი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდის..." (VI, 14).

პირველი ცნობით, სანები (კენარები?) საღღაც ჰალის-თერმოდონტის მიდამოებში იგულისხმებიან; ამ კენარებს თუ სტრაბონის კენარებთან (თრაკიული ტომი)[162] რაიმე კავშირი არ აქვთ, მაშინ იქნებ კენ-არი პროკოპი კესარიელის ო-კენ-იტ-ებს დაუკავშირდეს, მაგრამ ამ უკანასკნელი იდეის გაზიარება მათი ტერიტორიული

---

[161] ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ 31-32.

[162] Страбон. География, с. 585, 879 (указатель).

დაცილებულობის გამოც რთულდება. თუმცა არაა გამორიცხული ჭანების ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მეზობელ რეგიონებში გადაადგილება. ამ მიმართულებით კი ჩვენი აზრით, გარკვეული სამუშაოებია ჩასატარებელი.

პლინიუსის მეორე ცნობით, სანები ჰენიოხებთან კავშირში მოიხსენიებიან, თვით ტერმინი „სან-ჰენიოხი" შესწავლას მოითხოვს.

სამხრეთის ჰენიოხებს ზოგი მკვლევარი ურარტული წყაროების იგანიეხის უკავშირებს, რომლებიც ჩილდირის ტბის მიდამოებში მოსახლეობდნენ.[163] მათი დასავლეთით (სამხრეთ-აღმოსაელეთ შავიზღვისპირეთში გადმონაცვლება მოგვიანებით უნდა მომხდერიყო (გ. მელიქიშვილი). ზოგი მკვლევარი ჰენიოხების სამხრეთში გამოჩენას ჩრდილოეთელი ჰენიოხების (მოსახლეობდნენ თან. აფსაზეთის ტერიტორიაზე) გადმონაცელებით ხსნის. ზოგიც მას ჭანურ ტომად მიიჩნევს.[164] ჩვენ არ გამოვრიცხავთ ტერმინების „სან"-ისა და „ჰენ"-ის იდენტურობას, რომლებიც ჭანის ადგილობრივი ფორმის მიმსგავსება შეიძლება იყოს. რაც შეეხება პლინიუსთან ერთი და იმავე ტომის ორ ვარიანტულ სახელად მოხვედრა სხვადასხვა წყაროებიდან სარგებლობის შედეგი უნდა იყოს, ან იქნებ თვით რომაელი ავტორი შეგნებულად ხმარობს ჭანების აღსანიშნავად ტერმინს სან-ჰენიოხს. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ ასახსნელია თუ რატომაა არიანესთან მოხსენიებული ჰენიოხები მაქერონებთან კავშირში და

---

[163] П. Ушаков. К походам урартийцев в Закавказье в IX и VIII вв. до н.э., ВДИ, 1946, №2, с. 37-38; გ. მელიქიშვილი. უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. - მიმომხილველი, ტ. II, თბ., 1951, გვ. 211; მისივე, Наири-Урарту, Тб., 1954, с. 57; მისივე, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 365.

[164] მ. ინაძე. ჭანები. - სქაუქტ, გვ. 396. გ. მელიქიშვილის მიხედვით ფოთის მიდამოებში მოსახლე ჰენიოხები სვანურენოვანი ტომი იყო (საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 64).

ჭანიკეს (წყაროებშია - თიანიკე) ქვეყანა კიდევ განცალ-კევებით.[165]

პლინიუსის სან-ჰენიოხები საძებარია დაახლოებით იქ, სადაც სტრაბონისა და პროკოპი კესარიელის ჭანები თავსდებიან.

პლინიუსის მესამე ცნობის „სხვა სანები" ძნელი სათქმელია ჭანებს გულისხმობს თუ სანიგებს (სვანებს). თუმცა კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი კოლხეთის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მოსახლეობენ. მკვლევარნი მათ სამეგრელოს ტერიტორიაზე ათავსებენ,[166] რაც საეჭვო ჩანს. ჩვენი აზრით, ესენი სვანები (სტრაბონთან-სოანა) მომდევნო ხანის რომაულ-ბიზანტიური წყაროების სანიგები არიან და არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო ეგრულ ჯგუფებთან.

მაშასადამე, დაზუსტებით იმის თქმა შეიძლება, რომ პლინიუსის ჭანები მოსახლეობენ დაახლოებით იქ, სადაც სტრაბონის ჭანები. სტრაბონთან ასახულია მაკრონებზე ჭანების ბატონობის ფაქტი; პლინიუსთან შეიძლება მსგავსი მომენტი ასახული იყოს ჰენიოხთა ტომის ნაწილთან (ჰენიოხთა გარკვეული ნაწილი ამ დროს მახერონებთან კავშირში არიან), თუ რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღინიშნა ჰენიოხი სანის მსგავსად ჭანის სახენაცვალი ფორმა არაა.

ჭანების ქვეყანას „თიანიკე"-ს ფორმით მოიხსენიებს მეორე რომაელი მოხელე ფლავიუს არიანე, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო მიდამოები ას. წ. 131 წელს მოიარა. მისი ცნობით, მდ. ოფისი ყოფდა კოლხთა და თიანიკეს ქვეყნებს.[167] კოლხები არიანესავე ცნობით, ტრაპეზუნტის მიდამოებში ლოკალიზდებიან,[168] ამიტომ ტრაპეზუნტ-ოფისს (სულაკლი) შორის კოლხების ქვეყანა, ხოლო ოფისს შემდეგ თიანიკეს ქვეყანა უნდა მოთავსდეს. მაგრამ თუ

---

[165] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა მავი ზღვის გარშემო, გვ. 36, 42.

[166] ს. ჯანაშია. შრომები, III, თბ., 1959, გვ. 15.

[167] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა... გვ. 36.

[168] იქვე, გვ. 42.

გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ოფისს შემდეგ ძიდრიტების (ბერძნული წყაროების ბიძერები) ტერიტორიამდე ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ მაქერონებისა და ჰენიოხების სამეფო მდებარეობდა, მაშინ თიანიკეს ქვეყანა ზღვის სანაპირო ზოლის სიღრმეში, მდ. ოფიუნტის ზემო წელის მიდამოებიდან სამხრეთისაკენ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არის საძებარი. იქნებ ამავე საფუძველზეა თიანიკე-ჭანები მოთავსებული აღნიშნულ ტერიტორიაზე ნ. კეჭაყმაძის მიერ არიანეს ცნობების მისედვით შედგენილ რუქაზე.[169] მისი განმარტებით „ეს ტომები (თიანიკე-ჭანები და აბასგები-ს. გ.) ნაპირს დაცილებულნი იყვნენ და მთიანეთში ცხოვრობდნენ."[170] აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ახ. წ. II ს-ში ჭანები მოსახლეობდნენ ოფის-რიზეს მიდამოებიდან სამხრეთისაკენ კონტინენტურ ნაწილში. არიანეს მონაცემებით ჭანები ზღვის სანაპირო ზოლში არ მოსახლეობენ. რიზე-ათინას მიდამოები უჭირავთ მაქელონებისა და ჰენიოხების სამეფოს;[171] ზოგჯერ ამ სამეფოს მმართველს ჰენიოხების მეფეს უწოდებენ.[172] აღნიშნულ ზღვისპირა ზოლს ჰენიოხების საცხოვრისად წარმოგვიდგენს პლინიუსი ახ. წ. 78 წელს და ფლავიუს არიანე (ახ. წ. 131 წლის ცნობა); ზოროასტრის ქააბის წარწერა (ამოკვეთილია 261 წელს) ამ სამეფოს მახელონიას (ბერძნული ტექსტით-Ma *χελογι α*) და „სიკან"-ს (ფალაური ტექსტით-Syk'n) უწოდებს.[173] აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის სამხრეთ მონაკვეთზე ჭანების დასახლების შესახებ არც V ს. ბერძენ ანონიმს მოეპოვება ცნობა. მისი თქმით, ოფიუნტიდან არქაბემდე ძველად

---

[169] იქვე, თანდართული რუკა.

[170] იქვე, გვ. 23.

[171] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის... გვ. 101.

[172] იქვე, გვ. 204-205.

[173] ნ. ლომოური. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975, გვ. 13; D. Braund. Georgian in Antiguity, p. 240 და სქოლიო 18.

მოსახლეობდნენ ეკხირიელები, ახლა კი მაქელონები და ჰენიოხები.[174] ჩვენი აზრით, ბერძნული წყაროების ეკხირიელები რომაული წყაროს მაქერონებს შეეფარდება. ამ ტომის სახელი შემოინახა აჭარის ერთ-ერთმა ხეობამ-მაჭახელმა. მაქელონები, რომლებიც მოსახლეობდნენ ოფიუნტ-არქაბს შორის ანტიკურ ხანაში (მათი ლოკალიზაცია დაზუსტებას მაინც მოითხოვს) რომაულ ხანაში ჰენიოხებთან ერთად გაერთიანებული არიან ერთ სამეფოში. ასეთ შემთხვევაში ჰენიოხები თუ ჭანებია, მაშინ ისინი მაქელონების მეზობლად სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის კუთხის შიგნით მოსახლედ უნდა ვიგულოთ და არა ზღვის სანაპიროზე. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პროკოპის მონაცემები ჭანების შესახებ ასეთ ვარაუდს არ ეწინააღმდეგება. ბიზანტიელი ისტორიკოსის მონაცემებზე დაყრდნობით, ჭანები მაქელონების აღმოსავლეთით კი არა, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით მოსახლეობენ.

პროკოპი კესარიელი გვამცნობს: „ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან ან სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ, ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახდნენ, რომელნიც ახლაც იმავე სახელს ატარებენ.[175] თუმცა-შენიშნავს იგი-არც ერთი ამათგანი სიმართლეს არ შეეფარდება. ჭანები ხომ ზღვის ნაპირს ძალიან არიან დაშორებული და არმენიელების გვერდით ცხოვრობენ შუახმელეთზე...“ შემდეგ დასახელებულია ჭანების საცხოვრისი; იქვე მიუთითებს „... ჭანები გამოირჩევიან როგორც არაზღვის-პირა მცხოვრებლები...“[176]

როგორც ვხედავთ, ჭანები არც ახ. წ. VI ს-ში მოსახლეობენ ზღვის სანაპირო ზოლში. ეს რომ ასე იყო, ამას პროკოფის სხვა ცნობებიც მოწმობენ. მისი გადმოცემით: ა) ჭანეთის მთების გადაღმა რომაელთა

---

[174] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა... გვ. 85.

[175] ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, II, თბ., 1934, გვ. 90.

[176] იქვე, გვ. 90-91.

ქვეშევრდომი არმენიელები ცხოვრობენ;[177] ბ) ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე ბოას-აკამფსისი,[178] ე. ი. ჭოროხი.

პირველი ცნობით, ჭანები ზღვისპირა ზოლის სიღრმეში არმენიელთა მეზობლად იგულისხმებიან; მეორე ცნობის მიხედვით ჭანთა მიწა-წყალი და ჭანეთის მთები ჭოროხის სათავეების მახლობლადაა საძიებელი. ბიზანტიელი ისტორიკოსის გადმოცემით, ტრაპეზუნტ-პეტრას სანაპირო ზოლში სულ სხვა ხალხი მოსახლეობს, ისინი არც ჭანებია და არც ლაზები.[179]

პროკოპი კესარიელი, ჩვენი აზრით, ამ კითხვაზეც იძლევა ზუსტ პასუხს.

ბიზანტიელი ისტორიკოსის აღწერით, ჭანთა ქვეყანა ასეთია: „ჭანების მიწაზე არის ადგილი სხამალანიხი, სადაც იუსტინიანემ ააშენა პირველი ეკლესია ახლადმოქცეული ჭანებისათვის. ამ ადგილას ქვეყანა წარმოადგენს გზაჯვარედინს სამი მიმართულებით, ასე რომ აქ იწყება რომაელთა მიჯნა, სპარსეთის არმენიელებსა და ჭანებს შორის და აქვე შორდებიან. ამ პუნქტში იუსტინიანემ ააშენა -პირველი სიმაგრე ქვეყანაში ორონი...“ შემდეგ განაგრძობს პროკოპი ორონიდან ორი დღის სავალზე ერთ-ერთი ჭანური ტომის ოკენიტი ჭანების მიწაზე დგას სოფელი ხარტი. ხარტიდან აღმოსავლეთისაკენ იხსნება ციცაბო ხეობა ჩრდილოეთის მიმართულებთ, სადაც მდებარეობს სიმაგრე ბარხი. შემდეგ ზაგონის მთების კალთები... მთებს უკან დაბლობ ადგილას არის სოფელი კენა, აქედან დასავლეთისაკენ - სიმაგრე სისილისი. ამ უკანასკნელიდან მარჯვნივ ჩრდილოეთისაკენ-Местность, называется фассатом Лонгина по имени римского полководца Лонгина Исавра... აქ იუსტინიანეს დროს აშენდა სიმაგრე ბურგი სისილისიდან ერთი დღის სავალ გზაზე. შემდეგ მოდის კოქსილანის ჭანების მიდამოები, მათ

---

[177] იქვე, გვ. 92.
[178] იქვე.
[179] იქვე. გვ. 182-192.

აქვთ ორი სიმაგრე სსამალანიხი და ჭანზაკი (Proc. Aed. III, 6, p. 257).

პროკოპის წიგნის აქ მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ თუ სად მოსახლეობდნენ ჭანები, აქვე ლაპარაკია ჭანების ორი ტომის ქვეყანათა შესახებ. კარგად ჩანს, რომ ჭანების საბინადრო ჭოროსის ზემო წელის მიდამოებს მოიცავდა და არა ზღვის სანაპირო ზოლს. ეს რომ ასეა, ამას ემოწმება ისტორიკოსის მომდევნო ცნობაც: ჭანების მიწის იქით მოდის ქვეყანა, ევქსინის პონტოს სანაპიროზე გადაჭიმული მთავარი ქალაქით ტრაპეზუნტით (III, 7, p. 260). ტრაპეზუნტელების ტერიტორია მიდის სუსარმიამდე და რიზემდე, რომელიც ტრაპეზუნტს დაშორებულია ორი დღის სავალ გზაზე (Proc. Goth. IV, 2, p. 463-4).

ბიზანტიელი ისტორიკოსის მიხედვით არც რიზეს შემდეგ მოსახლეობენ ჭანები, მისი ცნობით: „რიზეს მოსდევს მიწა-წყალი ერთი ხალხისა, რომელიც რომაელებს და ლაზებს შორის მოსახლეობს." პროკოპის გადმოცემით „ერთი ხალხის" ტერიტორიაზეა ათინა, არქაბე და აფსარუ. მათი საზღვრები მიდის პეტრამდე[180] (თან. ციხისძირი). ასე, რომ VI საუკუნის შუა ხანებში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზოლი (რიზე-პეტრას ციხის მონაკვეთი) უჭირავს ერთი ტომის მოსახლეებს, ისინი არც რომაელებია, არც ჭანები და არც ლაზები. პროკოპი კესარიელი ამ „ერთი ხალხისგან" ცალკე ჰყოფს და ასასიათებს ჭანებსა და ლაზებს, რომელთაც სხვა ტერიტორიაზე მოსახლე ტომად წარმოგვიდგენს.[181]

პროკოპი მოგვითხრობს, რომ ჭანების რაზმი, რომელიც პეტრასთან ბრძოლაში (550 წ.) მონაწილეობდა, სამშობლობში დაბრუნებისას საზღვაო სანაპიროთი მივიდნენ რიზეში, აქედან ათენსა და ტრაპეზუნტის გავლით დაბრუნდნენ სახლებში. ბიზანტიელი ისტორიკოსის ამ და სხვა ცნობებს იმოწმებს ნ. ადონცი და გვაწვდის აზრს, რომ

---

[180] გეორგიკა, II, გვ. 94.

[181] იქვე, გვ. 182-192.

ჭანები სინამდვილეში, ცხოვრობდნენ სანაპიროდან შორს მატერიკის შიგნით.[182] მისივე განმარტებით, ოკენიტის ჭანები ცხოვრობდნენ კოქსილანის ჭანების სამხრეთით. პირველთა ადგილმდებარეობა კი გაიგება ხარტის (ბაიბურთს ზემოთ) მდებარეობით. პროკოპის მონათხრობს ჭანების შესახებ მხარს უჭერს მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათიას (VI ს.) მონაცემიც. იგი წერს: „ჭანები ცხოვრობდნენ ევქსინის პონტოს სამხრეთით ქ. ტრაპეზუნტის ქვემოთ...“[183]

დ. ხახუტაიშვილის აზრით, კერასუნტ-ტრაპეზუნტის მიდამოებში მცხოვრებთათვის ძირითადი საგომო სასელი ჭანი ყოფილა. მეცნიერის სამართლიანი მითითებით-ლაზები მათ მწიგნობრული გზით შეერქვათ. ჭანები პროკოპი კესარიელის დროს ზღვის სანაპიროზე აღარ ცხოვრობდნენ; მათ აღმოსავლეთიდან არმენები ემეზობლებოდნენ.[184]

გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, ახ. წ. I-II საუკუნეების წყაროებით ჭანები მოსახლეობდნენ ტრაპეზუნტის სამხრეთით მთიან ოლქებში. აქედან ისინი თავს ესხმოდნენ როგორც ტრაპეზუნტს, ისე რომის იმპერიის სხვა სამფლობელოებს.[185] ჭანების ლოკალიზაციის მსგავსი ვარიანტებია შემოთავაზებული სხვა მკვლევართა მიერ შედგენილ რუკებზეც.[186]

ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, ის, რომ გეოგრაფიულად თუ რამდენად იყვნენ ჭანები დაშორებული აჭარის ტერიტორიიდან. ჭანები ანტიკურ სანაში მოსახლეობდნენ აჭარიდან შორს სამხრეთით ტრაპეზუნტ-რიზეს ზღვისპირა ზოლის შიგნით, ქვემოთ, ხარტის მიდამოებში (ზუსტი ლოკალიზაციის შესახებ საუბარი გვექნება სხვა ნაშრომში).

---

[182] Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, С-П, 1908, с. 61-62.

[183] იქვე, გვ. 62.

[184] დ. ხახუტაიშვილი. შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები... გვ. 58.

[185] Г. А. Меликишвили, К истории.. с. 387, იხ. აგრეთვე თანდართული რუკა.

[186] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა... თანდართული რუკა; ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, თანდართული რუკა.

მაშასადამე, ჩვენი აღრეული დასკვნა, რომ ჭანებს არასდროს უცხოვრიათ, არათუ აჭარის ტერიტორიაზე, არამედ მის სიახლოვესაც კი[187] ძალაში რჩება. აქედან გამომდინარე ყოვლად შეუძლებელია, მე ვიტყოდი აბსურდულიცაა, სატომო სახელ „ჭანისა" და სახელწოდება „აჭარის" რაიმე კავშირზე საუბარი. სატომო სახელი ჭანი და ქვეყანა „ჭანეთი" ჩნდება ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, აჭარის ქვეყანა კი ხევების ინსტიტუტის ჩამოყალიბების ხანაში. სახელი ამ რეგიონს ძველმა ქართველმა ტომმა ჭარებმა მისცეს, რომლებიც სხვადასხვა წყაროებში, სხვადასხვა სახელით გვევლინებიან.[188]

სამეცნიერო ლიტერატურაში ის აზრია გაბატონებული, რომ ძველად აჭარის ტერიტორია ეკავა ზანურენოვან მოსახლეობას. ქართის ტომის წარმომადგენლები კი ძირითადად არაბთა საქართველოში ბატონობის პერიოდში, დაახლოებით VIII-IX სს. შემოსულან და დამკვიდრებულან. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი აღიარებს, რომ ქართთა დასავლეთის მიმართულებით ექსპანსია ჩვენს წელათღრიცხვამდე უნდა დაწყებულიყო. დამხდურებისა და მოსულთა შერევის შედეგად წარმოქმნილა ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომელთაც თითქოს მათი საცხოვრისის აჭარის თუ მდინარე აჭარის (აჭარისწყალი) ხეობაში მოსახლეობის გამო აჭარელი შერქმევია. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა დაუსაბუთებელი დებულებებია და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული უნდა იყოს.

გასული საუკუნის ბოლოს დ. ბაქრაძეს საქართველოში თავისი მოგზაურობისას ჩაუწერია: „ჩვენ ვეთანხმებით ხასან-აღას იმაში, რომ ლაზთა ტომს მეგრელებთან ერთად

---

[187] ს. გოგიტიძე. რეცენზია შ. ეარშანიძის წიგნზე: „აჭარა ანტიკური სანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, გამ. „საბჭოთა აჭარა", 1990 წ. I ნოემბერი; მისივე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის დამახინჯების კიდევ ერთი ცდა, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1999, №3, გვ. 147.

[188] ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, ჟურნ. „ჭოროხი", 1996, №1.

მიჯრით ეკავა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროს მეტი ნაწილი; ეეთანხმებით იმაშიც, რომ ქართველები შეიჭრნენ სოლივით მათ მხარეში და ამგვარად, ერთმანეთისაგან განაცალკევეს ისინი; მაგრამ როდის და რა ვითარებაში, - აი, რა არის დაფარული განუჭვრეტელი წყვდიადით."[189] მსგავს ცნობას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძეც: ბათუმის მიდამოებიდან აყრილი ლაზების მაგიერ ქართულ ენაზე მეტყველი ჯგუფები დაუსახლებიათ.[190]

ნ. მარი თვლიდა, რომ ორ მონათესავე ტომს მეგრელებსა და ჭანებს შორის შეჭრილია ქართული ტომები გურულების, აჭარლებისა და ქობულეთლების სახით. „Грузинское же влияние связано с иммиграцией грузин, точнее картов, начало которой положено лишь в конец VIII века по р. Хр."[191]

ი. გოგებაშვილი წერდა, რომ ჭანები და მეგრელები ძმები არიან. ისინი ადრე ერთ ერს შეადგენდნენ. მათ ეჭირათ მთლიანად აღმოსავლეთი და სამხრეთი შავი ზღვის სანაპირო.[192] სხვაგან საზოგადო მოღვაწე იმოწმებს უსლარს და ამბობს, რომ შავი ზღვის სანაპიროები აფხაზეთიდან სამსუნამდე დასახლებულია ქართველი ტომის მეგრული შტოთი. მათ შორის ქართის ტომები (გურულები) შეჭრილან.[193]

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, რიონის სამხრეთით მდებარე ქვეყანა V-VI სს. თითქმის უკაცრიელი იყო. VII და უფრო მეტად VIII საუკუნეში მტრებისაგან (სპარსელები, არაბები)

---

[189] დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987, გვ. 32.

[190] ზ. ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველომი, ტფ., 1913, გვ. 254.

[191] Н. Марр. Чанского (Лазского) языка, С-П, 1910, с. XV.

[192] ი. გოგებაშვილი. ბუნების კარი, მესამე და მეოთხე წლისათვის, თბ., 1912, გვ. 528.

[193] ი. გოგებაშვილი. ერთი დიდი შეცდომა, წიგნში: იყო და მარად იქნება, შემდგენელი მ. ვარშანიძე. ბათუმი, 1978.

შევიწროებული აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა იხიზნებოდა ამ უკაცრიელ ადგილებში. ისინი იძულებულნი იყვნენ აქ დარჩენილიყვნენ. „აი, რა დროს და საითგან უნდა გაჩენილიყო ქართების მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში."[194] მსგავსი აზრია შემოთავაზებული ივ. ჯავახიშვილის სხვა ნაშრომშიც.[195]

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ქართი გაიჭრა დასავლეთში და აქაური ტომების (გურია, აჭარა-ზანების) ქართიზაციას ახდენდა. უძველესი დროიდან ვიდრე VII-VIII საუკუნეებამდე და შემდეგაც მიმდინარეობდა ეს პროცესი.[196] ალბად, აჭარასა და გურიაში იბერიელები ადრიდანვე შემოდიან და არა მხოლოდ VIII-IX სს., როგორც ამას ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობენ. ნ. ბერძენიშვილი იქვე შენიშნავს, რომ ისე კი საკითხავია, „როგორ მოხდა, რომ არაბთაგან შევიწროებულმა ლტოლვილებმა ეს ამოდენა ქვეყნები ხელთ იგდეს ლაზიკის („აფხაზეთის") აგრე დაწინაურებულობა-მორჭმულობისას (იოანე საბანისძის მოწმობა)?" იბერები (აჭარიდან, სამცხიდან, არგვეთიდან...) სახლდებიან გურია-აჭარის ზღვისპირეთში (ქობულეთი, კახაბერი...), პროცესი VI ს. დამთავრებული არაა. მოსახლეობა აქ ისევ თხელია. ვაშნარ-გურიის წარმოქმნა იბერიზაციის შედეგი უნდა იყოს.[197]

ა. ჩიქობავას აზრით, დაახლოებით ახ. წ. I-II სს. „ჭანური" უშუალოდ მიყვებოდა „მეგრულს". შემდეგ ქართის ტომი შიგ შუაგულში შეჭრილა და ლაზები და მეგრელები ერთმანეთს დაუშორებია. დაპყრობილი ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებია.[198]

---

[194] ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. II, თბ., 1983, გვ. 88.

[195] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ., I, 1960, გვ. 429.

[196] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 365.

[197] იქვე, გვ. 387, 488-489.

[198] ა. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936, გვ. 3-9.

პ. ინგოროყვა წერს, რომ „სამხრეთ კოლხეთში... სამეგრელოსა და ჭანეთს შუა ზოლთა-შორისად არის შეჭრილი მესხური ტომის შტო (გურულები და ქობულელ-აჭარლები).“[199]

მ. ვანლიშის მიხედვით, ძველი კოლხეთის სამეფოში ძირითადად ლაზ-ჭანები და მანრალ-მეგრელები (ეგრისელები) მოსახლეობდნენ, რომლებიც მეტყველებდნენ ზანურ ენაზე. შემდეგში არაბთა მიერ დევნილმა ქართულ ენოვანმა მოსახლეობამ თანდათან დაიკავეს ჭოროხისა და რიონის ხეობები.[200]

ნ. ნიჟარაძისა და ნ. ჯიბუტის აზრით, უძველეს დროს აჭარის ტერიტორიაზე კოლხური წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ. შემდეგ ეპოქაში აქ ჩამოყალიბდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე, დამოუკიდებელი ეთნიკური ჯგუფი-აჭარლები. სიტყვა „აჭარელი“ წარმოიშვა სახელწოდებიდან „აჭარა“, რომელიც ეწოდებოდა მდინარე აჭარისწყლის ხეობას.[201]

შ. ნიჟარაძე წერს, რომ აჭარელი და გურული შეჭრილია შაავი ზღვის სანაპიროზე, სადაც ზანთა უწყვეტი მოსახლეობა იყო.[202]

მკვლევართა აზრით, საერთოდ კოლხური მოსახლეობის ქართიზაციის პროცესი ახალ წელთაღრიცხვამდე უნდა დაწყებულიყო. ქართიზაციის პროცესის შედეგი უნდა იყოს ის, რომ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ოლქები-საერისთავოები „არგვეთი“ და „სამცხე და აჭარა“ ხშირად ქართლის სამეფოშია.[203] შემდეგ ამ გარემოებას ისიც დაემატა, რომ დასავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილი სპარსეთ-ბიზანტიის ხანგრძლივი ომების (VI ს.) შედეგად გაუკაცრიელდა. ამ ვითარებით ისარგებლეს

---

[199] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 129, 140.

[200] მ. ვანლიში. ჩემი ლაზეთი, გვ. 234, 338.

[201] Н. Нижарадзе, Н. Джибути. Аджария, Батуми, 1978, с. 82.

[202] შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, თბ., 1971, გვ. 48.

[203] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 67-68.

არაბთაგან დეენილმა აღმოსაელეთ საქართველოს მოსახლეობამ. ისინი შეერწყვნენ ზანურ ჯგუფებს და ასე წარმოიქმნა აჭარა და გურია.[204] ეთნოგრაფიული ჯგუფების-აჭარლებისა და გურულების ფორმირება ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ VII-VIII საუკუნეებისათვის ისტორიული აჭარისა და გურიის აღმოსაელურ ქართულ პროვინციებად გადაქცევის პროცესი დასრულებულად უნდა მივიჩნიოთ.[205]

ჰიპოთეზა, შავი ზღვის აღმოსავლთი სანაპირო, რომ თითქოს ერთი მოდგმის ხალხს ეჭირა, ძველაღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში რაიმე საბუთებით შემაგრებული არაა და ვფიქრობთ შეუძლებელია რომ მოიძებნოს. ყველა ეს ვარაუდები ერთმანეთისაგან ნასესხებია მხოლოდ, ამიტომაა, რომ თანამედროვე მკვლევარები სარწმუნოდ არ მიიჩნევენ ამდაგვარ ჰიპოთეზებს, ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანადაც. მოვიტანოთ კომპეტენტური მკვლევარების კვლევის შედეგები.

ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, არავითარი კავშირი არ არსებობდა კოლხეთის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეგრულ-ჭანურ ჯგუფებს შორის. ისინი ერთმანეთისაგან მოწყვეტილად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. პირიქით, მცირერიცხოვანმა კოლხებმა შეავიწროვეს სვანურენოვანი მოსახლეობა და თანდათან დაიკავეს რიონ-ენგურის აუზები.[206]

დასავლეთ საქართველოს ოლქების იბერიზაციის საკითხს თავის რამდენიმე ნაშრომში შეეხო დ. მუსხელიშვილი. ერთგან იგი იმოწმებს მეგასთენეს და მიუთითებს, რომ ჭოროხის აუზი - „იბერებს უჭირავთ და უკვე მეგასთენეზე უწინარეს „ქართლში შემოდის." უნდა

---

[204] ს. მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 13-14.

[205] ვ. მგელაძე. მოსახლეობის მიმოქცევის საკითხისათვის აჭარაში, ბსკი-ის მესამე სამეცნ. სესიის მოხს. თეზისები, გვ. 23; ნ. მგელაძე. აჭარაში მესხთა მიგრაციის საკითხისათვის.-„ეთნოგრაფიული გამოკვლევები", თბ., 1989, გვ. 79.

[206] ო. ლორთქიფანიძე. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1981, გვ. 50-51.

ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. VI ს-ში არა მარტო სასპერები გადიოდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, არამედ „პოლიტიკური ქართლიც“ აღწევდა აქამდე. ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან უკვე შეიძლება საუბარი ქართის ტომების ინფილტრაციაზე დასავლეთის მიმართულებით.[207] ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების წინ აღმოსავლეთ ქართული მოსახლეობის (მესხების) დენას დასავლეთ საქართველოში აღნიშნავენ სხვებიც.[208] დ. ხახუტაიშვილმა მოგვაწოდა ცნობა, იმის შესახებ, რომ აჭარაში ახალი ნაკადის შემოღწევა ძვ. წ. II ს. ბოლო მეოთხედი-ძვ. წ. I ს. პირველი მეოთხედი-მოხდა.[209]

დ. მუსხელიშვილი სხვა ნაშრომში აღნიშნავს, რომ ახ. წ. VI ს. შუა წლებისათვის უკვე მომხდარა მნიშვნელოვნად შესამჩნევი იბერიზაცია გურიის მოსახლეობისა. VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილებში ქართიზაცია დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, რომელიც დაკავშირებული იყო არაბთა ლაშქრობებთან (VIII ს. პირველი ნახევარი). ამ პოლიტიკურ ძვრებმა გამოიწვია დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილობრივ გაქცევა და ძლიერი მიგრაციული ტალღის აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში გადანაცვლება.[210]

ბოლო დროს დ. მუსხელიშვილმა აჭარის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა. აქ აღნიშნულია, რომ ძვ. წ. IX-VIII სს. აჭარის მოსახლეობა განსაკუთრებით შიდამთიანი რეგიონისა, აღმოსავლურ ქართული მოდგმისა უნდა ყოფილიყო, დასავლურ ქართული ტომების მცირე შენარევით. გვიანბრინჯაო-ადრეული

---

[207] დ. მუსხელიშვილი. ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. - სქაუქტ, თბ., 1993, გვ. 353-355.

[208] Г. Лорткипанидзе. Колхида в VI-II вв. до н.э., Тб., 1978, с. 21.

[209] ცნობის მოწოდებისათვის პატივცემულ მეცნიერს მადლობას მოვახსენებთ.

[210] Д. Л. Мусхелишвили. К вопросу о центре Эгриского царства. – Кавказ и средиземноморье, Тб., 1980, с. 138.

რკინის ხანაში დღევანდელი აჭარის ტერიტორია ერთი მთლიანი ეკონომიური რაიონია.[211]

საინტერესოა, ამ მხრივ როგორი ვითარება იყო აჭარის ზღვისპირეთში?

დ. ხახუტაიშვილის აზრით, ძვ. წ. XV-VII სს. მთავრდება ქობულეთის ქვეყნის (?)ეთნიკური სახის ფორმირების ერთი საფეხური. აქ შემონახული ტოპონიმები (ჯიხანჯური, ოჩხამური, კინტრიში, კინკიშა, ოხტომი...) მიგვანიშნებენ, რომ ქართულ-ზანური ერთობის ხანაში ეს „ქვეყანა" კოლხური სამყაროს ნაწილია და ასეთად დარჩა იგი ზანურ-ქართული ერთობის დაშლის შემდეგაც. აჭარის რაიონებმა განიცადეს ქართიზაცია, მაინც ქართული ენობრივი რელიქტები ტოპონიმიკამ დღემდე შემოინახა.[212]

თ. ქემერტელიძე თვლის, რომ ბიძერები სვანურენოვანი მესხებია. ფარსმან ქველმა (II ს. 30-50-იანი წწ.) მოახერხა მესხეთის ნაწილების, მათ შორის აჭარის ქართლზე მიერთება. ამ სვან-მესხური თემების ოლქების საბოლოო გაქართება ადრე ფეოდალურ ხანაში უნდა განხორციელებულიყო.[213] გაკვირვებას იწვევს ფრანგი მეცნიერის ნათქვამი აჭარლებზე, რომ თითქოს ისინი „употребляют диалект лазический или лезгинский."[214]

ბიძერებს მიიჩნევენ აგრეთვე მეგრულ-ჭანურ (ს. მაკალათია, გ. მელიქიშვილი...), ან ჩრდილო-კავკასიურ (ხ. ბღაჟბა, ი. სიხარულიძე), ან კიდევ ბერძნულ (მ. წერეთელი) ტომად. ზოგიერთი მკვლევარი ამ სატომო სახელს ოდიშთან (ს. კაკაბაძე) ზოგიც ქსერქსენესთან (გ. ქავთარაძე) აკავშირებდა. ქართულ მითოლოგიურ ლექსიკონში კი ბიძერების შესახებ ვკითხულობთ: „ბიძერები-კოლხთა

---

[211] დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ხელნაბეჭდი, 1997, გვ. 40.

[212] დ. ხახუტაიშვილი. ქობულეთის „ქვეყანა", I, ბათ., 1995, გვ. 46.

[213] თ. ქემერტელიძე. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი ძველაღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში, ავტორეფერატი, თბ., 1998, გვ. 25, 31.

[214] Дюбоа-де-Монпере. Путешествия по южным обпастям России, с. 104.

მეზობლები პონტოში, სტრაბონის ცნობით, მოსინიკების მეზობლები. კოლხთა ორთავე ტომთან ასეთი სიახლოვეც და სახელის ეღერადობაც მათ ძლიერ აახლოვებს კოლხებთან, შესაძლოა კოლხთა ძლიერ მონათესავე ტომიც იყოს და ეპონიმიც ბიზანტიისა, რომლის სახელსაც მკელევარნი მითიურ ბიძასთან ეძებენ."[215]

ანტიკურ ხანაში აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის თუ ტომთა ეთნიკური კუთვნილებისა და წარმომავლობის საკითხს ბოლო დროს ვრცლად შეეხო ნ. მგელაძე. იგი ერთ-ერთი სტატიის შესავალ ნაწილში წერს: „კოლხური ეთნოსის ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ გაერთიანებას „ძიდრიტები" („ბიძერები") წარმოადგენენ, რომლებიც უნდა ვივარაუდოთ, ზანური ენის ჭანურ დიალექტზე მეტყველებ-დნენ."[216]

მეცნიერები უკანასკნელ ხანებში „კოლხურ ეთნოსს" საერთო ქართველური ფუძე-ენის მატარებლად მიიჩნევენ. კოლხურს, ე.ი. საერთო ქართველურს ჯერ სეანური გამოჰყოფია, ხოლო შემდეგ ზანურენოვანი ჯგუფი. აქ გაუგებარია ის, რომ ბიძერ-ძიდრიტები ერთდროულად კოლხური (ე.ი. საერთო ქართველური) და ამავე დროს ზანური ენის მატარებელია. ასევე გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ თურმე ბიძერ-ძიდრიტთა მეტყველება ზანური ენის ჭანური დიალექტი ყოფილა. არც ეს შეხედულებაა რაიმე მეცნიერულ საბუთზე დამყარებული. ეტყობა ავტორს მსედველობიდან გამოეპარა ის გარემოება, რომ ჭანები მოსახლეობდნენ ბაიბურთს ზემოთ, ხარტის მიდამოებში. ამასთანავე ჩვენთვის ცნობილია ჯერჯერობით ჭანების ორი განშტოება (კოქსილანი და ოკენიტი) და არა სხვა რომელიმე (მაგ. თუნდაც აჭარა ან ბიძერები, როგორც ამაში ნ. მგელაძე გვარწმუნებს). როგორც აღინიშნა,

---

[215] აკ. გელოვანი. მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 104.

[216] ნ. მგელაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი და აჭარა, გაზ. „აჭარა", 1994, 6 აგვისტო.

[216ᵃ] ს. გოგიტიძე ანტიკური ხანის ჭანების წარმომაელობისათვის, გაზ. აჭარა, 2001, 5 ივლისი; მისივე, რომელ ენაზე მეტყველებდნენ ანტიკური ხანის ჭანები, ჟურნ. ლიტერატურული აჭარა, 2001, №7.

საკუთრივ ჭანები აჭარის ტერიტორიისაგან დიდათ დაშორებული ჩანან (სტრაბონი, არიანე, პროკოფი, აგათია). ამავე დროს გაურკვეველია ანტიკური ხანის ჭანები რომელ ენაზე ან დიალექტზე მეტყველებდნენ, ან საერთოდ წარმოადგენდნენ ისინი თუ არა ზანური ენის დიალექტს. ჩვენი აზრით, როგორც ვნახეთ გამორიცხული არაა, რომ ისინი სვანური ტომის შტოს წარმომადგენლები ყოფილიყვნენ.[216a]

ნ. მგელაძე ამავე სტატიაში ძიდრიტებს ერთ ადგილას მთიელ ტომებად წარმოგვიდგენს, ხოლო ბიძერებს ზღვის ნაპირას მოსახლეს. სხვა ადგილას მკვლევარი წერს: „ძიდრიტის სამოსახლოს (არიანე - ს. გ.) ადგენს იქ, სადაც ძიდრიტთა გახსახლების ქვემო ტოტი აღწევდა სადაც მას მათი დაფიქსირება შეეძლო. ნ. მგელაძე არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, რომ თუ სად უნდა მოვათავსოთ ამ შემთხვევაში ბიძერები, რომლებიც ასევე მისი თქმით, სწორედ არიანე-V ს. ანონიმის მიერ მოხსენიებულ ძიდრიტთა ტერიტორიას ემთხვევა. ცოტა ქვემოთ აეტორი ბიძერებს უკვე მთიან ზოლში მოსახლედ წარმოადგენს - „აჭარა“ აჭარისწყლის სეობაში ბიძერთა სამოსახლოს აღნიშნავდა.

ამავე სტატიაში ნ. მგელაძე აყენებს „ჭან“ და „ჭარ“ ფუძეების იდენტურობის საკითხს, რის გამოც თურმე „აჭარელთა წინამორბედი ეთნოგრაფიული ჯგუფის ზანურობის საკითხი უცვლელი რჩება.“ აქვე ნათქვამია, რომ „ბიძერები ზანური სუბერეთნოსის ჭანურ ეთნოგრაფიულ შტოს განეკუთვნებოდნენ, ხოლო აჭარლები ქართიზებულ, გაცილებით გვიან წარმოქმნილ ერთობას წარმოადგენდნენ“.

ავტორის აზრით, ეს ყველაფერი თურმე „თეორიული ლოგიკით უნდა ვიგულისხმოთ,“ რადგან ის „არც წერილობით დასტურდება.“ ასევე გაკვირვებას იწვევს ნ. მგელაძის ნათქვამი, რომ „ჭანების ანუ აღრინდელი უიტერუხების...“

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ტომთა ტერიტორიული დაშორებულობა, წყაროებში მათი გამოჩენის

ქრონოლოგიური სივრცე, ეტიმოლოგიური და ფონეტიკური განსხვავებულობა საფუძველს არ გვაძლევს იმისათვის, რომ ამ ტომთა იგივეობის საკითხი წამოვაყენოთ. ნ. მგელაძე სტატიის ბოლოს აღნიშნავს, რომ VII-VIII საუკუნეებში აჭარისწყლის ხეობის ადგილობრივ ზან-ბიძერებსა და მიგრანტ ქართებს შორის ურთიერთშერწყმის პროცესი ხდებოდა. მკვლევარი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო ეს პროცესი-აჭარლების ეთნიკურ და ამავე დროს ქართისენოვან ჯგუფად ჩამოყალიბება, თუკი ასეთი რაიმე მართლაც იყო. აქვეა საუბარი მოძველებული თეორიის შესახებ, კერძოდ, ქართველ მიგრანტთა ტალღის სოლისებური შეჭრის შესახებ ლაზებსა და მეგრელებს შორის, რომელიც თურმე „ზღვითა და მისი სანაპიროებით ხორციელდებოდა." შევნიშნავთ, რომ თუ ეს ურთიერთშერწყმის პროცესი 4 საუკუნე მაინც გაგრძელდა, მაშინ აჭარელ აბუსერისძე ტბელის თხზულებებში ზანური ენისათვის დამახასიათებელი ელემენტების გავლენა საღღა გვაქვს? ტბელის თხზულებებში ხომ იმდროინდელი ქართულისათვის დამახასიათებელი რელიქტებია შემონახული. აჭარის ტერიტორიაზე დღესაც არსებული უძველესი ტოპონიმები ხომ ქართული სემანტიკის მატარებელია (იხ. ქვემოთ).

როგორც ჩანს, მართალი იყო ნ. ბერძენიშვილი, როცა წერდა ნ. მარისა და სხვათა დებულებების სისუსტეზე. იგი გაკვირვებას გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ შეეძლოთ კი არაბებისაგან ლტოლვილ მოსახლეობას დასავლეთ საქართველოს დაპყრობა? პასუხი ერთია - რა თქმა უნდა არა.

მ. ლორთქიფანიძის აზრით, არ არის სწორი „დასავლეთ საქართველოს „გაქართება" იმ გაგებით, რომ თითქოს აქ დასავლეთ საქართველოს არაქართული მოსახლეობის გაქართება იგულისხმებოდეს." მისივე შენიშვნით ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ იმერელ-გურულები გაქართველებული მეგრელ-ლაზები არიან ძირითადად ლინგვისტურ მონაცემებზეა აგებული. ბოლოს დაასკვნის მეცნიერი „ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი

მკვლევარის მიერ გაზიარებული კონცეფცია ჩვენში მიმდინარე ქართიზაციის ისტორიული პროცესის შესახებ თავისთავად შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ის ნამდვილად არ ნიშნავს დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე რეგიონის „გაქართველებას," ის მხოლოდ ქართის ეთნო-კულტურულ ექსპანსიას გულისხმობს და გიორგი მერჩულეს თხზულება ამისი ერთ-ერთი დასტურია."[217]

დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში ძველთაგანვე ქართულენოვანი მოსახლეობის ბინადრობაზე მიუთითებს შ. ძიძიგური. მისი აზრით, აქ ქართულენოვანი ქართ-მესხური ტომები ბინადრობდნენ. ქართლის ანტიკურმა სახელმწიფომ თავისი ძლიერების პერიოდში საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მონაოესავე ტომების დაახლოებას ქართლის მოსახლეობასთან. თვით ლაზიკა იყო ქართულ-ზანური გაერთიანება.[218]

ახლა იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჭან-ლაზთა უწყვეტი მოსახლეობა თუ არსებობდა ანტიკურ ხანაში.

როგორც აღინიშნა, ჭანები ისტორიული აჭარის საზღვრებიდან დაშორებით, შორს სამხრეთ-დასავლეთში, ჭოროხის სათავის დასავლეთით, ხარტის მიდამოებში მოსახლეობდნენ. ამავე დროს ჩვენ მოვიტანეთ ანტიკურ წყაროთა ცნობები, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე თუ მის სიახლოვეს მოსახლე ტომებზე მოგვითხრობდნენ. მათ შორის ვერ დავინახეთ ლაზები. მაინც სად ბინადრობდა ეს ტომი?

ლაზები საისტორიო წყაროებში პირველად მემნონთან (ძვ. წ. I- ახ. წ. I სს.) ჩნდებიან. ამ ცნობით ისინი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ მონაკვეთზე

---

[217] მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი, თბ. 1990, გვ. 13, 15.

[218] შ. ძიძიგური. ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1990, გვ. 23.

მოსახლეობენ.[219] თ. ყაუხჩიშვილის აზრით, ლაზების სახელი უძველეს ანტიკურ წყაროებში გვხვდება ნიკოფსიის (ძველი ლაზიკა) მიდამოებში; შემდეგ სებასტოპოლისთან (სოხუმი) და მერე ვრცელდება უფრო სამხრეთით.[220]

მართალია, ლაზები პლინიუსისა (ახ. წ. 78 წლის ცნობა) და არიანეს (ახ. წ. 131 წლის ცნობა) თხზულებებში მოიხსენებიან, მაგრამ მათი მონაცემების საფუძველზე ლაზების ტომის ლოკალიზაცია არ ხერხდება. პლინიუსის ცნობით, კოლხეთის სანაპიროს ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით უჭირავთ ჰენიოხებს, ამპრევტებს (აჭარლები?-ს.გ.) და ლაზებს (რიგი დაცულია).[221] არიანეს ცნობის მიხედვით, აკამფსისის (ჭოროხი) შესართავის მიდამოები ძიდრიტებს უჭირავთ, ხოლო მათ შემდეგ ჩრდილოეთის მიმართულებით ლაზებია მოხსენიებული.[222] ლაზთა ტომის ლოკალიზაციას იძლევა კლავდიოს პტოლემაიოსი (ახ. წ. II ს.). მისი ცნობით, კოლხეთის საზღვრებში ფასისის (რიონი) ჩრდილოეთით ზღვისპირა ზოლში მოსახლეობენ ლაზები, ზემოთმდებარე ადგილებში-მანრალები და ეგრისის ქვეყნის მოსახლეობა.[223] რაც შეეხება ბერძენი ანონიმის (V ს.) ცნობას, რომ დიოსკურიიდან აფსაროსამდე მოსახლეობენ ლაზები[224] - V ს. პოლიტიკური მდგომარეობა იგულისხმება. ესაა ლაზიკის სამეფოს მიახლოებითი საზღვრები (ჩრდილოეთი და სამხრეთი). ამ სამეფოს საზღვრებში ლაზიკის გარდა, ანტიკურ წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით ცხოვრობდნენ: მანრალები (ა-მარანტები,

---

[219] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 172.

[220] იქვე.

[221] ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 31.

[222] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 42-43.

[223] Клавдий Птоломей. Географическое руководство. – ВДИ, 1948, №2, с. 251.

[224] ВДИ, 1948, №4, с. 230.

იმერლები?), ეგრები (მეგრელები), სანიგები, აფსილები, ძიდრიტები (აჭარლები) და სხვები.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეგრელოს ზღვისპირა ზოლში ყოფილა ლაზების ადგილსაცხოვრისი. ისინი აქ მოვიდნენ ჩრდილოეთიდან (ქ. ლაზოსი-ძველი ლაზიკა), ან დაფარული იყვნენ კოლხთა სატომო სახელით. ლაზთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, შესაძლებელია ისინი ზანურენოვანი ან სვანურენოვანი ტომი იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ლაზების ბინადრობას გამორიცხავენ აღიარებული სპეციალისტები.[225]

ახლა კი მეცნიერთა კვლევის აქ მოტანილ შედეგებზე დაყრდნობით, ვცადოთ აჭარის მკვიდრთა წინაპრების ეთნიკურობის საკითხის დასმა, წინაანტიკურ და ანტიკურ სანაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომ ძვ. წ. VIII ს-ში ხელმეორედ ეძლევა დასაბამი საერთო ქართველური ერთობის დაშლას (გ. კლიმოვი, გ. მელიქიშვილი. ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ო. ჯაფარიძე, დ. ხახუტაიშვილი, ვ. ვაშაკიძე, დ. პაიჭაძე...). თვლიან, რომ ფუძე-ქართველურის დიფერენციაცია დიდსანს გრძელდებოდა. რის გამოც უდავოა, რომ ძველი კოლხეთის სამეფო (კოლხა) ძველაღმოსავლურ ხანაში ქართულენოვან ორგანიზმს წარმოადგენდა. ძვ. წ. VI-V საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები ჰეკატეოს მილეტელი მოსხებს კოლხურ ტომად ნათლავს. გ. მელიქიშვილის აზრით, ბერძენი მწერლის ცნობის გაგება, შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ „კოლსური" ცნების ქვეშ საერთო ქართველური ერთობის აღმნიშვნელ სახელწოდებას ვიგულისხმებთ.[226]

თ. გამყრელიძემ დაასაბუთა, რომ არგონავტებთან დაკავშირებული კოლხეთი (ძვ. წ. 1260-იანი წწ.)

---

[225] ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, ეგ. 6-16; მ. აბდუშელიშვილი და სხვები. მასალები კავკასიის ანთროპოლგიისათვის, თბ., 1968, გვ. 12-13.

[226] გაზ. „კომუნისტი", 1984, 24, XI (270);

ქართველური სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. ამ აზრის სასარგებლოდ მოვიტანთ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებს. „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად, ლეგენდარულ ქართლოსს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ჰრგებია, ისე რომ მისი სამფლობელოს საზღვრები შავ ზღვამდე გადიოდა.[227] ქართლი ეწოდებოდა ხუნანიდან სპერის ზღვამდე მოთავსებულ ვრცელ ტერიტორიას.[228] ქართლოსის შვილს მცხეთოსს (მესხების ეპონიმს?) თბილისისა და არაგვის სანახებიდან სპერის ზღვამდე მიწა-წყალი დარჩა.[229] იქვე მცხეთოსის შვილებად წარმოდგენილი არიან-უფლოსი, ოძრხოსი და ჯავახოსი. ჩვენი აზრით, უფლოსის წილი ქვეყანა (უფლისციხის ქვეყანა-შიდა ქართლი) ურარტული წყაროების აფუნის ქვეყანაა, ჯავახოსის წილი ქვეყანა (ჯავახეთი) ურარტული წყაროს ზაბახაა, ხოლო ოძრხოსისა (სამცხე, აჭარა)-უიტერუხი (ვიტერუხი, ოჭერუხი).[230] ასე, რომ ქართული წყაროს ზემოთ მოტანილი მონათხრობი, როგორც ჩანს, რეალურ მასალეზეა აგებული და ძველაღმოსავლური სანის დასასრულისათვისაც კი თანამედროვე და ისტორიული ქართლის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი (რიონ-ჭოროხს შორის მდებარე) ზღვამდე ქართლოსიანთა კუთვნილებას წარმოადგენდა. ალბათ, ამიტომაცაა, VI-V საუკუნეების ბერძნულ წყაროებში მესხები კოლხურ ტომად წარმოდგენილი. ამ დროისათვის კოლხები ეტყობა ქართისენოვანია და მხოლოდ ცალკე პოლიტიკური ერთეულის ეგრისის (კოლხეთის) ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო მათი ქართული ეთნოსისაგან განცალკევება. ქართული წყაროები

---

[227] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 2.

[228] იქვე, გვ. 4.

[229] იქვე, გვ. 5.

[230] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 211; შეადარე მისი: Наири-Урарту, Тб., 1954, с. 64; ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, ეურნ. „ჭოროხი“, 1996, №1; მისივე, აფუნის ქვეყნის ლოკალიზაცია და ეთნიკური შემადგენლობა, ხელნაწერი.

ამის შემდეგაც რიონის ქვემოთ (სამხრეთით) მდებარე ტერიტორიას ქართლის სამეფოს შემადგენელ ნაწილად განიხილავენ. ოძრხეს საერისთავოს საზღვარი იმთავითვე, ფარნავაზის დროიდანვე შავ ზღვას წედებოდა და მასში სამცხეს გარდა გურია-აჭარის ტერიტორიაც შედიოდა „აჭარის" სახელით.

გამოდის, რომ დასავლეთ საქართველოს სამხრეთი რაიონები, მათ შორის აჭარაშიც ქართულად მეტყველი მოსახლეობა ყოფილა ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებშიც. ვერ დავიჯერებთ, რომ მეოთხე საუკუნემდე სანამ ფარნავაზი აჭარას ოძრხეს საერისთავოში შეიყვანდა ეთნიკურობის მხრივ რაიმე ცვლილება განეცადოს. საკითხავია, როგორ შეძლეს ქართლის ხელისუფალებმა აჭარის კოლხეთიდან მოგლეჯა და ქართლის სამეფოში შეყვანა თუ იმ დროისათვის აქ ზანები მოსახლეობდნენ? ჭოროხის შევართავის მიდამოები ხომ არიანეს, პლუტარქეს, მირიან მეფის ცხოვრების აღმწერის, ჯუანშერის და ნაწილობრივ პლინიუსის მონაცემებით თუ ფარსმან I დროიდან არა, II-V საუკუნეებში მაინც, ქართლთანაა დაკავშირებული. ახ. წ. VI საუკუნეში კი პროკოპის ცნობით, რიზესა და პეტრას შორის მოქცეულია ქვეყანა, რომელიც იმავე ავტორის მონაცემებზე დაყრდნობით არც ლაზურია და არც ჭანური.[231] მისივე ცნობებიდან ჩანს, რომ ლაზები სამეგრელოს და ნაწილობრივ გურიის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ (ამასვე ამბობდნენ პტოლემაიოსი, აგათია),[232] ხოლო ჭანები ტრაპეზუნტს ქვემოთ, ჭოროხის სათავის დასავლეთით.[233]

აჭარა საისტორიო წერილობითი წყაროების ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე უფრო მეტად ქართულ სამყაროსთან კავშირში მოჩანს, ვიდრე ზანურთან.

---

231 გეორგიკა, ტ. 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 123.

232 ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". - მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1965, გვ. 45.

233 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана. Ер., 1971, с. 60-61.

უიტერუს-ბიძერთა ტომი, რომელსაც სამცხე და აჭარა ეკავა, როგორც ძველაღმოსავლურ, ისე ანტიკურ ხანაში (ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მის აღმოსავლეთ ნაწილში ძვ. წ. 676 წლიდან ან IV-III სს-დან მესხები მკვიდრდებიან და აქ შერეული მოსახლეობა არსებობდა), დაუჯერებელია, რომ ის ზანური განშტოების რომელიმე დიალექტი ყოფილიყოს. ეს მხარე ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე შეეიდა ფარნავაზის სახელმწიფოში. მან ორი მონათესავე გვარ-ტომობის თემი სამცხე და აჭარა ერთ საერისთავოში გააერთიანა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გაერთიანება უფრო მათმა ეთნიკურმა სიახლოვემ განაპირობა. აღძრული საკითხის შესამაგრებლად მოვიტანთ დ. მუსხელიშვილის კვლევის შედეგებსაც.

გვიანბრინჯაო ადრეული რკინის ეპოქა „ხევები"-ს წარმოქმნის ხანაა.[234] საფიქრებელია, რომ ამ ეპოქაში დღევანდელი აჭარის ტერიტორია ერთი მთლიანი ეკონომიური რეგიონია. ამ ეპოქის დასასრულს ცალკეულ ხევთა შერწყმის საფუძველზე წარმოქმნილა ერთიანი „ხევი აჭარისა." იმდროინდელი აჭარაც რომელიმე ქართული ქვეყნების გაერთიანებაში უნდა ყოფილიყო.[235] ამ პერიოდში აჭარის მოსახლეობა, განსაკუთრებით შიდამთიანი რეგიონი დ. მუსხელიშვილის აზრით, აღმოსავლურ-ქართული მოდგმისა უნდა ყოფილიყო, დასავლურ ქართული ტომების მცირე ნარევით. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ტოპონიმია, რომელთა უდიდესი ნაწილი აღმოსავლურ-ქართულია.[236] ამ თვალსაზრისით, შენიშნავს მეცნიერი, ნიშანდობლივი შეიძლება იყოს აჭარისწყლის ხეობაში „ზემო და ქვემო ხევების" წარმოქმნა, რომელთა შორის მოქცეული იყო დღესაც არსებული ტოპონიმი „შუახევი". თუკი ამგვარი სიტუაცია, მართლაც, რეალურია, გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის, მაშინ ტოპონიმი „შუახევი," უნდა

---

234 დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 42.

235 დ. მუსხელიშვილი. აჭარის... გვ. 39.

236 იქვე, გვ. 40.

ვიფიქროთ, რომ იმდროინდელი რელიქტია. რის გამოც სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ უკვე იმ დროიდან მოყოლებული შიდამთიან აჭარაში აღმოსავლურ-ქართული ტომები სახლობდნენ. ასე, რომ აჭარლები იმთავითვე ამ ტომებს მიეკუთვნებოდნენ.[237] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არათუ ასურულ, არამედ ურარტულ ხანაშიც აჭარის სამხრეთით დამოწმებული ტოპონიმები (მაგ. მთა „შეშე," ქვეყანა „შეშეთი," ქვეყანა "დიდი," ქ. „ლიკა" (ლიგანი) ქართული ენობრივი სამყაროს კუთვნილება იყო. ისინი სემანტიკური მნიშვნელობით ქართული სიტყვებია: „შეშა," „დიდი,"[238] „ლიგანა"-პატარა ნაგებობა.[239] ქართის ტომებს მიეკუთვნებოდნენ აქვე მოსახლე სასპერები და აბიანი (ბია, ბიანი), რომლებშიც ქართული ტოპონომიკური პრეფიქსები „სა" და „ა" გამოიყოფა.

ასლა ვნახოთ, თუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, რომლებიც ძველ საისტორიო წყაროებში მოიხსენიებიან და რომელთა წარმოქმნა-გაჩენა კიდევ უფრო ადრინდელ ეპოქებშია სავარაუდებელი. აჭარის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს ტოპონიმთა, ორონიმთა და ჰიდრონიმთა შორის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ათეული, მათ შორის: პროვინცია აჭარა, სევი აჭარა, „ქვეყანა აჭარა", „ქვეყანა დიდაჭარა", სოფ. დიდაჭარა, შუახევი, ქედა, ხულა, ხიხანი, ხერთვისი, მარადიდი, მირვეთი, ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ერგე, ჯოჭო, ზენდიდი, დანდალო, კირნათი, ფიჭვნარი, ქობულეთი, კახაბერი, აჭი, ყოროლისთავი, ერთეკლესია, ზაქარწმინდა, ორღართა, შუარტყალი, ჭარალი, პრასინაული, კინტრიში, ბათუმი, აფსაროსი, გონია, სარფი, გვარა, მაჭახელა, მარითი, ხუცუბანი, ჩაქეი, კიბე, ბაკო, მახო, დანდალო, აჭარისწყალი, ჭოროხი, ჩოლოქი, ყოროლისწყალი, მეჯინისწყალი და ა. შ.

---

[237] იქვე.

[238] Г. А. Меликишвили. Наири-Урарту, с. 115.

[239] ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984, გვ. 331.

ახლა კი გადავიდეთ ზემოთჩამოთვლილ სახელწოდებათა წარმომავლობა-ეტიმოლოგიის საკითხებზე.

„აჭარა“-ს სახელით ცნობილია ქვეყანა, ხევი, ოლქი, საერისთავო, სამთავრო, მთა, მთები; ტერმინი „აჭარა“ პირველად მოიხსენიება VI-VII სს. სომხურ „გეოგრაფიაში.“ ლეონტი მროველის წყარო „ფარნავაზიანი“ აჭარას ძვ. წ. III საუკუნის ამბების გადმოცემისას მოიხსენიებს. სახელწოდებაში უნდა გამოიყოს ქართული მაწარმოებლები „ა“ პრეფიქსი“ და „ა“ სუფიქსი. ფუძეა ჭარ, რომელიც ჭარების (ბიძერ-ვიზარ) სატომო სახელის იდენტურია. თვით ფუძე „ჭ“ ძირად (წყლის ცნების ან ხეობის გამომხატველი) და „არ“ ქართულ სუფიქსად იშლება.

ტერმინი „ქვეყანა დიდაჭარა“-ც „ქართლის ცხოვრების“კუთვნილებაა, რომელიც ქრისტეს პირველ მოციქულთა ქართლის სამეფოში შემოსვლასთან დაკავშირებით მოიხსენიება. ქვეყანა დიდაჭარის ცენტრი დიდაჭარა ახლაც ცოცხალი ტოპონიმია, ასე ეწოდება ხულოს რაიონის ერთ-ერთ სოფელს. დასახლების სიძველეზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ აქვეა ნაპოვნი ძვ. წ. XVII საუკუნით დათარიღებული კოლხური ცულების განძი.[240] ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დიდაჭარა ტრანსფორმირებული სახეა დუდ-აჭარასი („დუდ“ მეგრულია და ნიშნავს „თავი“),[241] ამგვარი შეხედულება, რა თქმა უნდა, მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. არც ისაა მართებული, რომ თითქოს დიდაჭარა პირველად IX ან XI საუკუნის წყაროში მოიხსენიება. ასევე ცდება ზოგიერთი ავტორი, როცა ტერმინ „ქვეყანა დიდაჭარა“-ში სოფელს გულისხმობენ. შევნიშნავთ, რომ წყაროს იმ ცნობაში, რომელშიც „დიდაჭარაა“ მოხსენიებული გარკვევით ქართლის „ქვეყანა დიდაჭარა“ იგულისხმება და არა სოფელი, დაბა ანდა რაიმე ამდაგვარი. „ქართლის ცხოვრებამ“ იცის ტერმინები „სოფელი“, „ქალაქი“,

---

[240] ა. ინაიშვილი. დიდაჭარის განძი და კოლხური ნიეთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.-სდსძ, V, თბ., 1975, გვ. 3-49.

[241] ნ. მგელაძე, მ. ფაღაია. ანდრია პირველწოდებული... გვ. 131.

„ქვეყანა“ და მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს.[242] რა თქმა უნდა მართებულია დ. მუსხელიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ დიდაჭარა ახ. წ. I საუკუნეში კი არა, უფრო ძველადაც ამ ქვეყნის ცენტრი იყო.[243] საკვლევი ტოპონიმი ორი ნაწილისაგან შედგება, ქართული სიტყვა „დიდი“-სა და ასევე ქართული წარმომაელობითი ტერმინისაგან „აჭარა“.

ფიჭვნარის ტერიტორიაზე არქეოლოგთა მიერ მიგნებულია ანტიკური ხანის ნაქალაქარი, რომელმაც იარსება ძვ. წ. V-II საუკუნეებში.[244] ბერძნები მას კიკნოსს ეძახდნენ, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა ფიჭვნარს. ფიჭვნარი ქართული ტოპონიმია და ნიშნავს „ფიჭვის ტყეს.“[245] კიკნოსი ეტიმოლოგიურად „კიკნოს“ (გედი“) ნიშნავს, ან მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელიდან „კიკნ“-ი.[246]

აფსაროსი მდინარე ჭოროხის ერთ-ერთი და ციხე-ქალაქ გონიოს უძველესი სახელია. აფსაროსი ჰიდრონიმის სახელად პირველად ძვ. წ. IV ს. პერიპლუსში, ფსევდოსკილაქსთან გეხვდება, ხოლო როგორც ტოპონიმი ახ. წ. 78 წლიდან, პლინიუს უფროსთან. „აფსაროსის“ ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსია არსებობს: ანტიკური წყაროების მიხედვით სახელწოდება „აფსაროსი“ წარმოდგება მედეას ძმის „აფსირტეს“ სახელისაგან, რომელიც ამ მიდამოებში გარდაცვლილა.[247] ნ. მარი, ბ.

---

[242] ს. გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსაელეთ შავიზღვისპირეთის... გვ. 147-149.

[243] დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 53.

[244] ა. კახიძე. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971; მისივე: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათ., 1975; Восточное причерноморье в античную эпоху, Бат., 1981; ნ. ვაშაკიძე. ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამარხები. - სდსძ, XII, თბ., 1983.

[245] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962, გვ. 131.

[246] ს. გოგიტიძე. ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის სახელწოდებისათვის, ეურნ. „ჭოროხი“, 1998, №10, გვ. 122-125.

[247] В. В. Латышев. СК. – ВДИ, 1948, №1, с. 267; 1948, №4, с. 228; ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 19, 123-124; თ. ყაუხჩიშვილი.

კუეტინი, შ. ინალიფა და ზოგიერთი სხვა მკვლევარები „აფსაროსს“ აფსაზთა ბინადრობით ამ მიდამოებში ან მათი საკომო სახელით თუ სახესხვაობით ხსნიან.[248] მკვლევართა გარკვეული ნაწილი სასელწოდება „აფსაროსს“ ქართული ენის გამოყენებით ხსნიან. პ. ინგოროყვას აზრით, „ფასი,“ „ფსელი“ ქართული სიტყვებია.[249] ვ. იაშვილიც „აფსარში“ „ფსა“-„ფას“ გამოჰყოფს, რომელიც ძველქართულ დიალექტში წყალს, მდინარეს ნიშნავდა.[250] აფსაროსის ეტიმოლოგიაზე გვაქვს რამდენიმე განსხვავებული შეხედულებაც. თ. მიბჩუანის აზრით, აფსირტე|აფსარტ სვანურ ღვთაება „აფსასტ“-ს მოგვაგონებს. აფსათი ნადირთა და ფრინველთა განმგებელი ღვთაებაა.[251] ე. კახიძის გამოკვლევით წინა აზიაში „აპ“-ით ნაწარმოები სახელები წყალს უკავშირდებიან და მათი მატარებელი ღვთაებები მამაკაცები არიან.[252] ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას საინტერესო და საჭირო მონოგრაფიაში აპსარი ბერძნულია და ნიშნავს ულაქოს,[253] უთევზოს,[254] ძლიერ წყალს, ულაქოს,[255] ან ულაქოს, უთევზოს.[256]

საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 19, 22, 96.

[248] Н. Марр. О языке и истории абхазов, М-Л., 1938, с. 179; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы, 1965, с. 97; Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, I, Тб, 1949, с. 101.

[249] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 184-186.

[250] ვ. იაშვილი. გონიოს ციხის ისტორიისათვის. -ქმკა, ბათ., 1955.

[251] თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989, გვ. 192, 347-348.

[252] ე. კახიძე. აფსაროსის ეტიმოლოგიისათვის. - „საისტორიო მაცნე“, ბსუ, 1996, №4, გვ. 13-17.

[253] Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии, с. 29.

[254] იქვე, გვ. 136.

[255] იქვე, გვ. 518.

[256] იქვე, გვ. 527.

ჩვენი აზრით, „აფსაროსი“ სახელ „აჭარის“ ბერძნულ გააზრებას წარმოადგენს, ან ქართული სიტყვა „ფსორი“-დანაა ნაწარმოები, რომელიც „მდინარის მიერ დატოვებულ კალაპოტს“ ნიშნავს.[257] აფსაროსი და მისი ციხე მართლაც მდ. ჭოროხის მიერ დატოვებულ კალაპოტზეა აგებული.

ციხე-ქალაქ აფსაროსის თანამედროვე სახელი-გონიო, წერილობით წყაროებში XII ს-დან გვხვდება.[258] გონიოს თავდაპირველი ფორმაა გონია (ბ. ეგნატაშვილი, ვ. ბატონიშვილი, 1713 წ. დათარიღებული სულთნის ფირმანი).

სახელწოდება „გონიას“ წარმომავლობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისია გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი „გონიას“ ბერძნულ კუთხის საზომ ხელსაწყოს „გონიო“-ს („კუთხე“ „ორგვერდა“ „ორფერდა“) უკავშირებს (ი. კალფოღლუ, თ. უსპენსკი, ი. დიასამიძე), ნაწილი კი, იტალიის ცნობილ სავაჭრო ქალაქ-სახელმწიფოს გენუას (ვ. იაშვილი, ი. სიხარულიძე, დ. კომახიძე). მკვლევართა ერთი ნაწილი (ჟან მურიე) თურქულ სიტყვა გონთან (ტყავი) აკავშირებს და თურქეთის ქ. „კონია“-საგან მომდინარედ თვლიდა. არსებობს აგრეთვე ამ სახელწოდების დაკავშირების ცდა მეგრულ სიტყვებთან (ვ. სიჭინავა, ე. ჭანტურია). გონიოს ეტიმოლოგიის აღნიშნულ ახსნათაგან სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო მიღებულია გონიოს დაკავშირება „გენუასთან.“[259] ჩვენი აზრით, გონიო ქართული სიტყვაა და ნიშნავს „უპატრონო ადამიანს,“[260] შესაძლებელია ამ უპატრონო ადამიანში აფსირტე

---

[257] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ. 191.

[258] В. Леквинадзе. Материалы по Апсарской крепости. – Византийский временник, М., 1961, №20. შეადარეთ: ა. სურგულაძე. დიდმნიშვნელოვანი საქმე, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1978, 16 აგვისტო.

[259] ვ. იაშვილი. გონიის ციხის ისტორიისათვის. ქმკძა, ბათ., 1955, გვ. 17, ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 186-187; დ. კომახიძე. აფსარ-გონიოს ციხის არქიტექტურისა და ისტორიის ზოგიერთი საკითხი. - სდსძ, ბათ., 1980, გვ. 42-43.

[260] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 158.

იგულისხმებოდეს, რომელმაც სწორედ ამ მიდამოებში მუხანათურად, უპატრონოდ დაასრულა თავისი სიცოცხლე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედა-მდინარე ჭოროხი რამდენიმე ფორმით იყო ცნობილი-ჭოროხი, ჭორეხი, ჭაროხი, ჭუროხი.[261]

სამეცნიერო ლიტერატურაში ჭოროხის ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსია არსებობს. ისინი ძირითადად თავმოყრილია ჩვენს ნაშრომში: „ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის."[262] ამიტომ მის შესახებ აქ სიტყვას არ გაავაგრძელებთ; აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ სახელწოდება „ჭოროხი" („ჭაროხი") კავშირში უნდა იყოს ჭარების სატომო სახელთან. ჭარები-უიტერუხები (მათი ცენტრი ძველაღმოსავლურ ხანაში ოძრხის მიდამოები იყო), როგორც აღინიშნა, სამცხისა და აჭარის დიდი ნაწილის გარდა ფლობდნენ ტერიტორიას ჭოროხის ქვემო წელზეც, ამიტომ არაა გამორიცხული ჭარ-ეხი (ეხი კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია) ნიშნავდეს ჭარების მდინარეს[263] (შეადარე: ტომი ამარანტები, მდინარე ამარანტოსი). მდ. ჭოროხი აფსაროსისა და ფსარეს გარდა ანტიკურ წყარობეში მოხსენიებულია ჰარპასოს (ჰარ-ფასისი) და აკამფსისის (აკამპსეონი) სახელწოდებით.[264] ჩვენი აზრით, ჰარ-ფასისი ჭოროხის ერთ-ერთ ვარიანტულ, უძველეს სახელს ჭარ-მდინარეს, ჭარების მდინარეს, ჭოროხს უნდა გამოხატავდეს, რაც შეეხება აკამფსისს, იგი ძველი ბერძნული ზედსართავიდან -„ἀκαμπτος" მომდინარეობს, რაც „უღრეკს", „მოუღრეკელს", „დაუმორჩილებელს" ნიშნავს. როგორც ჩანს, ჭოროხის ეტიმოლოგიის სულხან-

---

[261] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 42, სქ. 2, შენიშვნები: გვ. 17, 333.

[262] ს. გოგიტიძე. ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის, ჟურნ. „ჭოროხი", 1991, №4; მისივე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი ისტორიის დამახინჯების კიდევ ერთი ცდა, ჟურნ. „ჭოროხი", 1999, №3.

[263] ს. გოგიტიძე. ჭოროხის ეტიმოლოგიისათვის, გვ. 89-91.

[264] Ксенофонт. Анабасис, с. 120; В. В. Латышев. СК. – ВДИ, 1948, №4, с. 228; გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 3, 122-123; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა... გვ. 67.

საბასეული ახსნა „მდინარისაგან შეყრილი ქვიშა“[265] უძველესი დროიდან მომდინარეობს, რომელიც ასევე ჭოროხის სიძლიერეზე, მოუდრეკელობაზე მიუთითებს.

უძველესი ტოპონიმი ჩანს „ბათუმიც“. ბათუმის ისტორიასა, არქეოლოგიასა და ეტიმოლოგიაზე იმდენი ითქვა,[266] რომ ყველა შეხედულების აქ მოტანა და განხილვა შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავთ, რომ ბათუმის ეტიმოლოგია არც ისე ადვილი ამოსაცნობია, რამდენადაც ჯერ კიდევ არა ამოცნობილი მისი უძველესი ფორმა. ანტიკურ საისტორიო წყაროებში კი, ბათუმი შესაძლებელია მოხსენიებული იყოს-ბატა, ბათუს, მადია, მატიუმი, მენტე ფორმებით, მოგვიანო ევროპულ წყაროებში კი, ვათან, ლოათონ, კატან, ბოტან, კოტან, ვატი, ლიატი, ვარტი, ლოვარი, ვარუ, ლოვატი-სახელებით.[267] ჩვენი აზრით, სახელწოდება „ბათუმი“ წარმოშობილი უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელიდან (შეადარე: მედეა, ბატა, მადია, მინდია, მენტი და სხვ.).

უძველესი ქართული ტოპონიმი ჩანს „აჭი“ (სოფელი ზემო და ქვემო აჭი, მდინარე აჭი). მკვლევარები ტოპონიმ აჭის სახელს დიდი ხანია აკავშირებენ სახელწოდებებს „აჭარას“ და „ჭანებს“, რაც თავისთავად მეტყველებს მის უძველესობაზე. ნ. მარის აზრით, აჭი ჭანების სოფელს, ხოლო აჭარისწყალი-ჭანების მდინარეს აღნიშნავს.[268] ს. ჯანაშია აჭს მიიჩნევდა ტერმინ აჭარის თავდაპირველ

---

[265] სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 460.

[266] ს. ყაუხჩიშვილი. გეორგიკა, II, თბ., 1934, გვ. 77; ა. ინაიშვილი. ბათუმის ეტიმოლოგიისათვის. - ადდლ, I, თბ., 1976, გვ. 73-86; თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1969, გვ. 9-14; დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. სდსძ, XVIII, თბ., 1989; მ. სვანიძე. ბათუმის სახელწოდების დადგენისათვის, გაზ. „აჭარა“, 1999, 6 აგვისტო.

[267] ს. გოგიტიძე. ევსები კესარიელის ერთი ცნობის შესახებ, გაზ. „ბათუმი“, 1998, 28 თებერვალი; მისივე, ბათუმი ძველ წერილობით წყაროებში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1999, №6.

[268] Н. Я. Марр. Об языке и истории абхазов, М-Л., 1938, с. 81.

ფორმად, მისივე ვარაუდით, აჭყვა აჭის მდინარეს ნიშნავს, აჭისწყალი კი, ქართულად ნაწარმოები მდინარის სახელია.[269] შ. ვარშანიძის შეხედულებით, აჭარა პირველადია მთისა და ხეობისათვის, სოლო აჭყვა და აჭი წარმოებული.[270] ი. სიხარულიძე იზიარებს ვარაუდს, რომ აჭარაში გამოყოფილი „ჭ“ ძირი შემონახულია ა-ჭ-ი ფორმითაც.[271] ჩვენი აზრით, დასაშვებია „ჭ“ ძირის განვითარება სახელწოდება აჭარამდე, მაგრამ არ გვგონია, რომ ამის საფუძველი მაინცდამაინც ტოპონიმი „აჭი“ იყოს. ერთ შემთხვევაში „ჭ“ იქცა საკომო სახელად (ჭარ), შემდეგ კი, გეოგრაფიულ სახელწოდებად (ა-ჭარ-ა), ხოლო მეორე შემთხვევაში იგი დარჩა მხოლოდ სოფლის სახელად. რაც მთავარია ტოპონიმისა და ჰიდრონიმის სახელი „აჭი“ წმინდა ქართული წარმოშობისა არიან. აქ „ჭ“ წყლის ცნების გამომხატველი უნდა იყოს.

ხუცუბანში დაცული თეთროსანი (თეთრი ანუ წმინდა გიორგის ნასაყდრალი), ა. იოსელიანის აზრით, ძველთაძველ ქართულ წარმართულ, ადრე სიმდიდრით სახელგანთქმულ, სტრაბონისეულ ლევკოთეას (ქართულად „თეთროსანი“) უნდა წარმოადგენდეს.[272] სტრაბონის ცნობის მიხედვით, ლევკოთეა მოსხების ქვეყნის კოლხურ ნაწილში ივარაუდება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, არათუ სტრაბონის „ლევკოთეას“ იდენტიფიკაცია, ხუცუბნის თეთროსანთან, არამედ თვით „ქობულეთის ქვეყნის“ „მოსხიკეში“ არსებობა ძვ. წ. III-II საუკუნეებში. საკუთრივ „ხუცუბანიც“ ძველი ქართული ტოპონიმია და „ხუცისა“ და „უბანისაგან“ შემდგარი კომპოზიტია. თეთროსანის მიდამოებში დღესაცაა დაცული წმ. გიორგის საყდრის ნანგრევები, თეთროსანი ხდება ქართული კულტმსახურების

---

[269] ს. ჯანაშია. მრომები, III, გვ. 120.

[270] შ. ვარშანიძე. ნარკვევები... გვ. 21; შეადარე, მისივე, აჭარა ანტიკური სანიდან... გვ. 12.

[271] ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება... გვ. 47; ი. სიხარულიძე. საიდან წარმოიშვა სახელწოდება „ჭოროხი“, გაზ. „კახაბერი“, 1991, 1 ივნისი.

[272] ა. იოსელიანი. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, გვ. 12-13.

კერად, ხუცების უბნად და სოფლის წარმართულ-
რელიგიური სახელწოდებაც „თეთროსანი," სავარაუდოა
„ხუცუბნით" იცვლება. თეთროსანი ქართული ტოპონიმია
ძირითაც („თეთრ") და სუფიქსითაც („ოს"-„ან").[273]

არიანეს 131 წ. თავისი მოგზაურობისას კოლხეთში,
აჭარის ზღვისპირეთში (ძიდრიტების ტომის ტერიტორიაზე)
მოხსენიებული აქვს ციხე-სიმაგრე აფსაროსი და
მდინარეები აკამფსისი (ჭოროხი), ბათისი (ყოროლისწყალი),
აკინასი (V ს. ბერძენ ანონიმთან-კინასი), ისისი
(ნატანები).[274] აღნიშნულ ჰიდრონიმებს შორის იმ
მანძილების გამოთვლით, რომლებსაც რომაელი მოგზაური
იძლევა კინასი (აკინასი) სამართლიანად კინტრიშთანაა
გაიგივებული.[275] მართლაც ამ სახელებში შესაძლებლად
მიგვაჩნია „კინ" ფუძის გამოყოფა (კინ-ას-ი, ა-კინ-ას-ი
კინ-ტ-რი-ში). კინტრიში, როგორც ჩანს, თავდაპირველი
„კინ-თა-არ-ის-ი"-დან მომდინარეობს. თ. მიქელაძის
ვარაუდით, ჰიდრომის სახელი კავშირშია კინების-ჭანების
საგომო სახელთან, რასაც ვითომდა ამ მხარეში ჭანების
ბინადრობით ხსნიდა.[276] ჩვენ მიგვაჩნია, რომ კინასი და
საერთოდ კინტრიში კავშირში უნდა იყოს ამავე მდინარის
სათავესთან არსებულ ტოპონიმთან „ხინო" (შეადარე: კინა-
კინო-ხინო), რომელსაც ერთი ვერსია „ლხინო"-დან
მომდინარედ მიიჩნევდა.[277] ჩვენი ვარაუდით, სახელ-
წოდებაში არსებული თუძე „კინ"-„კინა" რკინის
დიალექტურ სახელს (კინა) უნდა დაეუკავშიროთ.
დასაშვებად მიგვაჩნია „კინა"-„კინო"-სა და „ხინო"-ს
იგივეობაც.

ბათუმიდან 5 კმ. მანძილზე მდებარეობს სოფელი
მეჯინისწყალი, რომლის ტერიტორიას შუაზე კვეთს ამავე

---

[273] იქვე, გვ. 51, 54-55.

[274] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა... გვ. 36-37.

[275] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 98.

[276] თ. მიქელაძე. ძიებანი... გვ. 130.

[277] ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, II, გვ. 113.

სახელწოდების მდინარე. დ. მუსხელიშვილის აზრით, ამათგან უძველესია მდ. მეჯინისწყალი, რომელიც ერთ დროს ქართლის სამეფოსა და ეგრის-ლაზიკას შორის მიჯნა უნდა ყოფილიყო.[278] მაშასადამე, ჰიდრონიმი „მიჯნისწყალი" დროთა განმავლობაში იქცა მეჯინისწყლად. კომპოზიტში „მეჯინისწყალი" „მიჯნა" და „წყალი" ორივე ქართული სიტყვებია. ამ ტოპონიმისა და ჰიდრონიმის ეტიმოლოგიის სხვა ვერსია არ გვაქვს, მაგრამ მინდა შევნიშნო, რომ მოცემული ახსნა, სრულიად აკმაყოფილებს იმ ისტორიულ ვითარებასა და რეალობას, რომელიც ანტიკურ და ფეოდალურ ხანაში ხშირად სუფევდა ბათუმის მიდამოებში. მდ. მეჯინისწყალი მიჯნის წყალი-მდინარე შეიძლებოდა ყოფილიყო ახ. წ. I საუკუნიდან მაინც (გაიხსენეთ პლინიუს უფროსის სიტყვები-„ამ მთებს გადაღმა იბერიაა..."), თუ უფრო ადრე არა.

აჭარის ერთ-ერთი სევის სახელი მაჭახელი პირველად „მიჭიხიანის" ფორმით მოიხსენიება XVI საუკუნის წყაროში. ტერმინი შეიძლება იყოს ეთნონიმური ან ანთროპონიმური წარმოშობისა. სახელწოდებაში ჩვენ ვყოფთ „მა"-„ელ" აფიქსებს და „ხ" მრავლობითობის ნიშანს ან კუთვნილებით სუფიქს. ძირია „ჭა", რომელიც შეიძლება იყოს სატომო სახელ „ჭარ"-ის (ჭარები) ნაშთი,[279] მით უმეტეს, რომ ეთნოგრაფიულად დადასტურებულია მაჭახელის სხვა ფორმა-მაჭარხელიც. ასევე არ გამოვრიცხავთ ტოპონიმი მომდინარეობდეს ადამიანის საკუთარი სახელიდან - ჩახალა (შეადარე: მა-ჩახალა→მაჭახელი).[280] სახელწოდება „მაჭახლის" ეტიმოლოგია-წარმომავლობის რამდენიმე ვერსიაც არსებობს.

---

[278] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 143.

[279] ს. გოგიტიძე. სახელწოდება „მაჭახელის" (მიჭიხიანის) შესახებ, ჭოროხი, 1994, №5-6; მისივე, კიდევ ერთხელ მაჭახლის ეტიმოლოგიის შესახებ, ჟურნ. „ჭოროხი", 1996, №3.

[280] ს. გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიის დამახინჯების კიდევ ერთი ცდა, გვ 151-152.

ს. ერემიანის აზრით, „მაჭახელი“ საკომო სახელ მახერონს უნდა უკავშირდებოდეს.[281] ადრე სომეხი მეცნიერისაგან დამოუკიდებლად მსგავსს თვალსაზრისს ჩვენც ვავითარებდით. მ. ვარშანიძე იმოწმებს ო. ივანიძეს, რომ თათრები „მამა-ჭიხეთს“ ეძახდნენ, ასევე ლ. ოქრომელიძესა და ი. ივანიძეს, რომელთანაც მითითებულია ამ სახელწოდების სხვა ვარიანტებიც (მამაჭიხელი, მაჭახები) და შენიშნავს: „ეს ტერმინები აჭარისა და მაჭახლის ეკონომიურ-კულტურული ცხოვრების ერთიანობით უნდა წარმოქმნილიყო.“[282] ნ. კახიძის აზრით, სახელწოდება „მაჭახელი“ („მიჭიხიანი“) შესაძლებელია მომდინარეობდეს ადამიანის საკუთარი სახელიდან - მიჭიხია (დადასტურებულია „მაჭახლის სულთა მატეანეში“).[283] თ. კუკულაძის ვარაუდით, „ტბეთის სულთა მატეანეში“ დადასტურებული გვარ-სახელი (დემეტრე) მისჭისია მიჭიხიანის ხევის მცხოვრებს, მაჭასლელს ნიშნავს.[284]

საინტერესოა აჭარის ერთ-ერთი ხევის „მარითის“ სახელის წარმომავლობაც. მ. გეგეშიძე მას ჰიდრონომიული წარმოშობის ქართულ ტოპონიმად მიიჩნევს. მისი აზრით, სიტყვა „მერე“-დანაა ნაწარმოები მერისი, მერეთი და მერია, რომელიც ნიშნავს წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილს.[285]

ვ. მაკარაძის აზრით, მარითის ხეობის ტოპონიმიკური ახსნა ხისა და თიხის მარებთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელთა წარმოებასაც ამ ხეობის

---

[281] С. Т. Еремян. Страна „Махелония“ надписи Кааба-Зардушт, ВДИ, 1967, №4, с. 53.

[282] მ. ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, გვ. 25.

[283] ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 18. მ. ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, გვ. 25.

[284] თ. კუკულაძე. მაჭახლის ხეობის ტოპონიმია. - ადდლ, VII, თბ., 1990, გვ. 93.

[285] მ. გეგეშიძე. ჰიდრონომიული წარმოშობის ქართული ტოპონიმები. - ონომასტიკა, I, თბ., 1987, გვ. 47.

მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევდა. მისი ეარაუ-
დით, ტერმინ „მარეთში“ ფუძე „მარ“ მარებთან (მარების
წარმოების მსარესთან) უნდა იყოს დაკავშირებული.[286]

ჩვენი აზრით, ტერმინი მარითი (თუ მარეთი) შეიძლება
იყოს ეთნონიმური წარმოშობის და იგი უკავშირდებოდეს
სატომო სახელ მარს (მარები), „ეთ“ ქართული
მაწარმოებელია. ასევე სავარაუდოთ შეიძლება ჩავთვალოთ
ამ ტოპონიმის კავშირი „კაცის“ აღმნიშვნელ ძველქართულ
ტერმინთან „მარი“. ასეთ შემთხვევაში მარეთი ნიშნავს
„კაცების“ (ვაკეკაცების მნიშვნელობით) მხარეს (შეადარე:
ქმარი - ქალი და კაცი, ქალის კაცი; სა-მარე-კაცის
საფულავი).

„ქობულეთის“ სახელით აჭარაში ცნობილია ორი პუნქტი,
სოფელი, რომელიც უძველესია და ქალაქი ზღვის
სანაპიროზე. გ. წერეთელი ტერმინ „ქობულეთ“-ს
ხალიბების სატომო სახელწოდებას უკავშირებს. სლავურ
„ხლებ“ ძირიდან მომდინარეობს და ხორბლის ცნებას
გამოხატავს; ქართულში თანმიმდევრობითია ხორბალეთი.
ქობულეთი ლაზურად შემოსავლის ქვეყანას ნიშნავს.[287] ივ.
ჯავახიშვილს ქობულეთის სახელი „ქობალი“-დან
(ხორბლის მეგრული სახელია) გამოჰყავდა. ქობალი
ხუარბალის სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს. მეცნიერი
ასევე სევის სახელს ქობლიანს-ქვაბლიანს-ქობალს
უკავშირებდა.[288] ასეთ აზრს იზიარებს გ. დიასამიძე.[289]

კ. ობოლი გვთავაზობს ამ ტერმინის ხალხურ
ეტიმოლოგიურ ვერსიას. იგი გადმოგვცემს, რომ
ქობულეთში მოგზაურობის დროს ხშირად გესმენია „
ქობულეთი-ქებულეთია“, წინათ ამ მხარეში ქებული

---

[286] ე. მაკარაძე. მარითის ხეობის ისტორიისათვის, გაზ. „აჭარა“, 1995, 28 ივნისი.

[287] გ. წერეთელი. აჭარის მგზნებარე დამცველი, წიგნში: ი. ბექირიშვილი. აჭარა ქართველი მწერლების მთაგონების წყარო, ბათ., 1999, გვ. 47.

[288] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, ტფ., 1930, გვ. 320-321.

[289] გ. დიასამიძე. პურეულთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში, ჟურნ. „ჭოროხი“, გვ. 86.

ვაქკაცები გამოდიოდნენ და ამიტომ ეწოდა მას ქებულეთი, შემდეგ ქობულეთი.[290] მკვლევართა დაკვირვებით აღნიშნული ეტიმოლოგიური ვერსია მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია.[291] ასევე მცდარ ეტიმოლოგიურ გააზრებას წარმოადგენს გაზეთ „ევერიაში" დაბეჭდილი მოსაზრება, რომელშიც აეტორი „ქობულეთს" უკავშირებს ქობულეთ-ფარეხს და რომელსაც იზიარებს მ. ჯანაშვილი.[292]

1953 წელს ნ. ხოშტარიამ გამოთქვა მოსაზრება სახელწოდებების ქობულეთისა და პეტრას იდენტურობის შესახებ. ეტიმოლოგიურად ორივე ქვას, კლდეს დაუკავშირა. ნ. ბერძენიშვილმა არ გაიზიარა ასეთი შეხედულება და ცნობილი ტოპონიმი ქვაბულიძეთა გვარს დაუკავშირა, ისევე როგორც „კლდეთი" „კლდიაშვილების" გვარს.[293] რის გამოც, საბოლოოდ ნ. ხოშტარიამ თავისი აზრი ასე ჩამოაყალიბა: „ქობულეთი მსოლოდ ფონეტიკური მსგავსების და არა მისი ეტიმოლოგიის მისედვით შეიძლება გადათარგმნილიყო ბერძნულად, როგორც პეტრა" (ანუ იგივე ქვა, კლდე).[294]

დ. მუსხელიშვილის შენიშვნით სალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე, მართლაც, არ არის გამორიცხული პეტრა-ქობულეთის ურთიერთდაკავშირება, მაგრამ რეალურ-ისტორიულად არ არსებობს საამისო საფუძველი. გარდა იმისა, რომ გამოთქმულია სერიოზული ეჭვები პეტრა-ციხისძირის იდენტურობის შესახებ, რაც მათი გამართლების შემთხვევაში, სრულიად აქარწყლებს ქობულეთის პეტრასთან დაკავშირების შესაძლებლობას, არ გვაქვს არავითარი მინიშნებაც კი იმაზე, რომ ციხისძირს როდისმე

---

[290] კ. ობოლი. ქობულეთის მხარე, გაზ. „კომუნისტი", 1928, №10.

[291] ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, წ. II, გვ. 105.

[292] Вахушти. География Грузии, მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფ., 1904, გვ. 240, შენ. 534.

[293] ეს მონაცემები მოგვყავს დ. მუსხელიშვილის ნაშრომიდან (აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 13, შენ. 29; შეადარე: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 439).

[294] ნ. ხოშტარია. ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 35.

ქობულეთი რქმეოდეს. მართალია, ციხისძირი „ქობულეთის ქვეყნის“ უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზეა, მაგრამ გვგონია, იგი არ შედიოდა ამ „ქვეყნის“ შემადგენლობაში და ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის ცენტრს წარმოადგენდა“.[295] დ. მუსხელიშვილი გამოთქვამს აზრს, რომ ტოპონიმი ქობულეთი თითქოს პირველად ვახუშტისთან უნდა იყოს მოხსენიებული, მაგრამ ეტყობა თვით ტოპონიმი ძველი უნდა ყოფილიყო. მეცნიერს ამ აზრის დასასაბუთებლად მოაქვს ქართული წყაროს ცნობა: 1046 წელს „ბაგრატ (IV) აფხაზეთს იყო... მოადგა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა“ და მიუთითებს, რომ ეგრის-აფხაზეთის ლაშქრის მეთაური ვინმე ოთაღოს ზედწოდება „ქუაბულელი“ სწორედ „ქობულეთელს“ უნდა ნიშნავდეს და ეს თუ ასეა, მაშინ ქობულეთის უძველეს მოხსენიებასთან გვაქვს საქმე. ნაშრომის სხვა ადგილას მეცნიერი აღნიშნავს, რომ აჭარის ზღვის მხარეში ქვაბულიძეთა ფეოდალური გვარი X საუკუნეში უნდა დამკვიდრებულიყო და მხარის სახელწოდება - „ქობულეთი“ XI საუკუნეში უკვე უნდა არსებულიყო.[296]

ი. სიხარულიძის აზრით, ტერმინი „ქობულეთი“ ასე უნდა დაიშალოს: ქობ-ულ-ეთ-ი. აქედან „ეთ“ გეოგრაფიულ სახელთა ქართული მაწარმოებელია, „ულ“ ქართველურ ენათა დეტერმინატი სუფიქსი. ძირი „ქობ“ უნდა იყოს „ქვაბის“ დამახინჯებული ფორმა. ეს სახეცვლილება „ვა“კომპლექსის „ო“-დ ქცევის საფუძველზე მომხდარა (შეადარე: „ქვაბლიანი“-„ქობლიანი“).[297] მკვლევარი იმოწმებს საბას ლექსიკონს სადაც „ქვაბი“ განმარტებულია, როგორც „კლდე გამოკაფული“ და აღნიშნავს, რომ ქვაბ-გამოკაფული კლდე და ქვაბული, რომლის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ქვაბულ-ქვაბულეთი-ქობულეთი, ამქამინდელ ციხისძირის მიდამოებში უნდა ვივარაუდოთ.

---

[295] დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 13.
[296] დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 14.
[297] ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, II, გვ. 104.

შავი ზღვის ციხისძირის სანაპირო კლდეებითა და ნაპრალ-ქარაფებით ისე უხვად მომადლებული რაიონია, რომ ი. სიხარულიძის აზრით, აღნიშნული ვარაუდი უსაფუძვლო არ უნდა იყოს. სწორედ ციხისძირის ასეთმა გეოგრაფიულმა თავისებურებამ განაპირობა, რომ მას „პეტრა" ეწოდა და არც ისაა გამორიცხული, რომ პეტრა იყოს „კლდის" მნიშვნელობის ბერძნული ტერმინი „ქობულეთის" თარგმანი, მაგრამ რაიმე სერიოზული მტკიცებისათვის ცნობები არ გაგვაჩნია.[298]

მ. ალავიძე მიიჩნევს, რომ „ქობულეთი" წარმომდგარია „ქვაბი" (მიმღეობა „ქვაბული") სახელისაგან და იგივეა, რაც „ქვაბულეთი."[299]

მ. ხარაზის აზრით, სახელწოდება „ქობულეთი" XVI საუკუნის შემდგომ, მისი ერთ-ერთი მფლობელის გვარ-სახელისაგან უნდა შერქმეოდა. XVI საუკუნეში ვინმე ქობულია კინტრიშ-აჭყეას ხეობის ერთ-ერთი მესაკუთრე ყოფილა.[300]

მ. ვარშანიძე მიმოიხილავს მანამდე არსებულ ქობულეთის ეტიმოლოგიურ ვერსიებს, მაგრამ თავის შეხედულებას ამ საკითხზე არ გამოხატავს. როგორც ჩანს, იზიარებს მ. ხარაზის ვარაუდს.[301]

ა. იოსელიანი იზიარებს შეხედულებას ქობულეთის მეგრულ-ლაზური „ქობალი"-საგან (ხორბალი) წარმომავლობას, „ქვაბულიანი," „ქობლიანის" მსგავსად.[302]

სახელწოდებაში „ქობულეთი" ქობულ ანუ ქვაბულ ძირის გამოყოფის მომხრენი არიან ზ. ჭუმბურიძე.[303] ასეთივე „ქობულ" ძირი ჩანს ხევსურულ ტოპონიმში „ქობულო."[304]

---

[298] იქვე, გვ. 104-105.

[299] მ. ალავიძე. ქობულეთის ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „საბჭოთა აჭარა", 1972, №60.

[300] მ. ხარაზი. ქობულეთი, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა", 1969, №5, გვ. 73.

[301] მ. ვარშანიძე. ნარკვევები... გვ. 77.

[302] ა. იოსელიანი. ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, გვ. 18.

[303] ზ. ჭუმბურიძე. რა გქვია შენ? გვ. 104.

ნ. კახიძის აზრით, ქობულეთი შეიძლება წარმომდგარი იყოს ადამიანის საკუთარი სახელიდან-ქობულეთი. ამასთანავე, შენიშნავს მკვლევარი-ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებები მაინც ანგარიშგასაწევია. „ხუარბალი"-ს (პურეულის ძველი ქართული ტერმინია) სახენაცვალი ფორმაა ქოვალი-ქობალი, საიდან შეიძლებოდა წარმომდგარიყო ქობულეთი.[305]

ვფიქრობთ, მართებულია დ. მუსხელიშვილის მსჯელობა, რომ ქობულეთის პირველი მოხსენიება „ქუაბულელი" ფორმით XI საუკუნეს ეკუთვნის და არც ისაა გამოსარიცხი, რომ ქვაბულიძეთა გვარი აქ X საუკუნეში დამკვიდრებულიყო. თუ ასეა, მაშინ საჭირო ხდება თვით ამ გვარის „ქვაბულიძე"-ს (ქუაბული) წარმომავლობის ძიება. შეიძლება იგი ადამიანის საკუთარ სახელთან ან ქვასთან (თუ „ქვაბი"-სთან) მართლაც იყოს კავშირში, მაგრამ ამასთანავე შესაძლებელი გვგონია საკვლევი ტოპონიმის დაკავშირება ქართულ სიტყვასთან - „ქობულა", რომელიც „საღორე მიწურს"[306] ნიშნავს, რომელსაც დაერთო „ეთ" ტოპონიმიკური სუფიქსი.

აჭარის ტერიტორიაზე უძველეს დასახლებულ პუნქტებს უნდა განეკუთვნებოდნენ აგრეთვე შუახევი, გვარა, ხერთვისი, ქედა, ხულო და ბევრი სხვა.

ტოპონიმი შუახევი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გაჩენილი მოჩანს, როცა ყალიბდებოდა „ხევების" ინსტიტუტი. ტერმინი წარმოქმნილია ქართული სიტყვების „შუა"-ს და „ხევი"-ს შერწყმის შედეგად. დ. მუსხელიშვილის აზრით, შუახევი ზემო და ქვემო ხევებს შორის მდებარე ტერიტორიას გულისხმობს. შუახევი მოიცავდა დანდალო-ზამლეთს შორის მონაკვეთს, შესაძლებელია ჭვანის ხევსაც. ტოპონიმი „შუახევი"

---

[304] ფ. მაკალათია. არაგვის ხეობის ფშაველის ტოპონიმიკა. -ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 181.

[305] ნ. კახიძე. ივ. ჯავახიშვილი და აჭარის ეთნოგრაფიის საკითხები. - „საისტორიო მაცნე", ბსუ, 1996, №4, გვ. 6.

[306] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962, გვ. 339.

თავისთავად „ზემო“ და „ქვემო“ ხევების არსებობასაც გულისხმობს.[307]

სოფლის სახელი ქედა სიტყვა „ქუედა“-ს სახეშეცვლილი ფორმა ჩანს, რომელიც ნიშნავს „ქვედა ხევს“. ქედა მართლაც აჭარისწყლის ხეობის ქვემო ნაწილის უძველესი ცენტრი უნდა ყოფილიყო.

სიტყვა „ქედას“ ქართულ ლექსიკონში სხვა ახსნებიც მოიძებნება („ღორი მრეში“ ან „ზარმაცი მცონარა ადამიანი“),[308] მაგრამ რამდენად გამართლებული იქნება მათგან ტოპონიმ „ქედას“ წარმომავლობა ძნელი სათქმელია.

ტოპონიმი ხულო აჭარისწყლის ხეობის ზემო ნაწილში მდებარეობს. იგი ამ მსარის ერთ-ერთი უძველესი ცენტრია. როგორც ჩანს მისი თავდაპირველი ფორმაა „ხულა.“ აჭარის მოსახლეობაში ბოლო დრომდე გავრცელებული იყო ასეთი ფორმაც. ხეთების სამეფოს არსებობის პერიოდში მცირე აზიაში იყო ქვეყანა ახულა,[309] რომელიც ჩვენი ხულასაგან მხოლოდ „ა“ ტოპონიმიკური პრეფიქსით განსხვავდება. ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით განსაკუთრებით ამ ტერმინის წარმომავლობაზე, მაგრამ, შესაძლებელია „ხულა“ ადამიანის საკუთარი სახელი იყოს, ან მომდინარეობდეს „ხულა“-დან, რომელიც ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ცალკე მდგომი საკუჭნაო და მარცვლის შესანახი შენობა.[310]

აჭარაში „გვარა“-ს სახელწოდებით ორი სოფელია ცნობილი. შესაძლებელია ესენი დამოუკიდებლად აღმოცენებული ან ერთი რომელიმე ამათთაგანი მეორეს შობილი იყოს. მაჭახლისწყლის შეერთებასთან არსებული გვარა „გორის“ „გვარის“ ყველა მოთხოვნებს

---

[307] დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 31-32.

[308] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984, გვ. 565.

[309] ვ. გიორგაძე, ი. ტატიშვილი. ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტები. - ძასიქ, გვ. 179.

[310] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), გვ. 584.

აკმაყოფილებს, რომ იყო უძველესი ტოპონიმი და მისი ფესვები გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანაშია საძიებელი. ტოპონიმი „გვარა“ სიტყვა „გუარა“-დან მომდინარეობს, რომელიც თავის მსრით ტერმინ „გორი“-დან ჩანს გაჩენილი.[311] აღნიშნულ ეპოქაში ბორცვზე ჩნდება „გუარი“-ს სამოსასლო, რომელიც ბორცვთან ერთად მოიცავს ასლო-მასლო გაჩენილ სოფლებსაც.[312]

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ხერთვისია ცნობილი, მათგან სამი აჭარაშია. ერთი მდებარეობს ჭოროხისა და აჭარისწყლის შესაყართან. ტოპონიმი „ხერთვისი“ პირველად მოხსენიებული უნდა იყოს თხზულებაში „ვახტანგ გორგასალის ცხოვრება“[313] (შედგენილია დაახლ. 503 წელს). თხზულების მიხედვით, ვასტანგ მეფეს ბიზანტიელების (ბერძნების) წინააღმდეგ ხერთვისთან („ჭალაკი, რიყე ხერთვისისა“) უწარმოებია ბრძოლა, რომელიც, ჩვენი აზრით, 464 წლის დასასრულით უნდა დათარიღდეს.[314] ლექსიკონებში საკვლევ ტერმინს აქვს შემდეგნაირი განმარტებანი: ხერთვისი-ზღვათა და მდინარეთა საშუალ ხმელი ჭალაკი ან კუნძული,[315] ან კუნძული ან ნახევარკუნძული (მდინარეში).[316] ჩვენი აზრით, ხერთვისი ძველი ქართული სიტყვისაგან „ჰერთვის“-„ხერთვის“ უნდა მომდინარეობდეს. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ხერთვისი ერთვის სიტყვის უძველესი ფორმაა.[317] მართლაც საკვლევი ტოპონიმი ორი ხევის ან ორი მდინარის შესაყართან, შეერთებასთან მდებარეობს.

---

[311] ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1980, გვ. 28.

[312] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძველთა აღწერილობა, წ. 5, თბ., 1990, გვ. 13.

[313] ი. ბექირიმვილი. ამას შენზე ამბობენ აჭარაე, გვ. 57.

[314] ს. გოგიტიძე. ძიებანი ვახტანგ გორგასალისდროინდელი ქართლის ისტორიიდან, გვ. 59-60, 63.

[315] ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 467.

[316] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964, გვ. 1426.

[317] თ. გამყრელიძე. დაეიცვათ ისტორიული სახელწოდებანი, გაზ. „კომუნისტი“, 1988, 19 აგვისტო.

შესაძლებელია ტერმინი „ხერთვისი“ „ხევ“-ისა (მდინარის ღრმა კალაპოტი მთებში) და ზმნის (ერთვის) შერწყმის შედეგად წარმოქმნილი კომპოზიტი იყოს.[318]

როგორც ზემოთ აღინიშნა VI-VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“, რომლის წყაროები გაცილებით ადრინდელია, პირველადაა მოხსენიებული აჭარა. ანანია შირაკაცი ამავე გეოგრაფიაში მოგვითხრობს, რომ მდინარე ჭოროხი ნიგალის, მრულის, მრიტისა და ეგრის გაელით ზღვას ერთვის. მკვლევარები სახელწოდებებს მრიტს და ეგრს აჭარის ტერიტორიით, სოლო მრულს მისი სიახლოვით შემოსაზღვრავენ. ამ ტოპონიმებში იმერხევის, მარითისა და ეგერის (ან აჭარის) დანასვა,[319] ჩვენი აზრით, მცდარი უნდა იყოს.

„სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებული „მრული“ შეიძლება მურღულთან ან მარადიდთან გავაიგივოთ, რადგან როგორც ანანია მოგვითხრობს და როგორც ირკვევა ეს და დანარჩენი ტოპონიმები სწორედ ჭოროხის ქვემო წელთან ახლაც დასტურდება.

ტოპონიმი მარადიდი კომპოზიტია, მისი პირველი ნაწილი „მარანი“ ან „მარადი“, ხოლო მეორე – „დიდი“ ქართული სიტყვებია. მარადიდს „მარანდიდის“ ფორმით გასულ საუკუნეში ლ. ისაროვი მოიხსენიებს და თავად იძლევა ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიასაც-მარან-დიდი-„დიდი ღვინის საცავი.“[320] ქართულ ლექსიკონებში „მარან“ განმარტებულია, როგორც „საღვინე სახლი“ ან „ღვინის საცავი სახლი.[321] მარადიდის მარანდიდისაგან წარმომაელობას იზიარებენ სხვებიც.[322] აზრი მირვეთის

---

[318] „ხერთვისის“ სხვაგვარი განმარტებანი იხ. წიგნში: ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 20, 126-127.

[319] Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, Ер., 1971, с. 26.

[320] Л. С. Исарлов. Письма о Грузии, Тиф., 1889, с. 282.

[321] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958, გვ. 55; ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 267.

[322] დ. სახუტაიშვილი. რეცენზია ი. სიხარულიძის ნაშრომზე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“, მოამბე, სმაო, თბ., 1961, №1, გვ.

მომდინარეობისა მურყვეთიდან და თითქოს დროთა განმავლობაში ფუძისეული „ყ“-ს დაკარგვა[323] საფუძველს მოკლებული გვეჩვენება. ტოპონიმი მრიტი დ. მუსხელიშვილის აზრით, მარადიდი, მირვეთი ან მერეთი უნდა იყოს.[324] მართლაც, მრიტი ფონეტიკური აგებულებით ახლოს დგას მირვეთთან. იგი მიროეთის ან მირვანის ფორმითაცაა დადასტურებული.[325] მ. ქამადაძის აზრით, მირვეთი მიროეთიდან მომდინარეობს. „ტბეთის სულთა მატიანეში“ მოხსენიებულია მიროელი (საკუთარი სახელია მირო).[326] ჩვენი აზრით, მირვეთი უნდა მომდინარეობდეს ადამიანის საკუთარი სახელიდან „მირვანი“, რაკიღა ასეთი სახელით მოიხსენიებენ მას ზოგიერთი მოგზაური. შესაძლებელია ამ სოფლის თავდაპირველი სახელი „მირუეთი“-ც ყოფილიყო, რამდენადაც გრამატიკული ნორმების საშუალებით დასაშვებია „უ“-ს, „ვ“-ს და „ო“-ს მონაცვლეობა. თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ შესაძლებლად მივიჩნევთ ტოპონიმში „მი“ პრეფიქსისა და „ეთ“ სუფიქსის გამოყოფას, ფუძეა რო||რუ (შეადარე: რო-ან-ია, რი- ონ-ი). საქართველოში „რუ“-დან არაერთი ტოპონიმი და ჰიდრონიმი წარმოქმნილა (რუ-ს-თავი, რუ-ის-ი, რიონი←რუ(ვ)იონი,[327] არ გამოვრიცხავთ, მირვეთის მირუეთიდან წარმომავლობას და მასში „რუ“ ფუძის

298; მ. ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, გვ. 25.

[323] შ. ვარშანიძე. ნარკვევები... გვ. 19.

[324] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 95.

[325] Л. С. Исарлов. Письма о Грузии, с. 281; Е. Д. Веиденбаум. Кавказские этюды, I,Тиф., 1901, с. 115.

[326] მ. ქამადაძე. აჭარის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიისათვის. - ადდლ, VII, თბ., 1990, გვ. 89; მისივე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, გაზ. „ძლევაჲ“ ბსუ, 1992, №2.

[327] მ. ალავიძე. სახელწოდება „ქუთაისის“ და „რიონის“ ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ამოხსნ. - ჩსეი-ის და ბსკი-ის XIV რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნ. სესია, ბათ., 1993 წ მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1993, გვ. 7.

გამოყოფას. ლექსიკონში „რუ“ განმარტებულია, როგორც „სარწყავად გაყვანილი პატარა არხი“[328]

მკვლევართა გარკვეული ნაწილი „ეგრ“-ს აიგივებს ეგრისთან, აჭარასთან ან კლარჯეთის „ბოლო ზღვის-პირთან,[329] რაც არ უნდა იყოს სწორი.

როგორც ზევით აღინიშნა სომხურ გეოგრაფიაში მოიხსენიება ნიგალი. ტოპონიმმა ნიგალმა ერთ დროს ისე გაიფართოვა საზღვრები, რომ ჭოროხის ხეობა ართვინის სანახებიდან მირვეთ-მარადიდიმდე დაიკავა. როგორც ჩანს, ცდება ვახუშტი ბატონიშვილი, როცა ნიგალის ხეობაში ერგე-ხელვაჩაურის ტერიტორიაც შეჰყავს.[330] ნიგალს ან მის ხეობას „ქართლის ცხოვრება“ ნიგალს უწოდებს, სოლო ვახუშტი-„ლიგანი“-ს.[331] ამ ტოპონიმის პირველი მოხსენიება შესაძლებელია ურარტულ წყაროს ეკუთვნოდეს. იქ იგი მოხსენიებულია „ლიკას“ ფორმით.[332] ლექსიკონში „ლიგანა“ განმარტებულია, როგორც „პატარა ნაგებობა, რომელსაც ბილიკების გასწვრივ აგებდნენ...“ „ნაგალ“ კი - „ნატანჯი“, ბევრი ჭირის მნახველი“.[333]

„ტბეთის სულთა მატიანეში“, რომელიც XI-XVII საუკუნეების საეკლესიო ძეგლს წარმოადგენს მოხსენიებულია აჭარის სოფლები: ერგე, ჯოჭო, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, კილნათი, კიბე, ზენდიდი, ხერთვისი და 1921 წლიდან მის საზღვრებს გარეთ დარჩენილი სოფლები შემავალი ზემო

---

[328] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960, გვ. 461.

[329] ივ. ჯაჯანიშვილი. თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 23-24.

[330] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს აღწერა (XVIII ს.), თბ., 1997, გვ. 62-63, 66-67.

[331] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 121. ქართლის ცხოვრების ზოგიერთ ნუსხასა და მკვლევარებთან ნიგალის სხვა ფორმებიც (ნიგლა, ნიგოლა, ნიგაო) დასტურდება: ი. სიხარულიძე. ნიგალი, ბათ., 1985, გვ. 77.

[332] Г. А. Меликишвили. УКН, с. 273, 433.

[333] ქართულ თქმა-კილოთა სიტყვის კონა, გვ. 331, 401.

მაჭახელში: ეფრატი, ზედვაკე, აკრია.[334] ყველა აღნიშნული სოფელი დღეისათვის არსებული ტოპონიმებია.

ტოპონიმების „ერგესა“ და „ხერთვისის“ შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, რაც შეეხება ერგეს გვერდით მდებარე სოფელ „ჯოჭოს“ (ახლა არსებობს ზემო და ქვემო ჯოჭო), როგორც ჩანს, უძველეს ქართულ ტოპონიმთა რიცხვს განეკუთვნება. დასაშვებად მიგვაჩნია ტოპონიმ ჯოჭოს „ჯოჯ“-იდან მომდინარეობა, რომელიც ნიშნავს „სარს, ჯოხის წვერს“ და რომელიც ბ. გიგინეიშვილის აზრით, ძვ. წ. VIII საუკუნიდან მოდის და ნიშნავს „საყრდენ სარს.“[335] უფრო სარწმუნო ჩანს სოფლის სახელი ჯოჭო მომდინარეობდეს ხელიკის მსგავსი ქვეწარმავლის სახელიდან, რომელიც ბინადრობს კლდოვან, ყორე-ქვიან ადგილებში და რომელიც ამ მიდამოებში ფართოდაა გავრცელებული.

ტოპონიმ ჩიქუნეთის წარმომავლობის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით. ტერმინი „ტბეთის სულთა მატიანეს“ გარდა, როგორც ჩანს, მოხსენიებულია გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში-ჩიქუნური. ამ ტექსტის ჩიქუნური გაგებულია, როგორც ადამიანის საკუთარი სახელი და შეტანილია საკუთარ სახელთა საძიებელში, პირთა სახელებში,[336] რაც სარწმუნო არ უნდა იყოს. ბ. ხიმშიაშვილის აზრით, სახელწოდება ქართულია, შესაძლებელია მომდინარეობდეს „ჩიქვი“-დან (ასე ეწოდება აჭარაში პატარა ჩირგვს). თავდაპირველი ჩიქუნურიდან შემდგომ ჩიქუნეთი ჩამოყალიბდა.[337]

---

[334] ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

[335] ბ. გიგინეიშვილი. ზოგი ეთნოგრაფიული ტერმინის წარმომავლობისათვის ქართველურ ენებში, მაცნე, ისტ. სერია, 1985, №1, გვ. 57-58.

[336] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 21-22, 659.

[337] ბ. ხიმშიაშვილი. ჩიქუნეთი, გაზ. „მაჭახლის ექო“, 1998, 15 ნოემბერი.

ჩხუტუნეთი თ. მიბჩუანის აზრით, სვანური ტოპონიმია და ჩხუტ||ჩხუტულ ნიშნავს „კენჭს.“[338] ი. ბექირიშვილის ვარაუდით, შესაძლებელია სოფელს სახელწოდება მიეცა სადღვებელის ტერმინ „ჩხუტი“-დან, რომელიც „ჯოხის ჩსვლეტას, დარტყმას“ უნდა ნიშნაედეს, ან დერგის სახეობა „ჩხუტი“-დან, დამზადების ადგილის გამო.[339] ჩვენი აზრით, საკვლევი ტოპომინის სახელი შეიძლება მომდინარეობდეს ქალის საკუთარი სახელიდან (ჩხუტუნია) რომელიც იმავე მაჭახლის ანუ ტბეთის მატიანეში დასტურდება.[340]
უძველეს ქართულ ტოპონიმთა რიცხვს ჭოროხისა და მაჭახლისწყლის შეერთებასთან მდებარე სოფელი კირნათიც ეკუთვნის. დასახლებული პუნქტის სიძველზე უნდა მიუთითებდეს აქ ნაპოვნი ბრინჯაოს ცულების განძები.[341] როგორც ჩანს, ასევე ძველია ტოპონიმი ნიკირნათეეიც, რომელიც ამავე სოფლის დასაწყისშივე მდებარეობს. ტერმინ კირნათის გაჩენამ გამოიწვია ნაკირნათეეის („ნა“ პრეფიქსია „ევ“ სუფიქსი), ე.ი. ძველი კირნათის (თავდაპირველი კირნათის) წარმოქმნა. სახელწოდება „კირნათის“ წარმომავლობის შესახებ რამდენიმე აზრი გაგვიჩნდა. იგი წარმოშობილია ამავე სოფლის მიდამოებში კირის არსებობისა და მის წარმოებასთან (შეადარე: კირ-ენ-ათ-ი), ან კირნარის („კირიანი ნიადაგის“)[342] არსებობით. დასაშვებია ასევე, რომ კირნათი ისეთი წარმომავლობის სახელი იყოს, როგორიც ძველაღმოსავლურ და ანტიკურ წერილობით ძეგლებში დამოწმებული ქვეყნების, ოლქების და ჰიდრონიმების სახელები: კურიანია, კუარზანი, კორძენა,

---

338 თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 217.

339 ი. ბექირიშვილი. ჩხუტუნეთი, გაზ. „აღორძინება“, 1998, 31 მარტი.

340 ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 18.

341 ი. დაეითაძე. კოლხური ცული კირნათიდან. - სდსძ, 1983, XII, გვ. 51; ა. კახიძე. გვარიქედი, მთავარანგელი, მარიაწმინდა, წალკოტი... გაზ. „აჭარა“, 1997, 16 აგვისტო.

342 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), გვ. 265; ს. ეოგიტიძე. კირნათის, კობალეთის, შუშანეთის, გვარას, მარადიდისა და ძაბლაეეთის წარმომაელობა, გაზ. აჭარა, 2001, 19 იანვარი.

კირნოსი, კორი, კურა და ა.შ. ასეთი გაიგივება საეჭვო არ იქნება, თუ ეან მურიეს „კურა“-ში[343] კირნათს შევიცნობთ. შ. ვარშანიძის აზრით, კირნათს კავშირი უნდა ჰქონდეს მტკვრის ანტიკურ სახელთან-„კირნოს“-თან.[344] თ. კუკულაძის ვარაუდით, ტოპონიმი „კირნაეი“ მიღებული უნდა იყოს კირნაული-რკინაული ფორმისაგან.[345] კირსათი სოფლის სახელად წებელდის სასოფლო საბჭოშიც დასტურდება. მკვლევარი ვ. ზუხბაია მასში „კირნ“ ფუძესა და „ათი“ სუფიქსს გამოჰყოფს.[346]

ტოპონიმის „კიბე“-ს სახელად გაჩენა, როგორც ჩანს, მისმა რელიეფურმა მდებარეობამ განაპირობა. იგი მდებარეობს აჭარისწყლის ჭოროხთან შეერთების სექტორის ზემოთ, მთის კალთებზე, ქართული ეტიმოლოგიის მქონე პატარა სოფლებს ქეციქედსა (ქედს იქით) და ოფე, კაპნისთავს (კაპანის თავის) შორის, რომლებიც აჭარისწყლის საკრებულოში შედიან.

ზენდიდი ქედის რაიონის სოფელია. ტერმინი „ზენდიდი“ კომპოზიტია და შედგება „ზენ“-ისა (ზემოთ, ზევით) და სიტყვა „დიდი“-საგან. სოფლის სახელი განიმარტება, როგორც „ზემოთ მდებარე დიდი სოფელი.“

სოფლის სახელი „ეფრატი“, როგორც ჩანს, გაჩენილი უნდა იყოს ცნობილი მდინარის ეფრატის (იგივე ევფრატის) ნაპირებიდან ქართველური ტომების რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლების მიგრაციის პროცესის შედეგად. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, სოფლის სახელი სიტყვა „იმფრათი“-დან მომდინარეობს: საყდარი იმფრად უნდა გაკეთდესო.[347]

---

[343] ეან მურიე. ბათუმი და ჭოროხის აუზი, გვ. 18.

[344] შ. ვარშანიძე. ნარკვევები... გვ. 77.

[345] თ. კუკულაძე. მაჭასლის ხეობის ტოპონიმია. - ადდლ, VII, თბ., 1990, გვ. 98.

[346] ვ. ზუხბაია. აფსაზეთო ჩემო, თბ., 1998, გვ. 123.

[347] ზ. ჭიჭინაძე. მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 194.

სახელწოდება „აკრია“ შესაძლებელია მომდინარეობდეს ქართული სიტყვიდან „აკრულია,“ „აკრავს,“ ე.ი. „გარს შემოვლებული, შეკრული აქვს.“[348]

ტერმინი „ზედვაკე“ კომპოზიტია და შედგება ორი ქართული სიტყვისაგან-„ზედ“ („სულ ახლოს, მჭიდროდ“) და „ვაკე“ („სწორი, გაშლილი მინდორი“).[349] მაშასადამე, „ზედვაკე“ ნიშნავს „ვაკესთან ახლოს მდებარე სოფელს“.

ტბელ აბუსერისძის თხზულებაში „სასწაულნი“ (შედგენილია 1233 წ. ახლო დროში) მოხსენიებულია „აჭარის ქვეყნის“ გარდა მასში შემავალი სოფლები და მოები: ხიხანი, ცხმორისი, შუარტყალი, ერთეკლესია, პრასინაული, ჯალე, ზაქარწმინდა, ორღართა, ჭარალი, ბაკო.[350]

თხზულებაში ხიხანი ორი ფორმითაა მოხსენიებული „ხიხათა“ და „ხიხანი“ ფორმით. ხიხანი ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა ციხე-ქალაქს და იყო აჭარის ერისთავთ-ერისთავების აბუსერისძეების რეზიდენცია. ეს უკანასკნელნი აქედანვე მართავდნენ X-XI საუკუნეებში ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთის ნაწილი).[351] როგორც ჩანს, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოხსენიებულ აჭარის სამთავროში,[352] რომელსაც ბიზანტიასთან საზღვარი დაბა კოლორისთან ჰქონდა, სწორედ ამ პერიოდის აჭარა იგულისხმება. ი. ხალვაშის აზრით, ტერმინი „ხიხანი“ მომდინარეობს თიხის აღმნიშვნელ ძველქართულ

---

[348] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 22.

[349] იქვე, გვ. 226, 231.

[350] აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი, ბათ., 1998.

[351] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 300; ე. იამვილი. აჭარა VII-XVI საუკუნეებში. - ასმმ, ტ. IV, ბათ.,1960, გვ. 30.

[352] ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. II, თბ., 1983, გვ. 114; აჭარა გაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთი სამთავროა: ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 540.

სიტყვიდან „ხიხა.“[353] ს. დუმბაძე ვარაუდობს, რომ „ხიხა“ (ფუძე) ეწოდება ხირხალის ქედის მთელ სიგრძეზე დიდი წვიმების შედეგად ვერტიკალურად ჩამორეცხილ, ჩამოღარულ ადგილს. რაკი ასეთი ადგილი ბევრია, ამიტომ მთელ ქედს ეწოდება ხიხათა, ხიხაების ქედი ანუ ხირსათები. აქედან წარმოდგება სიტყვა „ხიხანიც.“[354] ი. ბექირიშვილის აზრით, სახელწოდება „ხიხა-ხიხათა“ არაბულია და უხეშ მოუქნელ ტანსაცმელს ნიშნავს.[354ა] ჩვენი აზრით, სახელწოდებაში უნდა გამოიყოს „ინ“ („ან“) და „თა“(„ეთ“) სუფიქსები. ლექსიკონებში „ხიხა“ განმარტებულია, როგორც „გამხდარი დაღული მწირი, ცოტა. ცუდი რამ უვარგისი“; ხიხაშ-„შავი ქვანარევი მიწა.“[355] ან ხიხოტ-„მწირი, უნაყოფო ადგილი“ ან ხირხატი - „ქვიშიანი ნიადაგი“.[356] მამასადამე, ხიხანი ნიშნავს „მწირ“ უნაყოფო, ქვიშიან ადგილს“.

სოფელი ცხმორისი ქედის რაიონის სოფელია. სახელწოდებაში ი. სიხარულიძის აზრით, გამოიყოფა „ცსმორ“-ი, რომელიც ფლორონიმს უკავშირდება.[357] თ. მიბჩუანით ცხმორისი სვანურად ცხუმრა-რცხილადან მიმდინარეობს, „ცსმორიში“ ნიშნავს „რცხილნარ ადგილს.“[358] არ გამოვრიცხავთ, რომ სახელწოდება კომპოზიტი იყოს და შედგება ქართული სიტყვებისაგან „ცხრა მორი“ (ცხრა მოჭრილი მსხვილი ხე).

---

[353] ი. სალვამი. ხიხანის ეტიმოლოგიისათვის, ეურნ. „ჭოროხი“, 1970, №1, გვ. 76-79.

[354] ს. დუმბაძე. კიდევ ერთხელ აბუსერისძე ტბელისა და მისი თხზულების ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის შესახებ, ეურნ. „ჭოროხი“, 1996, №5, გვ. 104.

[354ა] ი. ბექირიშვილი. აბუსერისძეთა რეზიდენციის ხიხათა-ხიხანის ეტიმოლოგიისათვის.-გაზ. აღორძინება, 1998, 4 სექტემბერი.

[355] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984, გვ. 756.

[356] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, გვ. 1458, 1461; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), გვ. 581.

[357] ი. სიხარულიძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, გვ. 50.

[358] თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს... გვ. 274.

ტოპონიმ „შუარტყალის“ ადგილმდებარეობის შესახებ მკვლევართა შორის აშკარა აზრთა სხვადასხვაობაა. სოფელი შუარტყალი მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას, იე. ჯავახიშვილს და კ. კეკელიძეს კლარჯეთში მიაჩნდათ, ლ. მუსხელიშვილსა და ხ. ახვლედიანს-აჭარაში.

ი. სიხარულიძე „შუარტყალის“ ლოკალიზაციას ფოცხოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე შუარწყალთან ახდენს.[359] მართებული გვეჩვენება ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. კახიძისა და ს. დუმბაძის მოსაზრება, რომ შუარტყალი ახლანდელი თხილვანაა.[360] მკვლევარის აზრით, სახელწოდება „შუარტყალი“ შუაწყლისაგან მომდინარეობს.[361] ჩვენი აზრით, კომპოზიტ „შუარტყალის“ წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს პუნქტის ტიპოგრაფიაზე. სახელწოდება მიღებული უნდა იყოს სიტყვებისაგან „შუა“ და „რკალი“ ან „არტყია“. „შუარტყალი“ ნიშნავს „მთათა რკალს შორის მოქცეული სოფელი“, ე.ი. ადგილი, რომელიც რკალს შიგნით მდებარეობს, შუა ადგილს არტყია, მთებითაა შემოსაზღვრული (შეადარე: შუა+არტყია, სუფიქსის „ალ“ დართვით).

ი. სიხარულიძის მიხედვით, ორონიმი „პრასინაული“ „ხიხათა ზურგის“ ჩრდილოეთ სექტორშია საძიებელი.[362] ჩვენი აზრით, ეს ტოპონიმი ხიხანის ციხის სამხრეთით, არსიანის მთაზე, საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. მისი სიმაღლე 2300 მეტრია. იგი ხიხანიდან პირდაპირი ხაზით 4,5 კილომეტრზე ცოტა მეტი მანძილითაა

---

[359] ი. სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე, თბ., 1963, გვ. 48.

[360] ნ. კახიძე. ხელოსნობა აჭარაში. - სდსკ, XVII, თბ., 1990, გვ. 90, შენ. 34; ს. დუმბაძე. აბუსერისძე ტბელის თხზულებების ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის შესახებ, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1998, №5, გვ. 107-108.

[361] იქვე, გვ. 108.

[362] ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, გვ. 51.

დამორებული.[363] მკვლევართა აზრით, ორონიმი ფლორონიმიდან - „პრასი“ არის ნაწარმოები.[364]

ერთეკლესია ანუ ეკლესიის კარი - ასე იწოდებოდა ცხმორისში წმინდა გიორგის ეკლესია და მისი მიდამოები. აშკამად „საყდარს“ ეძახიან.[365] სახელწოდება შედგება ორი სიტყვისაგან - „ერთი ეკლესია.“ ქრისტიანობასთან დაკავშირებული არაერთი ტოპონიმია დღესაც შემორჩენილი აჭარაში - სამება, დიოკნისი, ჯვარიქედი და სხვა.

ჯალე არის ადგილი, სადაც ქვას „კაბმავდა“ ბასილი. ლ. მუსხელიშვილის აზრით, ჯალე შუარტყლის უბანი უნდა ყოფილიყო.[366] ს. დუმბაძის გამოკვლევით, ბაკოს გარეუბანი, დღევანდელი მთისუბანი.[367] ი. სიხარულიძის ვარაუდით, იგი ფიცხოვის რომელიღაცა პუნქტი უნდა ყოფილიყო.[368]

ტოპონიმი „ჯალე“ ი. სიხარულიძის აზრით, ზანურია და ნიშნავს „ძელი.“[369] ჩვენი ვარაუდით, ტოპონიმის სახელწოდება მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელიდან „ჯალე“-„ჯალა.“ ერთი ასეთი სახელის მქონე მწერალი, სომხური და ბერძნული ენების მცოდნე V საუკუნის დასაწყისში ქართლში მოღვაწეობდა.[370]

ორონიმი „ზაქარწმინდა“ შუარტყალს (თხილვანა) ახლოსაა სავარაუდებელი. სახელი მთისა, როგორც „სასწაულნის“ ავტორი გადმოგვცემს, წარმომდგარა იმ „ჯუარისაგან“, რომელიც „სახელსა ზედა წმიდისა ზაქარიაისსა“ ყოფილა აღმართული.[371] მაშასადამე,

---

363 გენერალური მტბის მიერ 1977 წ. გამოცემული რუკა „ლელოვანი“.

364 ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება... გვ. 51.

365 ი. სიხარულიძე. ცხოვრება... გვ. 51.

366 ლ. მუსხელიშვილი. აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, თბ., 1941, გვ. 9.

367 ს. დუმბაძე. კიდევ ერთხელ აბუსერისძე ტბელისა გვ. 104.

368 ი. სიხარულიძე. ტბელ აბუსერიძე, გვ. 50-52.

369 ი. სიხარულიძე. ცხოვრება... გვ. 44.

370 მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 223-224.

371 აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, გვ. 61.

ორონიმის სახელი მომდინარეობს ადამიანის საკუთარი სახელისაგან-ზაქარია და ქართული სიტყვა „წმიდა“-საგან.

ორონიმი „ორღართა“ შუარტყალის ახლოსაა საძიებელი, აქ ბასილს წმინდა გიორგის სახელზე ეკლესია აუგია. „ორღართა“ კომპოზიტია და მომდინარეობს ქართული სიტყვებიდან-„ორი ღარი.“

ჭარალი ი. სიხარულიძის აზრით, ფოცხოვის აღმოსავლეთით და ასალციხის სამხრეთით მდებარეობს.[372] გენერალური შტაბის საიდუმლო რუკებზე მთა ჭარალი სამცხის უკიდურეს აღმოსავლეთში მივაკვლიეთ, რომლის სიმაღლეა 2653 მ.[373] ამ მიმართებით ასევე საინტერესოა მთა მაჭარელა (ადგილობრივი მოსახლეობა „მაჭარელათი“-ს უწოდებს), რომელიც ყინჩაურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ. მანძილზე, სხალთისა და ჩირუხისწყლის წყალგამყოფ ქედზეა მოთავსებული.[374] ი. სიხარულიძის აზრით, სახელწოდებაში „ჭარალი“ ძირია „ჭარ“. ასეთივე ფუძე გამოიყოფა სახელებში ა-ჭარ-ა, ჭარ-ნა-ლი და სხვა.[375] ჩვენი აზრით, სახელწოდებაში „მა“ პრეფიქსია, „ელ“ და „ათ“ სუფიქსები, ფუძე „ჭარ“ ნიშნავს წყლიან-ბალახიან ველს, ნოტიო ადგილს.[376] ჭარელა კი, ჰქვია მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეს ტუჩოსანთა ოჯახისას.[377]

ტოპონიმი „ბაკო“ მდებარეობს ხულოს რაიონში. ს. დუმბაძის აზრით, სიტყვა „ბაკო“ მომდინარეობს „ბაკი“-საგან, რაც ნიშნავს პირუტყვის სადგომს, მოსაცდელს. მკვლევარის გაგებით, თუ „ბაკი“ ნიშნავს პირუტყვის

---

[372] ი. სიხარულიძე. ტბელ აბუსერისძე, გვ. 48; მისივე, ცხოერება... გვ. 46.

[373] სსრკ-ის გენერალური შტაბის მიერ 1974 წ. გამოცემული რუკა, „ასპინძა“.

[374] სსრკ-ის გენერალური შტაბის მიერ 1976 წ. გამოცემული რუკა, „ხულო“

[375] ტბელ აბუსერისძე. ცხოერება ქვითხუროისა ბასილისა, ბათ., 1981, გვ. 47.

[376] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ა. ღლონტი, თბ., 1984, გვ. 717.

[377] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964, გვ. 1230.

სადგომს, „ბაკო“ ადამიანთა, მგზავრთა, მოქარავნეთა მოსაცდელს, ღამის გასათევ ადგილს ნიშნავს, ე.ი. უბანს, სასტუმრო სოფელს.[378] საბას ლექსიკონში „ბაკი“ ნიშნავს „მოზღუდულს.“[379] ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია - „მრგუალად მოვლებული ღობე ან ფიცრული ხვასტაგთ დასაყენებელი,[380] სხვაგან-„საქონლის დასამწყვდევი ადგილი, ირგვლივ მოზღუდული, უსახურავო.“[381]

სახელწოდება „ყოროლი“ კონსტანტინე პორფიროგენეტთან (X ს.) მოხსენიებულია დაბა, რომელიც სასაზღვრო პუნქტი ყოფილა ბიზანტიასა და აჭარის სამთავროს შორის. დ. მუსხელიშვილის აზრით, „კოროლი“ აწინდელი მდ. ყოროლისწყალია და ეს ცნობა იმის მოწმობაა, რომ აჭარა ზღვამდე განივრცობოდა.[382] ეს არცაა გასაკვირი „ფარნავაზიანიც“ ხომ ამასვე ადასტურებს. დღეს აღნიშნულ მიდამოებში ამავე სახელით შემონახულია ჰიდრონიმი და ტოპონიმი (ყოროლისწყალი, ყოროლისთავი). თ. მიბჩუანის ვარაუდით, ყოროლი სვანური წარმომავლობისაა, სვანურად „ყორ“ „კარია“, „ყოროლ“-ი „შემოსასვლელს“ ნიშნავს.[383] ჩვენი აზრით, ტოპონიმში უნდა გამოიყოს ფუძე „ყორ“-ე და „ოლ“(„ალ“) სუფიქსი. „ყორე“ ქართულ ენაში ნიშნავს - „უკიროდ“ უტალახოდ ნაგები ქვის კედელი.“ ტოპონიმი სახელწოდებით „ჩაქვი“ პირველად XVII ს. დოკუმენტებში გვხვდება. არსებობს ჩაქვის ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსია. შ. ინილიფასა და შ. ვარშანიძის აზრით, ჩაქვი ადიღეურ-უბიხურ ენობრივ სამყაროს უნდა

---

[378] ს. დუმბაძე. აბუსერისძე ტბელის თხზულების... გვ. 108-110.

[379] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 44.

[380] ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 148.

[381] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), გვ. 56.

[382] დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, გვ. 55.

[383] თ. მიბჩუანი. დასაელეთ საქართველოს... გვ. 216.

დავუკავშიროთ.[384] ქ. ლომთათიძის ვარაუდით ჩაქვი კომ-პოზიტია. მისი მეორე ნაწილი („ქვი") ქვას უკავშირდება, ხოლო პირველის („ჩა") რაობა გასარკვევია.[385] ასეთ შეხედულებას არ გამორიცხავს ი. სიხარულიძეც.[386] ნ. სურმანიძეს მიაჩნია, რომ „ჩა" ტრანსფორმირებული სახეა ზანური „ჩე"-ს (თეთრი), ხოლო „ქვი"-„ქუს," რაც ასევე ზანურად ქვას ნიშნავს.

როგორც ეტყობა, ჩაქვი თავისი ფონეტიკური აგებულებით ქართული წარმოშობის ტოპონიმი უნდა იყოს. ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ჩააქვ"-(ჩაიტანა, ჩაუტანია)-ქვევით მიაქვს, ან „ჩაგვის"-ქვევითკენ გაგვილი." არ გამოვრიცხავთ, რომ ტოპონიმის სახელწოდება ამ ზმნისაგან იყოს ნაწარმოები, მაგრამ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ჩაქვის წარმომაველობა „ჩა"(ჭა) და „ქვი"(„ქვა") ტერმინებისაგან.

ჩოლოქი - ასე ჰქვია პატარა მდინარეს, რომელიც ჰყოფს ისტორიული აჭარის („ფარნავაზიანის" მიხედვით) მიწა-წყალს თითქმის შუაზე. შ. ვარშანიძის ვარაუდით, ჰიდრონიმის სახელი „ჩოლოქი" წარმომდგარი უნდა იყოს უბიხური „ჭოლოქუა"-დან, მაგრამ ამ სიტყვის სემანტიკის შესახებ არაფერს გვეუბნება. მკვლევარის აზრით, ეს და ზოგიერთი სხვა სახელწოდება (მაგ. ჩაქვი, აჭყვა) ძვ. წ. მეორე ათასწლეულში ჩერქეზთა (ადიღეველთა) სამხ-რეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოძრაობის ხანაში უნდა გაჩენილიყო.[387] შ. ვარშანიძეს სხვა ნაშრომში „ჩოლოქი" ზანური „ჭოლო"-დან გამოჰყავს, მაგრამ, არც ამჯერად იძლევა ფუძის რაობის განმარტებას. ტოპონიმ „ჩოლო-

---

[384] შ. ვარშანიძე. ქვის თაღიანი ხიდები ფეოდალური აჭარის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. - სსეს, VIII, ბათ., 1975, გვ. 71; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы, с. 107.

[385] ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ეინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟურნ. „მნათობი", 1956, №12, გვ. 137.

[386] ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, გვ. 96.

[387] შ. ვარშანიძე. ქვის თაღიანი ხიდები... გვ. 71.

ქუა“-ს ზანური ფორმიდანაა მიღებული გვარი „ჭოლოკავა,“ ხოლო ქართულში „უ“ ელემენტის ამოვარდნით მიღებულია სასელობით ბრუნვაში მყოფი „ჩოლოქი.“[388] „ჩოლოქი“ შეიძლება მომდინარეობდეს თურქული „ჩოლ“ (ველი, უდაბნო), ჩოლაკ (სეიბარი) ან ქართული სიტყვებისაგან - „ჩორახი“ (ოღროჩოღრო, ძნელად გასავლელი ადგილი), ჩოლი (უდაბური, უკაცრიელი ადგილი, ან დაბალი ადგილი), ჩოლას (კოჭლი), ჩოლოხ (სალტე), ჭალაკი (კუნძული გინა ჭალა“).[389]

ტოპონიმ „მახოს“ სახელწოდება წარმომდგარი უნდა იყოს სორბლის ერთ-ერთი უძველესი ქართული ჯიშიდან - „მახა.“[390] სახელწოდებაში მცირე ფონეტიკური ცვლილება, რომელიც „ა“ და „ო“-ს ცვლილებაში გამოისატება, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა. მსგავსი მონაცვლეობები აჭარის სხვა ტოპონიმებშიც დასტურდება, კერძოდ სულა-სულო, გონია-გონიო და ა. შ. როგორც ჩანს, „მახოს“ თავდაპირველი ფორმა იყო „მახა.“

კახაბერი დღეს ეწოდება მხოლოდ სოფელს, ადრე იგი ბათუმსა და ერგეს შორის მოქცეული დაბლობის აღმნიშვნელიც იყო. ი. სიხარულიძის აზრით, ამ საგეოგრაფიო სახელის გაჩენა XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე კახაბერს უნდა უკავშირდებოდეს.[391] ზ. ჭიჭინაძის ცნობით, კახაბერი ქართველთა ჯარის მეთაური იყო ბათუმის 1519 წლის ბრძოლაში და გამარჯვებაც

---

[388] მ. ვარშანიძე. ნარკვევები... გვ. 76.

[389] სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 457; ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 206; ა. ღლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გვ. 661; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, გვ. 528, 530.

[390] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, გვ. 314; ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით, მახა - მოსავლია ერთგვარი ასლს ჰგავს (გვ. 271).

[391] ი. სიხარულიძე. კახაბერი, გაზ. „აჭარა“, 1992, 25 ივლისი.

მოუპოვებია.[392] ეს კახაბერი სვანეთის ერისთავთ-ერისთაეი, გეარად ეარდანისძე ყოფილა.[393]

დანდალო პირველად XVI საუკუნეში ჩნდება.[394] ქართული ლექსიკონის მისედვით „დონდოლა"-ს აჭარაში პქვია მცენარე კენკეშას.[395] შესაძლებელია ტოპონიმის სახელწოდება ამ ფლორონიმის სახელიდან იყოს წარმომდგარი, ან ურმის ნაწილის სახელისაგან „დანდალ."[396]

ამრიგად, აჭარაში არსებულმა უძველესმა ტოპონიმებმა, რომლებიც დადასტურებულია ძველ ბერძნულ, რომაულ, სომხურ, ქართულ წყაროებში, გვიჩვენეს, რომ ყველა ისინი ძირითადად ქართული სიტყვებისგანაა წარმომდგარი და მხოლოდ და მხოლოდ იხსნება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოყენებით. მათი უმნიშვნელო ნაწილი, როგორც ქვემოთ ვნახავთ მართლაც უცხოური წარმოებისაა, მაგრამ არა ზანური (სახელწოდება „ერგე" ჯერ კიდევ საკვლევია). მართალია დღეს აჭარის ტერიტორიაზე აღირიცხება, რამდენიმე ზანური ან სვანური ტოპონიმი, მაგრამ ისინი მოგვიანებითაა გაჩენილი, განსაკუთრებით ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე თურქი მოძალადეების მიერ ცეცხლისა და მახვილის შემოტანის შემდეგ (XV-XIX საუკუნეებში). აჭარაში არსებულმა უძველესი ქართული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების განხილვამ, მათი სემანტიკის გარკვევამ

---

[392] მ. ჭიქინაძე. აჭარის ისტორიის კონსპექტი 1927 წ., გვ. 7, იხ. ი. სიხარულიძე. კახაბერი, გაზ„აჭარა", 1992, 25 ივლისი.

[393] მარი ბროსსე. საქართველოს ისტორია, ბათ., 1998, გვ. 302.

[394] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 45; გ. ტივაძე. ოსმალეთის დერვიშობა და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში, თბ., 1946, გვ. 173-174.

[395] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 210.

[396] იქვე, გვ. 81.

[396ª] ს. გოგიტიძე. ანტიკური ხანის ცნობები ჭანების წარმომავლობის შესახებ, გაზ. აჭარა, 2001, 5 ივლისი; მისივე, რომელ ენაზე მეტყველებდნენ ანტიკური ხანის ჭანები, ეურნ. ლიტერატურული აჭარა, 2001, №7.

მოგვცა საშუალება ვამტკიცოთ, რომ ნავარაუდევი მიგრაციის დროს (IXს.) არაბთა ბატონობის პერიოდში შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეში ჭან-ლაზ-მეგრელთა უწყვეტი მოსახლეობა არ არსებობდა. აქ ქართული თემები და ტოპონიმები გაცილებით ადრე არსებობდა. მას შემდეგ, რაც გაირკვა ჭანთა სვანურბუნებოვნება[396a] და ასევე გაირკვა ლაზთა საცხოვრისის არეალი (სამეგრელოს ზღვისპირა ზოლი), ამ საკითხზე კიდევ უფრო დაბეჯითებით შეიძლება ლაპარაკი. ჩვენი აზრით, მართებულად მსჯელობს ნ. ლომოური, როცა აღნიშნავს, რომ აჭარის ზღვისპირეთიც ძიღრიტებს (ძარებს, ჭარებს) უჭირავთო. ეთნონიმ ლაზის გაჩენა მათგან სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე (ტრაპეზუნტის სანახებში) შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ. ბიზანტიისაგან ლაზიკის ეპარქიის გამოყოფის გამო, ტრაპეზუნტის მხარემ ამავე სახელწოდებით (ლაზიკის) დაიკავა ეგრის-ლაზიკის ეპარქიის ადგილი. თუ ამ მიდამოებში არსებულ თემებს ჭანური ან ხალდური (ე.ი. ჭანეთი, სალდია) ეწოდებოდა მხოლოდ და არა ლაზური (ე.ი. ლაზეთი ან ლაზიკა), ლაზიკის ეპარქიის ხელოვნურმა შექმნამ, რომელიც ბიზანტიისა და მისი ეკლესიის პრესტიჟის დაცემას მალავდა, სახელწოდებები „ლაზი“ და „ლაზეთი“ ტრაპეზუნტის მიდამოებში მობინადრე მოსახლეობაზეც გადაიტანეს. მოგვიანებით ტრაპეზუნტის იმპერიის კეისრებს, ზოგჯერ ლაზიკის (ან კოლხეთის) მთავრებს (ან მეფეებს) უწოდებდნენ. ამგვარად დამკვიდრდა ტერმინი „ლაზი“ ქართველური მოდგმის ტომების (მაკრონები, დრილები, მოსინიკები, ბექირები, მაქერონები და ა.შ.) სახელად სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ერთ მონაკვეთზე, იგი ამჟამად ცოცხალია და ეთნონიმ „ჭანის“ გვერდით არსებობას განაგრძობს.

ზოგიერთი მკვლევარი აჭარის ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმებს, რომლებიც ზანური ენის გამოყენებით იხსნება მიიჩნევდნენ, რომ ეს დასტურია იმისა, რომ ოდესღაც აჭარა წარმოადგენდა ზანურენოვანი ტომების სამკვი-

დრებელს.[397] ბოლო დროის გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ მთლად ასე არ უნდა ყოფილიყო. საქართველოს დასავლეთ ნაწილში ძირითადად და ნაწილობრივ აღმოსავლეთში გავრცელებულია სვანური და მეგრული ტოპონიმები. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს ტოპონიმები მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც არის არა საკუთრივ მეგრული ან სვანური, არამედ საერთო (ფუძე) ქართული ენის კუთვნილებაა, რომლიდანაც ნაწილი მეგრულს, ნაწილი კი სვანურს შემორჩა და არ შევიდა ან მოგვიანებით დაიკარგა ქართულში. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა მიუთითებს ამ ტოპონიმების გავრცელების არეალში უძველესი დროიდან ქართული ეთნოსის არსებობაზე.[398]

ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე („ფარნავაზიანის" მიხედვით ოძრსეს საერისთავოს დასავლეთი ნაწილი) შემონახულ ზანური ტოპონიმების გაჩენას სხვანაირი ასსნაც მოეძებნება. მათი ძირითადი ნაწილი, ჩვენი აზრით, სამხრეთიდანაა შემოღწეული, უფრო მეტად ჰალისს (ყიზილ-ირმაკი) - ჭოროსს შორის მდებარე რაიონებიდან. აღნიშნული მხარე კი როგორც ცნობილია ძირითადად სვანური, ზანური და ქართის ტომების (ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მარები, ფილირები, მაკრონები, დრილები, ბექირები, ჭანები, შკვითინები, ჰენიოხები, ეკხირიელები (მახერონები), ბიძერები (ძიდრიტები) სამოსახლოს წარმოადგენდა.[399] ამ ტომთა წარმომადგენლების აქ გადმონაცვლების მიზეზი ძირითადად მაინც კიდევ უფრო სამხრეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან სხვადასხვა დროს მოზღვავებული მტრის მიერ მათი შევიწროვება უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ ამის გამო ქართველი

---

397 ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, II, გვ. 12, იქვეა სათანადო ლიტერატურაც.

398 მ. ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხამეთი, გვ. 36.

399 თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

ტომების განსახლების არეალის თანდათანობითი შემცირება სასეზე გვაქვს. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მოსახლეობის გადმონაცვლება მას შემდეგ უფრო გახშირდა, რაც მცირე აზიის ჯერ აღმოსავლეთი პერიფერიები, შემდეგ კი, მთელი ანატოლია მუსლიმანურმა ურდოებმა დაიკავეს. მათ მახვილსა და რწმენას თავდაღწეული ქართველური ტომის წარმომადგენლები ჯერ კიდევ დაუპყრობელ აჭარასა და საქართველოს სხვა რეგიონებში აფარებდნენ თავს. ზოგჯერ ისინი უკაცრიელ ადგილასაც სახლდებოდნენ. ასე გაჩნდა ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე აცანა, ჭანიეთი, ჭანივრი, ჭანიძიტყე, ქომურჯები, ჭანისეული, ჭანისოული, ჭანითმერე, ჭანთიბაური და სხვა ტოპონიმები, რომლებიც მხოლოდ ერთი ტომის, ჭანების სახელს უკავშირდება.

თურქთა ბატონობის პერიოდში და აჭარის განთავისუფლების შემდეგაც არა ერთი ხალხისა და ტომის წარმომადგენლები მოსულან აქ და დამკვიდრებულან. თითქმის ყველა მათგანს თავისი კვალი დაუტოვებია ტოპონიმიკაში. ასე მაგალითად, ქურთებს-„ქურთლული," „ნაქურთვალი"; მაჰმადიან სომხებს-ხემშილული; ბერძნებს-„ნოხორ", „ვტერლუს," „ნეოხორ"; რუსებს-„სტეფანოვკა" „სმეკალოვკა," „რომანოვკა" და სხვა ერის წარმომადგენლებს.[400] მაგრამ ეს იმას, როდი ნიშნავს, რომ აჭარის მიწა-წყალი ოდითგანვე ამ ხალხის კუთვნილება იყო. არაქართული ტოპონიმების არსებობა უფრო „სტუმრობის" შედეგი უნდა იყოს. ასევე ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, იმისას, რომ ანტიკურ და წინაანტიკურ ხანაში ან თუნდაც მოგვიანო პერიოდში სხვა ტომის წარმომადგენლებს თუ ცალკეულ ჯგუფებს (და არა ტომებს) აჭარის ტერიტორიაზე ეცხოვრათ, როგორც ახლა. მაგალითისათვის განვიხილოთ ტოპონიმი ერგე (სოფელი ხელვაჩაურის რაიონში). ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ერგე" მწყემსთა მთავარ ღვთაებას უკავშირდება.[401] შესაძლებელია

---

[400] ი. სისარულიძე. ტოპონიმიკა, წ. II, გვ. 35-36.

[401] ა. ახელედიანი. ერგე, ჟურნ. „ჭოროხი", 1971, №4, გვ. 72.

იგი ყალმუხურ, მონღოლურ[402] ან სხვა ენის გავლენის შედეგით იყოს აღმოცენებული, მაგრამ უფრო სარწმუნო ჩანს მისი დაკავშირება საგომო სახელ ეგრთან,[403] რომელთაც ერგებიც ეწოდებოდათ. ერგეს ეგრის ფორმით მოიხსენიებს ექვ. თაყაიშვილი. ერგეს კავშირი ეგრთან (ეგრებთან) თუ მისაღებია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტოპონიმი გაჩენილი უნდა იყოს იმ დროს, როცა სახელწოდება „ეგრისი" „მ" ტოპონიმიკური პრეფიქსით მორთული არ არის. ამის მოწმობად მიგვაჩნია „მაჭახლის სულთა მატიანესა" და ანანია შირაკაცის „გეოგრაფიაში" დამოწმებული ერგე-ეგრი.[404] პირველის მოწმობით ტოპონიმი XII-XIII სს-ზე გაცილებით ადრეა წარმოქმნილი. ანანიას ცნობის „ეგრის" კავშირი სოფლის თანამედროვე სახელთან სადავოა. ივ. ჯავახიშვილი სომეხი ავტორის ცნობის „ეგრს" კლარჯეთის ზღვისპირა მხარედ მიიჩნევს.[405] ნ. ადონცი ეგრში აჭარას ხედავს.[406] სინამდვილეში იგი სოფლის სახელი და კახაბრისა და ერგე-ჯოჭოს ცენტრი იყო.[407]

როგორც ჩანს, სახელწოდება „ეგრი" აღმოსავლურ ქართულია, ხოლო „ერგე" დასავლურ ქართული. „სომხური გეოგრაფიის" მონაცემებს მკვლევარები (დ. მუსხელიშვილი, დ. ბერძენიშვილი, გ. გამყრელიძე) ზოგადა IV-V საუკუნით ათარიღებენ. ჩვენი აზრით, ტოპონიმი ერგე IV-V საუკუნის პირველ ნახევარში ეგრის ტომის სამხრეთისაკენ ექსპანსიის და ამავე დროს ამ ტომის წარმომადგენლების

---

402 ყალმუხურად „ერგე" ნიშნავს მაღლობ ადგილს (გეოგრაფიულ სახელწოდებათა ასსნა-განმარტება, თბ., 1965, გვ. 55).

403 ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, წ. II, გვ. 77.

404 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, Ер., 1971, с. 26; გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 89; ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 18, 20, 43.

405 ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. II, გვ. 63.

406 Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, с. 26.

407 დ. მუსხელიშვილი. აჭარის... გვ. 23, 32.

მიგრაციის პროცესის შედეგად უდა იყოს გაჩენილი. ამ დროს (IV ს. ბოლო-V ს. პირე. ნახევარი) ეგრის-ლაზიკა პირველად გასცდა ეთნიკურ საზღვრებს („მეფეთა ცხოვრება, პტოლემაიოსი-ეგრის-კოლხეთის სამხრეთი საზღვარი მდ. რიონი იყო) და თანდათანობით სამხრეთისაკენ იწევდა. ნიშანდობლივია, რომ სოფელ ერგეს წარმოქმნა აშკარა მოწმობაა ეგრთა პოლიტიკური ექსპანსიისა.[408]

აქვე საჭიროებისამებრ მოვიყვანთ ალ. ონიანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას: „დასავლეთ საქართველოს მიწაზე, ქართველებზე ადრე აფხაზურ-ადიღეური ტომების მოსახლეობის შესახებ დასკვნა გაკეთდა ადიღეურად მიჩნეული მცირერიცხოვანი ტოპონიმების საფუძველზე, მათი ქართველურ ტოპონიმებზე უძველესობის დადგენის გარეშე. შეიძლება იყოს კიდეც ზოგი მათგანი ადიღეურიდან მომდინარე (თუმცა ეს სათანადოდ დასაბუთებული არ არის), მაგრამ, თუ ამ გაგებიდან ამოვალთ, მაშინ საქრთველოს ტერიტორიაზე ქართველებზე ადრე სხვა ხალხების (ვთქვათ ბერძნების, თურქების...) მოსახლეობაც უნდა დავუშვათ, რადგან აქ არსებობს ამ ხალხების ენათა ბაზაზე წარმოქმნილი ტოპონიმებიც.“ მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ მცდარმა მიდგომამ, როგორც ვხედავთ აბსურდამდე მიგვიყვანა.[409]

ამგვარად, აჭარაში ზანური ტოპონიმების არსებობა, სრულებითაც არ ნიშნავს, იმას, რომ ყველა ისინი, აქ უძველეს ეპოქაშია წარმოქმნილი. მათი მცირე ნაწილი შესაძლებელია მართლაც იყოს ანტიკური ან წინაანტიკური ხანის რელიქტი, ხოლო რაც შეეხება მნიშვნელოვან ნაწილს – ფეოდალური ურთიერობის სანაშია გაჩენილი. ისტორიული აჭარის (ოძრხეს საერისთაოს დასავლეთი ნაწილი) მიწა-წყალზე ძველაღმოსავლურ ხანაში მოსახ-

---

[408] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 89.

[409] ა. ონიანი. მართლაც, როგორ ვიბრძვით სიმართლისათვის! გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, 28 აგვისტო.

ლეობდა ტომი ჭარები, რომელთაც სხვადასხვა წყაროები უიტერუხ-ბიძერ-ეიზარებს უწოდებდნენ. მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ ამავე პერიოდში ზღვისპირა ზოლი შედიოდა კოლხას აღრეკლასობრივ სახელმწიფოში, ან სულაც ეს მონაკვეთი ქართისენოვან კოლხებს (თუ რომელიმე მის მონათესავე ტომს) ეკავა. ძვ. წ. 723 (კიმერიელების შემოსევა) ან 676 (მუშქების დამკვიდრება სამცხის ტერიტორიაზე) წელს მოხდა ქართისენოვან ჭართა ტომის ნაწილის დასავლეთში გადმოსაცვლება. შესაძლებელია ამ დროს მართლაც მიმდინარეობდა კოლხების „გაზანების" პროცესი, მაგრამ ჭართა მიგრაციამ იგი შეაჩერა. საქმე იმაშია, რომ აჭარლების ასლო მორფოლოგიური მსგავსება გურულებთან, მეგრელებთან, იმერლებთან გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აჭარლები წარმომავლობით დასავლურ-ქართული მოსახლეობის შემადგენელი ნაწილია. მორფოლოგიური განსხვავება აჭარლებსა და აღმოსავლეთ ქართულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის დასტურია იმისა, რომ ისინი არ არიან აღმოსავლეთ ქართული წარმომავლობისა.[410] ეფიქრობთ, რომ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ბერძნულ წყაროებში დამოწმებული ბიძერები დაახლოებით იმავე ენის დიალექტზე მეტყველებდნენ, რაზედაც შემდგომში მათი შთამომავალი აჭარლები.

---

[410] О. Ахвледиани. К антропологии... с. 139.

აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი

აჭარა ქრონოლოგიური რიგის მიხედვით პირველად მოხსენი-ებულია ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის (XI ს.) შრომაში ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრის ამბებთან დაკავშირებით. ქართლის იმდროინდელ მეფე ფარნავაზს იგი სამცხესთან ერთად ოძრხეს საერისთავოში შეუყვანია.[1] როგორც ვიცით, ვახტანგ VI (1675-1735 წწ.) „სწავლულ კაცთა" კომისიის შრომებში ქვეყანა „დიდაჭარა" მოიხსენიება ქრისტეს პირველ მოციქულთა შემოსვლის დროისათვის[2] (ახ. წ. I ს. 40-50-იანი წწ.). იქნებ ოდესღაც არსებობდა რაღაც ადმინისტრაციული ერთეული, რომ VI-VII საუკუნის სომეხ გეოგრაფოს ანანია შირაკაცთან იბერიული პროვინცია „აჭარა" მოიხსენიება.[3] „სომხურ გეოგრაფიაში" აჭარა ისეთივე რანგში გამოდის, როგორც სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი და სხვები.

ანანია შირაკაცს გამოყენებული აქვს ძველი წყაროები, კერძოდ, ჰეროდოტე (ძვ. წ. 485-425 წწ.), სტრაბონი (ძვ. წ. 64-ახ. წ. 24), იოსებ ფლავიუსი (ახ. წ. I ს.), კლავდიოს პტოლემაიოსი (ახ. წ. II ს.), პაპი ალექსანდრიელი (რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) თანამედროვე), სხვა ცნობილი[4] და დღეისათვის ჩვენთვის უცნობი ავტორების შრომები. არაა გამორიცხული, რომ იბერიული პროვინციის აჭარის სახელწოდება მას ამოეღო რომელიმე ძველი წყაროდან. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი „სომხური გეოგრაფიის"

---

[1] ლეონტი მროველი. ცხოვრება ფარნავაზისი.-ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 39.

[3] Армянская География VII в., под ред. К. Патканова, СПБ., , 1877, с. 39.

[4] А. Абрамян, Г. Петросян. Анания Ширакаци, Ер., 1970, с. 141-142.

მონაცემებს IV-V საუკუნეების წყაროებიდან აღებულად მიიჩნევენ.[5]

„მატიანე ქართლისაის“ ცნობით, VIII ს. მეორე ნახევარში აჭარა ადარნესე ბაგრატიონის სამფლობელოში გაერთიანდა.[6] საინტერესოა, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის (912-969 წწ.) ცნობით იბერიის კუროპალატს ოთხი ერისთავი ექვემდებარებოდა. მათ შორის ერთ-ერთი აჭარისა იყო.[7] მკვლევართა აზრით, ამ დროის „აჭარა“-ში კლარჯეთის და მესხეთის მხარეები, თუ მთლიანად არა ნაწილობრივ მაინც, უნდა იგულისხმებოდეს. მატიანეში კი მოხსენიებულია: აბუსერი ერისთავი არტანუჯისა, ხიხათა, ციხის ჯვარისა და აწყვერის ციხის პატრონი.[8]

აჭარა მოიხსენიება სხვა საისტორიო წყაროებშიც: სტეფანე მტბევარის „გობრონის წამება;“[9] უცნობი ავტორის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი;“[10] ეამთაღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“[11] და სხვა.

სახელწოდება „აჭარის“ წარმომავლობა ჯერ კიდევ არაა დადგენილი. უძველეს ბერძნულ, რომაულ და ქართულ წერილობით წყაროებში აჭარა ამ ფორმით არა ნახსენები. ამ ტერიტორიაზე არსებული ძველი ტოპონიმებისა და აქ მოსახლე ტომების კავშირი სახელწოდება „აჭარასთან“ და

---

[5] დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 14; Д. Л. Мусхелишвили. Основные вопросы исторической географии.- სიგკ, V, თბ., 1975, გვ. 17.

[6] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 251.

[7] გეორგიკა, IV, ნაკე. II, თბ., 1952, გვ. 291.

[8] ვ. იამვილი. აჭარა VII-XVI საუკუნეებში (მოკლე მიმოხილვა).-ასმშ, ტ. IV, ბათ., 1960, გვ. 30.

[9] ქართული მწერლობა, წ. I, თბ., 1984, გვ. 233.

[10] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 319.

[11] ეამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, ტექსტი ეამოსაცემად მოამზადა, ეამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 71, 146, 148 და სხვა.

„აჭარლებთან“ ბოლო დროს გახდა სერიოზული კვლევის საგანი.[12]

„აჭარა“-ს ეტიმოლოგიას ბევრი მკვლევარი შეეხო: მ. ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ნ. ადონცი, ნ. მარი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ი. სისარულიძე, ხ. ახელედიანი, შ. ვარშანიძე, ლ. ფრუიძე, ვ. შამილაძე და სხვები.

პირველი მკვლევარი, რომელიც აჭარის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებით დაინტერესდა დ. ბაქრაძე გახლდათ. იგი წერდა: ეს მხარე ქართულ და სომსურ წყაროებში ცნობილია აჭარის სახელწოდებით. ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გამოცნობას
ჩვენ არ ვკითხულობთ. მის ისტორიაზე ცოტა რამ ვიცით.[13]

მ. ჯანაშვილის აზრით, ძველი ქართული პროვინციის სახელწოდება „აჭარა“ „ჭა“ (ე.ი. წყაროს, მდინარის თუ საკუთრივ ჭის) ფორმიდან უნდა წარმომდგარიყო: ჭა→ჭა-არი→ა-ჭარი→აჭარა.[14]

სომეხი ისტორიკოსი ნ. ადონცი თვლიდა, რომ აჭარის სახელწოდება VII ს. „სომხურ გეოგრაფიაში“ ჭოროხის ქვემო წელთან დამოწმებული ეგრისაგან უნდა მომდინარეობდეს: აჭარა „გერ,“ „ეგერია“-ს სახენაცვალი ფორმა უნდა ყოფილიყო.[15]

---

[12] ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, ჟურნ. „ჭოროხი“, 1996, №1, გვ. 120-130; მისივე: ჭოროხის ეტიმოლოგია, ჟურნ. „ჭოროხი“, 1991, №4, გვ. 89-92; სახელწოდება „მაჭახელის“ (მიჭიხიანის) შესახებ, ჟურნ. „ჭოროხი“, 1994, №5-6, გვ. 177-180; აჭარის ეტიმოლოგია, ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა გეგმა და მასალები, ბათ., 1994, გვ. 28-29; ვ. შამილაძე. „აჭარის“ ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხებისათვის.-სქაუქტ, თბ., 1993, გვ. 503-516.

[13] Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ., 1878, с. 67.

[14] М. Джанашвили. Абхазия и абхазцы, ЗКОИРГО , кн. XVI, Тф., 1894, с. 2-3.

[15] Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, СПБ., 1908, с. 26.

ს. ჯანაშია აჭარის სახელწოდებას მდინარე აჭყვას სათაევებთან (აჭარა-გურიის საზღვარზე) არსებულ სოფელ „აჭი“-ს სახელისაგან წარმომდგარად მიიჩნევდა-ფუძე „აჭ“-ს დაერთო სუფიქსი „არა.“ თუმცა მკვლევარი სახელ-წოდება „აჭარას“ მნიშვნელობასა და გავრცელების არეალის საკითხს ცალკე კელევის საგნად მიიჩნევდა.[16] ასეთ შეხედულებას იზიარებს დ. მუსხელიშვილი. ამ მოსაზრების სისწორეს შენიშნავს მეცნიერი - არა მხოლოდ აღნიშნულ სახელწოდებათა ფუძეების მსგავსება, არამედ მათი ლოკალური გავრცელებაც უნდა მოწმობდეს, რაც მგონია, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ოდესღაც დაბლობის ტერიტორიაც იგულისხმებოდა ცნებაში - „აჭარა.“[17]

ნ. მარის აზრით, ეთნიკური ტერმინი „ჭაუნ“-ი უნდა გადასულიყო „ჭაუ“-ში. მას უნდა დაკარგვოდა ნახევრად-ხმოვანი „უ“ და აფხაზური პრეფიქსის „ა“-სა და აგრეთვე აფხაზური მრავლობითი რიცხვის „რა“-ს დართვით უნდა წარმოქმნილიყო ცნობილი მხარის „აჭარა“-ს სახელ-წოდება.[18] იქვეა ნათქვამი, რომ როგორც ჩანს, ახლა არ შეიძლება დავასახელოთ ტერმინ „აჭარაში“ ორეული ეგერიას და მესაბამისად განვსაზღვროთ მისი ეტიმო-ლოგია.[19] მკვლევარს სხვაგან ნათქვამი აქვს, რომ „ა-ჭა-რა“ ნიშნავს ჭანებსა თუ ჭანების ქვეყანას.[20]

პ. ინგოროყვამაც ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ისტორიული აჭარის შორეული მეზობელი ტომის - ჭანების სახელს დაუკავშირა. იგი აღნიშნავდა, რომ სატომო სახელიდან „ჭანი“ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი:

ა)ჭან-ეთი და ბ) ა-ჭან-რა. ავტორის აზრით, ა-ჭან-რა იგივეა, რაც სა-ჭან-რა, სა-ჭან-ო, რომლის სახენაცვალი

---

[16] ს. ჯანაშია. შრომები III, თბ., 1959, გვ. 120.

[17] დ. მუსხელიშვილი. აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ხელნაბეჭდი, 1997, გვ. 21.

[18] Н. Я. Марр. О языке и истории абхазов, М-Л., 1938, с. 80.

[19] იქვე, სქოლიო 3.

[20] იქვე, გვ. 81.

ფორმაა: ა-ჭარა. მისივე შენიშვნით, სახელწოდებაში ა-ჭარელი გვაქვს მეორადი წარმოება საკომო სახელისა გეოგრაფიული სახელწოდებიდან.[21]

ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, სახელწოდება „აჭარა" ეთნიკურ სახელს არ ატარებს, იგი გეოგრაფიული ტერმინია. ისტორიკოსი აჭარასა და სოფელ აჭის სახელებს შორის კავშირზე მიუთითებს.[22]

ვ. ჩიტაიას ხელნაწერ ნაშრომზე დაყრდნობით, ო. ახველედიანი თვლის, რომ ტერმინი „აჭარა" ადრეულ ეპოქებში უნდა ყოფილიყო გაჩენილი.[23]

ი. სიხარულიძემ 1958 წელს გამოცემულ ნაშრომში მოგვცა სახელწოდება აჭარის შემდეგნაირი ახსნა: აჭარა ა-ა სუფიქს-პრეფიქსული წარმოების სახელია. მისი ძირეული მასალაა „ჭ". ამავე ძირის სახელებია ჭ-ან-ეთი (წარმოდგება საკომო სახელისაგან, ჭ-ან-ი), ჭ-ალა, ჭალანგარი და სხვა. ყველა მათგანში „ჭ" წყალს უკავშირდება. აჭარაც პირველადი ჩანს მდინარისათვის, ხოლო მირქმეული და მეორადია ოლქისათვის.[24] მისივე თქმით აჭარისწყალი არ იყო ამ მდინარის სახელწოდების თავდაპირველი ფორმა, ძველად მას აჭარა ერქვა. შემდეგ კი ეს სახელი მხარეზეც გავრცელდა და ამ მდინარის ხეობაში მდებარე მიწა-წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ტერმინად იქცა.[25] ამ საკითხს მკვლევარი 1981 წელსაც შეეხო. იგი მიუთითებს, რომ აჭარა „აჭ" ძირად და „არ" სუფიქსად იშლება და ეს ძირი სხვა ფორმითაც არის შემონახული (ა-ჭ-ი). ამავე ნაშრომში შემოთავაზებულია დასახელებული ტოპონიმისაგან „ჭარ" ფუძის გამოყოფაც,

---

[21] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 138-139.

[22] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 143, 625.

[23] О. М. Ахведиани. К антропологии коренного населения Аджарсокой АССР, Бат., 1957, с. 129.

[24] ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ. I, თბ., 1958, გვ. 144.

[25] იქვე, გვ. 143.

რომელიც მსგავსი უნდა იყოს „ჭარალ“-ისა და „ჭარ-ნა-ლი“-ის ფუძეებისა.[26]

ნ. ჭეიშვილი წერს, რომ ი. სიხარულიძე აჭარის ეტიმოლოგიის საკითხზე ეკამათება მკვლევარებს შ. ჯანაშვილს, ნ. ადონცს, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვასა და სხვებს. თვითონ სახელწოდებაში გამოყოფილ ძირეულ მასალას („ჭ“) მიიჩნევს წყლის ცნების გამომხატველად (მაგ: ჭალა, ჭერეხიდა...) მაგრამ ეს საკმარისი არ არის.[27]

ხ. ახვლედიანის შეხედულებით აჭარა მაჭარიდან უნდა წარმომდგარიყო, რადგან აჭარისწყლის ხეობის და კერძოდ, ქედის მევენახეობა ძალიან განვითარებული ყოფილა.[28]

ბოლო წლებში ტოპონიმ „აჭარა“-ს განსხვავებული ახსნა მოგვცა შ. ვარშანიძემ. ადრე იგი ამ სახელის წარმოქმნას „ჭალა“-ს უკავშირებდა,[29] 1990 წელს მან უარყო თავისი მოსაზრება და ზოგიერთი მკვლევარის მსგავსად სახელწოდება „აჭარა“ „ჭარ“ ფუძისაგან განვითარებულად ჩათვალა. მისი აზრით, გარკვეულ ეტაპზე „საჭარო“ ფორმაც უნდა არსებულიყო. მომდევნო ხანაში კი „ს“-ანის ჩავარდნის შედეგად, სახელს თავში „ა“ ხმოვანი შემორჩა.[30] საერთოდ კი „ჭარ“ ფუძე მან მცენარის, ფრინველის თუ სხვა სახელს დაუკავშირა. კერძოდ, მისი აზრით, ტოპონიმ აჭარაში არსებული „ჭარ“ ფუძე შეიძლება იყოს დაკავშირებული.[31]

---

[26] ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. სიხარულიძემ, ბათ., 1981, გვ. 47.

[27] ნ. ჭეიშვილი. სერიოზული წვლილი ტოპონიმიკაში, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1959, №1, გვ. 94.

[28] ხ. ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1978, გვ. 79-80.

[29] შ. ვარშანიძე. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1974, გვ. 17.

[30] შ. ვარშანიძე. აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათ., 1990, გვ. 13-14, 19.

[31] იქვე, გვ. 14-15.

ა) ინგილოურში ცნობილი თხილის ჯიშის „ჭარულ“-თან;
ბ) რაჭულში დაბალი, ნოტიო ადგილის აღმნიშვნელ ტერმინთან („ჭარ“-იმოწმებს ალ. ღლონტს);
გ) გუგარეთის ოლქში ცნობილ ნაყოფის მომცემ მცენარესთან („აჭარა“);
დ) ჭანურში არსებულ მსხლის ჯიშის სახელთან („აჭარა“- ნ. მარი);
ე) და ბოლოს „ჭარი“ ან „საჭარო“ სახელია ფრინველისა, რომელიც ბერძნულად „კორაქს“-ად, ხოლო ლათინურად „კორვუს“-ად ითარგმნება. ეს ფრინველი ქორსა ჰგავს (იმოწმებს სულხან-საბა ორბელიანს).

ა. ლორთქიფანიძე არასწორად მიიჩნევდა შეხედულებას, რომ თითქოს აჭარა თავდაპირველად ერქვა მდ. აჭარისწყალს და მისგან შეერქვა ოლქს. იგი აღნიშნავდა, რომ „პირიქით ჰიდრონიმ აჭარისწყლის ანალიზი საპირისპიროს ამტკიცებს. მდინარის სახელწოდება „აჭარის-წყალი“ კომპოზიტია და მიგვითითებს, რომ მსაზღვრელია სახელწოდება აჭარა, რომელიც ნათესაობით ბრუნვაში დგას, წყალი კი სახელობით ბრუნვაშია, ე.ი. აჭარა პირველად ეწოდებოდა მხარეს და მის მიხედვით მდინარეს...“ ა. ლორთქიფანიძე სახელწოდება „აჭარა“-ში გამოყოფილ „ჭ“ ძირს „ადამიანის,“ „ნაშიერის“ მნიშვნელობასთან აკავშირებს. მისი აზრით, „აჭარა“ ნიშნავს გეოგრაფიულ მხარეს, სადაც ადამიანი, ხალხი ცხოვრობს.[32] ოთხი წლის შემდეგ (1993 წ.) მანვე აღნიშნა, რომ სახელწოდება „აჭარა“-ში გამოყოფილი ფუძე „ჭარ“ სემანტიკური მნიშვნელობით ხევს, ხეობას უნდა აღნიშნავდეს. ტერმინები აჭარა, რაჭა და ჭანეთი ეთნონიმისაგან კი არ წარმოდგებიან, არამედ ხევის, ტაფობის აღმნიშვნელი ფუძისაგან. ა. ლორთქიფანიძის ვარაუდით, სახელწოდება აჭარაში უნდა გამოიყოს ჭ(ა) ფუძე, რომელიც ეტიმოლოგიურად სიტყვა „რუ“-ს უნდა

---

[32] ა. ლორთქიფანიძე. სახელწოდება ჭანისა და აჭარის ეტიმოლოგიისათვის, ხელნაბეჭდი, 1989 წ.

უკავშირდებოდეს „მდინარის," „თხრილისა" და „წყაროს" მნიშვნელობით.[33]

ორი წლის შემდეგ ა. ლორთქიფანიძემ კვლავ შეიცვალა თავისი აზრი. ამჯერად იგი წერს, რომ აჭარაში გამოყოფილი ძირეული „ჭ" არ უნდა ნიშნავდეს წყალს. „იგი უფრო მიწის, ხმელეთის მნიშვნელობის უნდა იყოს, ჩვენი აზრით და უნდა მომდინარეობდეს სიტყვისაგან მი-წა, წი-ა-ღი, ჭა. ამის მიხედვით სახელწოდება ა-ჭარ-ა-ში გამოყოფილი ჭარ - ფუძე უნდა ნაშნავდეს „ხევს, კალაპოტს და უნდა მომდინარეობდეს სემანტიკურად საწყისისაგან ჭრ-ა."[34] აღსანიშნავია, ისიც, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს ა. ლორთქიფანიძის 1977 წლით დათარიღებული კიდევ ერთი ხელნაბეჭდი „აჭარა"-ს ეტიმოლოგიისათვის, პროფ. ი. სიხარულიძის დასკვნები-თურთ. ამ სტატიაშიც ბევრ აბდაუბდასთან ერთად ავტორი მხარს უჭერდა აჭარის კავშირს „მაჭარა"-სთან, მხოლოდ იმიტომ, რომ „მაჭარად ცნობილია მრავალი ტოპონიმი და აქედან წარმომდგარი ქართული გვარები. თურმე ამავე სიტყვას უკავშირდება აგრეთვე მაჭახელი, მაჭარელი, მაჭისწყალი, მაჭიეხევი, აჭისწყალი, მაჭარხულა, მაჭაკულა, მაჭიხეთი, მამაჭიხეთი, ჭახათი.

ქ. ჩხატარაიშვილის ვარაუდით, აჭარელი მეგრელის, რაჭველისა და გურულის მსგავსად მეორადია და პირველადს აჭარას, სამეგრელოს, რაჭასა და გურიას გულისხმობს, განსხვავებით ტერმინებისაგან: მესხი, კახი, სვანი და სხვ.[35] ჩვენი აზრით, აქ ბევრი რამ სადაო უნდა იყოს.

ლ. ფრუიძე რაჭის ეტიმოლოგიის ძიებისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რაჭა მონათესაეე ტერმინია აჭარისა და

---

[33] ა. ლორთქიფანიძე. მაჭახლის ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „აჭარა", 1995, 9 დეკემბერი.

[34] ა. ლორთქიფანიძე. სახელწოდება აჭარისა და ჭანეთის ეტიმოლოგიისათვის.-ბსკი-ის და კოლხეთის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, ბათ., 1996, გვ. 12.

[35] ქვ. ჩხატარაიშვილი. ტერმინები „გურია", გურული" და „გურიელი".-სქაუქტ, გვ. 455.

ჭანისა.[36] მკვლევარი არ იზიარებს ი. სიხარულიძის მიერ გამოთქმულ კრიტიკას პ. ინგოროყვას მისამართით, რომელსაც სახელწოდება აჭარა ჭანებისაგან გამოპყავდა. ლ. ფრუიძეს ხელოვნური მიაჩნია ი. სიხარულიძის გამოთქმული ვარაუდი, რომ აჭარა პირველადია მდინარისათვის და მეორადია მხარისათვის.[37] მისი აზრით, ჭანები უხსოვარი დროიდან ზღვის პირას სახლდებოდნენ, ამიტომაც „ჭ" ძირი პირველადია ჭანებისათვის და არა აჭარისათვის; ლ. ფრუიძე იქვე მიუთითებს - ი. სიხარულიძე ცდება, როცა პირიქით ამტკიცებს, ამავე დროს ამ უკანასკნელის გამოკვლევაში თუ რატომ არის „ჭ" ძირეული აჭარისათვის და როგორ უკავშირდება იგი წყალს არ ჩანს.[38]

მსგავსი შეხედულება სახელწოდება „აჭარის" წარმომავლობის შესახებ გააჩნიათ სხვებსაც. ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ აჭარა უნდა უკავშირდებოდეს სატომო სასელ „ჭან"-ს და ნიშნავდეს „საჭანოს," „ჭანებს."[39] ტოპონიმ „აჭარის" ჭანისაგან (აჭანა) მომდინარეობის შესახებ აზრი გამოთქვა აგრეთვე ნ. მგელაძემ.[40]

შევნიშნავთ, რომ აჭარა ჭანების განსახლების არეალში არ შედიოდა. არც ჭანები მოსახლეობდნენ უხსოვარი დროიდან ზღვის პირას. ჭანები თავდაპირველად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლის (ტრაპეზუნტიდან სამხრეთით) სიღრმეში ჩნდებიან და ამ ტომის წარმომადგენლების სანაპირო ზოლში გადმონაცვლება (?) მოგვიანებით მოხდა. ჩვენი აზრით, ჯერჯერობით აუხსნელია ჭანების წარმომავლობის საკითხი, დაუზუსტებელია მათი განსახლების ადგილი და

---

[36] ლ. ფრუიძე. ტერმინები „ლეჩხუმი" და „ლეჩხუმელი", „რაჭა" და „რაჭველი".-სქაუქტ, გვ. 498.

[37] იქვე, გვ. 498-499.

[38] იქვე.

[39] ზ. ჭუმბურიძე. რა გქვია შენ, თბ., 1982.

[40] ნ. მგელაძე. ქრისტიანობა აჭარაში და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები, გაზ. „აჭარა", 1994, 18 ივნისი.

ა.შ. არ გამოერიცხავთ, რომ საკომო სახელი ჭანი მომდინარეობდეს ტოპონიმ „კენა“-საგან (იგი ბერძნული ფორმაა ჭანისა), რომელიც ხარტის სიახლოვეს ლოკალიზდება (პროკოპი კესარიელი).

თ. მიბჩუანის მიხედვით უძველესი ქართული ტოპონიმი „აჭარა,“ რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ დასტურდება ა სმოვასითაა დაწყებული, ისევე როგორც უძველესი სახელწოდება ტომის აფხაზისა, რომელიც ბერძნულ მეტყველებაში „აბაზგ“-„აბაზღ“ ფორმად გარდაიქმნა და რომელიც აგებულების თვალსაზრისით ასევე ქართველურია.[41]

ბოლო დროს აჭარის ეტიმოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს სპეციალური ნაშრომი უძღვნა ვ. შამილაძემ. მისი აზრით, ტოპონიმიკური ძიებანი ცხადყოფს, რომ სახელწოდება აჭარას სხვადასხვა ვარიაციული სახესხვაობით („დიდაჭარა,“ „აჭარისწყალი,“ „აჭარის აღმართი,“ „მაჭარელას მთა,“ „აჭი,“ „აჭყეა,“ „აჭყვისთავი და სხვა) ამ რეგიონის მრავალი სოფელი, მდინარე, დაბა და დასახლებული თუ უკაცრიელი ტერიტორია ატარებს. რაც შეეხება სახელ „აჭარის“ კავშირს „ჭარ“ თუ „ჭან“ ფუძესთან, რასაც მრავალი მკვლევარი მიუთითებს, მაშინ სახელწოდება „აჭარის“ ტოპონიმიკური ლოკალიზაცია საქართველოს ვრცელ ტერიტორიას მოიცავს და სცდება მის ფარგლებს (იხ. ჭანეთი, ჭალა, ჭალანგარი, ჭარუღი, ჭარი და ა.შ.). ვ. შამილაძის აზრით, გულუბრყვილო, უსუსური, პრიმიტიული და მეცნიერულ საბუთიანობას მოკლებულია სახელწოდება „აჭარის“ ახსნის არსებულთაგან უმრავლესი ვერსია.[42] ამავე საკითხისადმი ჩვენს მიდგომას მკვლევარი ორიგინალურს უწოდებს და არსებობისა და მეცნიერული სრულყოფის უფლებას ანიჭებს.[43]

---

[41] თ. მიბჩუანი. სვანი და სვანეთი ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის.-სქაუქტ, გვ. 467.

[42] ვ. შამილაძე. „აჭარის“ ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის.-სქაუქტ, გვ. 511, 514.

[43] იქვე, გვ. 512, 514-515.

ჩვენი შეხებულება გაიზიარა ი. ბექირიშვილმა. იგი აღნიშნავს „უფრო მართებული ჩანს მკვლევარ სიმონ გოგიტიძის აზრი, რომ აჭარელთა წინაპრები, ბიძერები (ზიდრიტები), რომლებსაც საისტორიო წყაროები ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნიდან მოიხსენიებენ, მაშინაც ჩვენს რეგიონში სახლობდნენ, მათ შორის ზღვისპირეთშიც, რამაც მათი საგომო სახელის ჭარ-აჭარლების განვრცობა მთელ მხარეზე განაპირობა.[44]

ტოპონიმ „აჭარის“ ახსნის რამდენიმე ხალხური ვერსიაც არსებობს. ერთი ვერსია აჭარის
სახელს თურქულიდან („აჯა მემლექეთი“ - „მშიერი ქვეყანა“) მომდინარედ თვლის, რაც სრულიად უსაფუძვლოა. ი. სიხარულიძე წერს, რომ აჭარა, როგორც გეოგრაფიული სახელი, არსებობდა ჯერ კიდევ ძველ დროში, როდესაც თურქი-ოსმალები არა თუ საქართველოსთან არ იყვნენ დამეზობლებულები, არამედ საერთოდ არც კი ჩანდნენ ისტორიის არენაზე.[45]

მეორენაირი ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით აჭარა „ვაჭრობას“ უკავშირდება. ამგვარი ახსნა აჭარლების ვაჭრობისადმი მიდრეკილებაზე მიუთითებს. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, რომელიც მას აჭარის მკვიდრ მოსახლეობაში ჩაუწერია, ძველად აჭარას ვაჭარა ერქვა, იმის გამო რომ ადგილობრივ მოსახლეობაში გამოჩენილი ვაჭრები ყოფილან და თავიანთი ნაწარმი მათ შავი ზღვით შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ.[46]

ადგილობრივ მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული ერთ-ერთ ვერსიის მიხედვით ტერმინი „აჭარა“ სიტყვა „აჭრა“-დან (ათლა-ასერვა-აკვეთა) მომდინარეობს. მხარეს „აჭარა“ თითქოს იმიტომ დარქმევია, რომ თურქებს იგი საქართველოსათვის ჩამოუჭრიათ. რა თქმა უნდა სახელწოდება „აჭარის“ ახსნის არც ამგვარი ეტიმოლოგიაა მართებული. როგორც ცნობილია თურქებმა აჭარა XVI-

---

[44] ი. ბექირიშვილი. ამას შენზე ამბობენ აჭარავ, ბათ., 1995, გვ. 37.

[45] ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, I, გვ. 144.

[46] ზ. ჭიჭინაძე. ოსმალოს საქართველო ანუ აღწერა კლარჯეთისა, გვ. 6.

XVII საუკუნეებში მიიტაცეს, სოლო მხარის სახელი აჭარა VI-VII საუკუნეში და მასზე ადრეც ცნობილი იყო.

ერთი ხალხური ვერსია ადგილობრივ მოსახლეობაში ნაკლებად ცნობილი ერგეს მცხოვრებმა ნოდარ ზაქარაძემ მოგვაწოდა. ამ ვერსიის თანახმად სახელწოდება „აჭარა" თურქული სიტყვიდან „ადჯარო" მომდინარეობს, რაც „ფუტკარს" ნიშნავს. ადგილობრივ მოსახლეობასთან ბრძოლაში დამარცხებულ თურქთა სარდალს სულთა-ნისათვის უთქვამს: ისინი (ე.ი. აჭარლები) ფუტკარივით იბრძოდნენ -ფუტკარმა იცის, რომ ერთი კბენის შემდეგ კვდება და მაინც გაბენს. ისინი გრძნობდნენ, რომ ფუტკრის მსგავსად მათ სიკვდილი ელოდათ, მაგრამ მაინც თავგანწირვით გვებრძოდნენო.

ჩვენი დაკვირვებითაც ტერმინი „აჭარა" „ჭარ" ფუძიდანაა მიღებული. ოღონდ „ჭარ" მიგვაჩნია საგომო სახელწოდებად. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, თითქოს აჭარა უნდა იყოს გეოგრაფიული სახელწოდება და აქედან მივიღეთ ეთნოგრაფიული ჯგუფის „აჭარელის" სახელი. ასეთივე აზრია გატარებული „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" ძირითად და სპეციალურ ტომებშიც, სადაც აჭარლების შესახებ ნათქვამია: „ქართველების ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი... ეთნონიმი ნაწარმოებია საქართველოს ძველი ისტორიული პროვინციის - აჭარის სახელწოდებიდან."[47] მაშასადამე, აქ გამორიცხულია ამ სახელწოდების ტომის სახელიდან წარმომავლობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ არსებობდნენ ძველი ქართველი ტომები (კოლხები, მესხები, ტაოსები, ქართები, ჯავახები, იბერები, ჭანები, ლაზები, ეგრები და სხვა), რომელთა საგომო სახელიდან მომდინარეობს შესაბამისი ქვეყნისა თუ ოლქის სახელწოდება კოლხეთი, მესხეთი, ტაო, ქართლი, ჯავახეთი, იბერია, ჭანეთი, ლაზიკა (ლაზეთი), ეგრისი და სხვა, რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო „ჭარ" სახელწოდების ტომი,

---

[47] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977, გვ. 78, სტატია „აჭარლები"; Грузинская советская энциклопедия, Тб., 1981, с. 340.

რომლის სახელიდანაც ქვეყანას „ა“ პრეფიქსის (თუ თავდაპირველად მისი ვარიანტული „მა“-ს ან „სა“-ს) დართვით დარქმეოდა „აჭარა.“

ბერძნულ-ლათინური წყაროების მიხედვით, ანტიკური სანის დასაწყისიდან (ძვ. წ. VI ს.) თანამედროვე აჭარასა და მის მეზობელ რეგიონებში ბინადრობდნენ ბიძერები (ვიზარები). აღნიშნულ ტერიტორიაზე ისინი სახლობდნენ საკმაოდ დიდხანს. ყოველ შემთხვევაში მათი გადაადგილება-მიგრაცია არ დასტურდება. მეორე მხრით თითქოს აჭარის ტოპონიმიკაში არ შემონახულა მათი აქ ადრიდანვე ცხოვრების დამადასტურებელი რაიმე საბუთი. მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე დასახლდნენ ძველაღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული კულხას (კოლხა) გაერთიანების კიმერიელ-სკვითთა მიერ განადგურების შემდეგ, ამ 2700 წლის წინ. მანამდე კი, ისინი ბერძნული და ურარტული წყაროების მისედვით ისტორიული აჭარის აღმოსავლეთით დიდ სიერცეზე ბინადრობდნენ.[48] იქნებ ისინი მანამდეც მოსახლეობდნენ აქ, მაგრამ კულხას ლოკალიზაციის მასალების უკმარისობა იძლეოდეს ასეთ სურათს. ბიძერებს (ვიზარების ფორმით) იცნობს ახ. წ. IV ს. მეორე ნახევრის რომაელი მწერალი ამიანე მარცელინი,[49] რომელიც კარგადაა გარკვეული იმდროინდელი საქართველოს (კოლხეთი, იბერია) ვითარებაში. ამ ტომს იცნობს აგრეთვე ამიანეს თანამედროვე რუფი ავიენი,[50] V ს. მეორე ნახევრისა და VI ს. დასაწყისის ლათინი გრამატიკოსი პრისციანი[51] და დაახლ. VI ს. ბერძენი ისტორიკოსი ბლემიდი.[52] მათი მოღვაწეობის დროს სომეხ სწავლულთან ანანია შირაკაცთან (VI-VII ს.) ჩნდება იბერიული

---

[48] ვ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები.-სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 382-383.

[49] გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 152.

[50] В. В. Латышев. СК. - ВДИ, 1949, №3, с. 242.

[51] В. В. Латышев. СК. - ВДИ, 1949, №4, с. 303.

[52] В. В. Латышев. СК - ВДИ, 1948, №4, с. 241.

პროვინცია „აჭარა.“ ცნობილია, რომ „სომსური გეოგრაფიის“ ცნობები IV-V საუკუნეების წყაროებიდან მომდინარეობენ.[53] რომ აჭარა უნდა ყოფილიყო პროვინცია იბერიის სამეფოში მანამდეც, ამას თითქოს XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ცნობაც უნდა ადასტურებდეს. ლეონტი მროველის გადმოცემით, აჭარა სამცხესთან ერთად ოძრხეს საერისთავოს შემადგენელი ნაწილი იყო ძვ. წ. IV-III ს-ში. ოძრხეს საერისთავოს იხსენიებს მეორე ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერიც ახ. წ. V საუკუნის ამბების გადმოცემისას.[54] გასარკვევია, თუ სად მიდიან VI ს-ში ბიძერები და საიდან ჩნდება VI-VII ს-ში სახელწოდება „აჭარა“. ხომ არ იმალება აჭარლების საგომო სახელწოდება აღნიშნულ ეთნონიმში? შესაძლებელია ბიძერებმა საცხოვრისი გამოიცვალეს, მაგრამ ამისი დამადასტურებელი რაიმე ცნობა არ არსებობს, ისევე როგორც აჭარლების მოსვლისა და დასახლებისა თანამედროვე აჭარის მიწა-წყალზე ამ ეპოქაში (VI-VII სს.). სწორედ ამ გარემოებებმა მოგვცა საფუძველი დაგვეწყო ბიძერების, ერთ-ერთი უძველესი ქართველური წარმოშავლობის საგომო სახელწოდების, შესწავლა.

ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმი რამდენჯერმეა მოხსენიებული ურარტულ წყაროებში „უიტერუხის“ (ვიტერუხი, ოჭერუხი) ფორმით მეფე იშპუინისა და მისი მემკვიდრის მენუას თანამმართველობის[55] (ძვ. წ. IX ს. ბოლო) აგრეთვე, არგიშთი მენუას ძის[56] (786-764 წწ.) და სარდური II (764-735 წწ.) დროს.[57]

ეს ეთნონიმი ოდნავი სახეშეცვლილი ფორმითაა (დიძერები, ბიძერები, ბუქსერები, ვიზარები, ვიზირები) მოხსენიებული ძველ ბერძენ და ლათინ ავტორებთან: ჰეკატეოს

---

[53] დ. მუსელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 99.

[54] ქართლის ცხოერება, ტ. I, გვ. 24.

[55] Г А. Меликишвили. УКН. М., 1960, с. 133-134, 136.

[56] იქვე, გვ. 212-235; ძახიქ, თბ., 1990, გვ. 275, 276, 282.

[57] იქვე, გვ. 293; Г. А. Меликишвили. УКН. с. 282.

მილეტელთან (ძვ. წ. VI-V ს.), ფსევდოსკილაქსთან (ძვ. წ. IV ს.), აპოლონიოს როდოსელთან (ძვ. წ. III ს.), მემნონთან (ძვ. წ. I ს.), სტრაბონთან (ძვ. წ. I - ახ. წ. I), პომპონიუს მელასთან (ახ. წ. I ს.), პლინიუსთან (ახ. წ. I ს.), ფსევდო-არიანესთან (Vს.) და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამიანუ-სთან, აეიენისთან, პრისციანისთან, ბლემიდთან და სხვებთან.

გ. მელიქიშვილის მიხედვით, „ეიტერუ(ხი)"-სახელი შემოინახა ანტიკურ წყაროებში, აგრეთვე მდ. ჭოროხის შესართავთან დამოწმებული ტომის-ბიძერების (*βνζηρες*) სახელმა, ისევე როგორც ძველი ქართული პროვინციის სახელმა ოძრ(ა)ხე (ოძრხე იყო უძველესი ქალაქი, დღევანდელი აბასთუმანის მახლობლად).[58] გ. მამულიას მიაჩნია, რომ ვიტერუხი ძველქართულად ოძრხეა.[59] ეს შეხედულება გაზიარებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე ტომის რამდენიმე სახეცვლილი ფორმა:

ურარტულში-უიტერუსი (უიტირუხი, ვიტერუხი); ბერ-ძნულ-რომაულში-ბიძერი (ვიზარი, ბიზირი, ბუქსერი...); ქართულ წყაროებში-ოძრხე (ოძრახე...). გ. მელიქიშვილის შენიშვნით იგივე ვიძეროსი,[60] ე.ი. ოძ(ე)როსი. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ქართლის ცხოვრების"ზოგიერთ რედაქ-ციას მოეპოვება ამ ეთნონიმთა თუ ქალაქის (ოძრხე) ოდნავ სახეშეცვლილი ფორმები, რომლებიც ახლოს დგანან ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენიებულ სახელწო-დების ფუძესთან: ოძრხოს, ოძროსოს, ოძრახოს, ოზრსოს, ოძრახე[61] (ამ სახითვე ხმარობდნენ „სწავლული კაცები"

---

[58] გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს... გვ. 382; შეადარეთ მისივე: К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 115, 223.

[59] გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 53.

[60] გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს... გვ. 376.

[61] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9, ტექსტი და შენიშვნები.

და ვასუშტი ბატონიშვილი), ოზრიხოს,[62] „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანს გააჩნია სხვა სახეუსძრხე.[63]

ამ ქართველური ტომის ქართული და უცხოური სახელწოდებების ურთიერთშეჯერება გვაძლევს საფუძველს, რომ ეთნონიმში გამოიყოს თავსართები: ურარტულში-ული(ვი,ო), ბერძნულ-რომაულში-ვი, ბი, ხოლო ქართულში-ო.[64] ამიტომ უეჭველია, რომ ამ სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტებში პრეფიქსები უი-ო-ვი-ბი ერთმანეთის იდენტურნი უნდა იყვნენ. მით უმეტეს, რომ ჩვენ ქართულში გვაქვს სხვა ტოპონიმიკური სახელები „ო“ თავსართით შემოსილი (ო-ჩხამური, ო-ჩამჩირე, ო-ნტოფო, ო-კენიტი, ო-ზურგეთი). თუ „ოძრხე“-ში გვაქვს ტოპონიმიკური პრეფიქსი „ო“, ამიტომ უეჭველია უიტერუხ-ვიზარ-ბიძერშიც „ული,“ „ვი“ და „ბი“ ასეთივე მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან აღნიშნული თავსართების მოხსნის შემდეგ, ამ ტომის სახელწოდებები საერთო ფუძეზე დადის. „ო“ მეგრულ-ჭანური ტოპონიმების მაწარმოებელი თავსართია, რომელიც ქართული „ა“ თავსართის საადარია. ამ ტომის სახელწოდების ურარტულ ვარიანტს თავსართი „უ“ ან „ული“ უნდა მოეცა ურარტულში, „ო“ ნიშნის უქონლობით. ეს უკანასკნელი ურარტულში სწორედ „უ“-თი გადმოიცემოდა (შეადარე: კოლხა-კულხა, ოლთისი-ულთუბა). ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელწოდებაში „ო“ „უ“-ს ტოლია ან ამ შემთხვევაში „ო“ გადმოცემულია „ული“ ბგერათა კომპლექსით, ხოლო „ული“ ქართველურ ენებში იგივეა, რაც „ვი“ (როგორი ფორმითაც ხმარობენ გ. მელიქიშვილი, პ. უშაკოვი). როგორც ჩანს, „ული“ ან „ვი“ ფორმა ბერძნულში გადმოიცემა „ბი“ ფორმით (შეადარე: ივერია-იბერია, თოვილი-თობელი, ვიწე(რ)-ბიძერ,

---

[62] მარიამისეული რედაქციის ცნობა. იხ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 13, სქოლიო.

[63] იქვე, გვ. 24, 34.

[64] ს. გოგიტიძე. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი, გვ. 120-130.

თელავი-თელება). ანტიკური წყაროების ბიზერები შეიძ-ლება წაკითხულ იქნას ვიზერების ფორმითაც, რის გათვალისწინებით ს. ჯანაშია ბიზერ-ვიზერების კავშირს ხედავს დაბა ვიზერას სახელთან.[65]

ქართულში „ვე"(„ვი") თავსართი „მა" („მო") თავსართის შესატყვისიცაა.[66] დასაშვებია „ვ"-ს და „მ"-ს შენაცვლებაც (მაგ. კემალი-კიევილი, ვიწრო-მიწრო).[67] ხშირია „უ"-ს და „ვი"-ს შენაცვლების ფაქტებიც.[68] შესაძლებელია თავდაპირველი ფორმიდან „ვ" თავსართის გაქრობა[69] (შეადარე: ვიძერ-ბუქსერ-უ(ნ)ძრხე-უიტერუხი, ვურუნი-ურუნი). ასევე გვაქვს თავკიდური „ვა" და „ბუ" შენაცვლების ფაქტები[70] (მაგ. ვიძერ-ბუქსერ, ვაჩინა-ბუჩინა, ვოჩი-ბოჩი). კავკასიურ ენებში თავსართად უი დასაშვებია (მაგ. უისტიხი-სტიხი), ასევე „უ"-ს და „ვა"(„ვი") მონაცვლეობა და „ე"-ს გაქრობა.[71] საერთოდ კი, შესაძლებელია ასეთივე მონაცვლეობა ო-უ-ა-სა და უე-ა-ვე-ს შორის (მაგ. მოზუერი-მაზვერი-მუზარი-მოზარი).[72] დასაშვებია „ო"-ს და „უ"-ს ქართულშიც მონაცვლეობა ვი-ვე-ვა-სთან,[73] ისევე როგორც ი>ვი>უ, ა>ვა>ო, ე>ვე>ო მონაცვლეობა.[74] საატომო სახელწოდებაში ვიზერი-ბიძერი-

---

[65] ს. ჯანაშია. შრომები, II, თბ., 1952, გვ. 94.

[66] ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ., X, თბ., 1992, გვ. 204.

[67] იქვე, გვ. 222; ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 298.

[68] ივ. ჯავახიშვილი. ტ. X. გვ. 208.

[69] იქვე, გვ. 210.

[70] იქვე.

[71] იქვე, გვ. 231.

[72] იქვე, გვ. 194.

[73] გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 94; ბ. ჯორბენაძე. დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები.-ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 231.

[74] იქვე, გვ. 94; იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ., 1988, გვ. 80.

გამოყოფილი ე(ი) და ბ(ი) შეიძლება კლასიკურ პრეფიქსად მივიჩნიოთ (შეადარ: ბაკს-ვაკს-იაკს).[75]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასაშვებია ბიძერის ფორმა მიძერი, როგორც ცნობილია „ბ“ მომდინარეობს პირველადი „მ“-საგან[76] (მაგ. მატიუმი||მენტე - ბათუსი||ბათუმი,[77] ბიძერი-მაჭარელი||აჭარელი, ბიძარ-მიძარ, მრუდე-ბრუდე, მჯა-ბრჯა,[78] მინდა-ბენდი.[79] იქნებ ბერძნებმა ჭარების ტომის სახელი ჭანებისაგან შეითვისა; ჭანურში გვაქვს თავსართი „ბო“ (ვარ. ბი||ბუ).[80] დასაშვებია თავსართ „ბი“-ს გაქრობა (მაგ ბიჟინა-ჟინალ).[81] შესაძლებელია „ბი“ გაქრობის შემდეგ შეენაცვლა „ა“ ტოპონიმიკური პრეფიქსი
(შეადარე: კინასი-აკინასი, ფსარე-აფსაროსი). როგორც ცნობილია აჭარაში გამოყოფილი „ა“ პრეფიქსი საერთო ქართველური ფუძე ენის კუთვნილებაა.[82] „ა“ წინსართი აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით (მაგ. აფრინდა, ასტა).[83] „ა“ სუფიქსიანი ტოპონიმები მრავლადაა საკუთრივ აჭარაშიც: ონაგირა, ბოსტანა, ასორა, ველა, პერანგა, ობოლა, გძელა და სხვა.[84]

---

[75] Р. Плиев. Хранитель таин-язык, М., 1997, с. 13.

[76] ბ. ჯორბენაძე. დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები, გვ. 237; მისივე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 298.

[77] ს. გოგიტიძე. ევსები კესარიელის ერთი ცნობის შესახებ, გაზ. „ბათუმი“, 1998, 28 თებერვალი.

[78] ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 14.

[79] ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, II, გვ. 78.

[80] ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. X, გვ. 194.

[81] იქვე, გვ. 210.

[82] ა. ონიანი. მართლაც, როგორ ვიბრძვით სიმართლისათვის, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, 28 აგვისტო.

[83] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 11.

[84] გ. დიასამიძე. ტოპონიმთა ენობრივი თავისებურებანი.-სსეს, ბათ., 1978, გვ. 134.

ახლა ფუძის შესახებ. ამ სატომო სახელწოდების ფუძე ყველა წყაროების გათვალისწინებით ასეთია: ტერ, ტირ, ძერ, ქსერ, ზირ, ზარ. ბიძერების ტომის აღმნიშვნელი სახელის ფუძის პირველი ბგერა გადმოცემულია სხვადასხვა ბგერით, თუ ბგერათა კომპლექსით, ტ-ძ-ქს-ზ, რომელიც უეჭველია, რომელიღაც ქართული ბგერის შემცველელი უნდა იყოს. საინტერესოა, რომელი ქართული ბგერის გადმოცემა სურდათ ურარტულ და ძველ ბერძნულ-რომაულ წყაროებს აღნიშნული ბგერებით? ხომ არ გვაქვს მსგავსი შემოსვევა სხვა ქართული სატომო სახელწოდების გადმოცემისას და თუ გვაქვს ქართულის რა ბგერას გამოხატავენ ისინი?

ერთ-ერთი ქართველური ტომის - „ჭანის" სახელ-წოდება ბერძნულ-რომაულში გადმოიცემოდა როგორც „სანი"[85] (ვარიანტი ზანი), ან იგივე „ჭანი" გადმოიცემოდა, როგორც თიანიკე,[86] ტძანოი,[87] ტოანები.[88] უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ანტიკური წყაროები ჭოროხის სათავეების საპირეთით მდებარე ერთ-ერთ ოლქს, რომელიც ძვ. წ. 189 წელს მიუტაციათ სომხებს მოსინიკებისაგან ეძახიან დერძანის, დერზენას ან ქსერქსენას. ამ სახელწოდების ადგილობრივი ფორმა იყო დერჭანი.[89] სწორედ ასეთივე შენაცვლება ე.ი. ადგილობრივი „ჭ" გადმოიცემა ბერძნულ-რომაულში ძ-ზ-ქს-ეთი გვაქვს აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვარიანტულ სახელებშიც (შეადარე: დერ-ძ-ანი - დერ-ზ-ენა - ქსერ-ქს-ენა, ბი-ძ-ერ - ვი-ზ-არ - ბუ-ქს-ერ).

შამასადამე, ბერძნულ-რომაულში გვქონია ქართული „ჭ"-ს შენაცვლების ფორმები „ძ", „ზ", „ქს"-ბგერათა თუ ბგერათა კომპლექსის სახით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ

---

[85] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 146.

[86] В. В. Латышев. Ск. - ВДИ, 1948, №4, с. 288.

[87] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს... გვ. 99-100.

[88] ВДИ, 1948, №1, с. 251.

[89] გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985, გვ. 94.

ბერძენი მწერლები სომხური ენის „ჭ“ მათ ენაში გადაჰქონდათ „ძ“ აფრიკატით.[90] ამიტომ უეჭველია, ურარტულ და ბერძნულ-რომაული წყაროების უიტერუს-ბიძერების ტომის ფუძე ტერ-ძერ-ზარ-ქსერ წაკითხულ უნდა იქნას, როგორც ჭერ, ჭარ (რ. გორდეზიანმა გამოარკვია, რომ ა და ე ბგერების მონაცვლეობა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია: ჭერ-ჭარ, ცერ-ცარ),[91] რომელზედაც შემდეგ ა-პრეფიქსისა და ა-სუფიქსის დართვით[92] წარმოიქმნება გეოგრაფიული სახელწოდება (ქვეყნის სახელი) - „აჭარა.“ ნიშანდობლივია, რომ ძველ დროში ურარტული უიტერუხის, ბერძნულ-რომაული ბიძერების (ვიზარები), მეგრული ოძეროხის გვერდით უნდა ყოფილიყო ამ ტომის ქართული სახელწოდება „ჭარ“-„ჭარები,“ მათი ქვეყნის ერთი ნაწილი მოგვიანებით (ძვ. წ. III-I ს.) იწოდებოდა „აჭარად.“ ამ დროის აჭარა რამდენიმე მცირე ხევის გაერთიანებას წარმოადგენდა. ჰ. უშაკოვი და ჰ.ინგოროყვა ურარტულ ბერძნული წყაროების უიტერუხ-ბიძერებსკითხულობდნენ როგორც Вицерухи-ბიწერების (ბ3წერნი) სახით.[93] ამ შემთხვევაშიც კი, ჩვენ ვერ ეხედავთ დაბრკოლებას „წ“-ს „ჭ“-ად გადაქცევაში, რადგან ს. ჯანაშიას გამოკვლევით, „წ“ მეორეულ მოვლენად და „ჭ“-ს განვითარებად არის მიჩნეული. ჩვენ გვაქვს საგომო სახელწოდება „წანი“ (ჩრდ.

---

[90] იქვე.

[91] რ. გორდეზიანი. წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 32, იხილეთ აგრეთვე ტაბულა გვ. 125; ქართულ წეროს ზანური ჭარო||ჭარ შეესატყვისება (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVII, თბ., 1988, გვ. 60).

[92] სახელწოდება „აჭარა“-მი ა-პრეფიქსსა და ა-სუფიქსს გამოყოფენ: ი. სიხარულიძე. ტოპონიმიკა, I, გვ. 144; თ. მიბჩუანი. სვანი და სვანეთი ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის.- სქაუქტ, გვ. 467; თ. გამყრელიძე. ძველი კოლხეთის საგომო სახელთა ისტორიიდან.- სქაუქტ, გვ. 587, სქოლიო 14.

[93] ჰ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 202, სქოლიო 1 ა; П. Н. Ушаков. К походам урартийцев в Закавказье IX и VIII вв. до н.э. - ВДИ, 1946, №2, с. 32, 35, 36, 37, 38.

კოლხეთში), მაგრამ ამავე დროს გვაქვს „ჭანი“ (სამხრ. კოლხეთში) ერთი და იმავე ტომის აღსანიშნავად.[94] მისივე მტკიცებით, შესაძლებელია „ჭ“ და „წ“ შენაცვლება;[95] ან როცა ქართული „ჭ“ მეგრულში „წ“-ს აძლევა,[96] ან პირიქით, ქართულ „წერ“ ძირს ეანონზომიერად შეეტყვისება მეგრული და ლაზური „ჭარ“ ზმნურ ფორმებში.[97]

ქართველურ ენებში მოგვეპოვება „ტ“-„ძ“-„ზ“ ერთმანეთთან შენაცვლების მაგალითები:[98] ნეზუი-ძუვი-ძუ,[99] ოძრხე-ოზრიხოს,[100] სამძიარი-სამზიარი, ზროხა-ძროხა. ქართულში დასაშვებია „ტ“, „წ“ და „ჭ“ მონაცვლეობა,[101] მაგ: პიტვი-ფიჭვი, ფიტი-ფიჭი, ხვეტა-ხვეჭა, წმახე-ჭმახე, ხიწვი-ხიჭვი,[102] მწყერი-ჭყორ. რაც მთავარია ქართულში გვაქვს „ჭ“ და „ძ“ (მაგ. ძენძეხი-ჭენჭეხი) მონაცვლეობა და „ზ“ და „ტ“ მაგიერ „წ“ ხმარება.[103]

ჭართა ტომის განსახლების არეალში „ჭ“ ძირისაგან ნაწარმოები ტოპონიმები, ჰიდრონიმები და ორონიმები მრავლად მოგვეპოვება (მაგ: ქვეყანა აჭარა, მთა აჭარა, აჭარის მთები, მდ. აჭარისწყალი, სოფ. დიდ-აჭარა, ხეობა მაჭახელა, მდ. მაჭახლისწყალი, სოფ. მაჭახლისპირი, სოფ. ჭარნალი, მთა ჭირუხი, მთა ჭარალი, მთა მაჭარელათი, სოფ. აჭი (ქვემო და ზემო) მდ. აჭისწყალი, სოფ. ჭურიეთი,

---

[94] ს. ჯანაშია, შრომები, III, გვ. 29.

[95] იქვე, გვ. 32, სქოლიო 1, 2.

[96] იქვე, გვ. 18.

[97] პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 29, 400-461.

[98] ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980, გვ. 22; ს. ჯანაშია. შრომები, II, გვ. 92.

[99] ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. X, გვ. 194.

[100] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 9.

[101] ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. X, გვ. 402; რ. გორდეზიანი. წინაბერძნული და ქართველური, გვ. 124.

[102] ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, გვ. 105.

[103] იქვე, გვ. 440, 444, 456.

მდ. ჭურიეთღელე, მდ. ჭოროხი, სოფ. ჭახათი და ა.შ.), განსხვავებით საქართველოს სხვა ისტორიული ოლქებისაგან. იქნებ ბიძერების მეზობელ ტომებს „ჭ“ ბგერა არ გააჩნდათ და ამის გამო ხმარობდნენ „ტ“-„ძ“-„ზ“-ს ან რომელიმე მათგანს. თუ გავითვალისწინებთ ზემო აღნიშნულ კვლევის შედეგებს შესაძლებლად მიგვაჩნია ვიზარებისა და ბიძერების გვერდით, ამ ტომის ქვეყნის აღსანიშნავად ტერმინის-აჭარა (აჭერი) არსებობაც. არ გამოვრიცხავთ, რომ სახელწოდება „აჭარა“ ადგილობრივი ფორმა, ვიზარ-ბიძერი კი რომელიმე მეზობელი ტომის მიერ შერქმეული იყოს და ამ ფორმითვე გადაიღეს ბერძნებმა. არც ისაა გამორიცხული, რომ ვიზარ||ბიძერი ოძარი||აჭარის ბერძნულ-რომაულ ფორმად მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში ბიძერი აჭარის ტრანსფორმირებული სახე უნდა იყოს.

საინტერესოა, გვაქვს თუ არა ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ისეთი მონაცემები, როცა ამავე სატომო სახელწოდებაში ო-ვი-ბი პრეფიქსების ნაცვლად „ა“ პრეფიქსია წარმოდგენილი, ხოლო იგივე სატომო სახელწოდება გვაქვს ყოველგვარი პრეფიქსის გარეშე, ე.ი. ფუძეს ტერ (ძერ, ზარ, ზირ) მოეპოვება პარალელები. ამ მიმართულებით მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბერძნულ-რომაულ მწერლობაში დაცულმა სატომო სახელწოდებებმა „ამპრევიტმა“ და „ზიდრიტმა,“ რომლებიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ ჭოროხის შესართავის რაიონში მოსახლეობდნენ. პირველს მოიხსენიებს მხოლოდ პლინიუს უფროსი, რომელიც ახ. წ. 78 წელს მოვიდა აფსარის ციხე-ქალაქთან, ხოლო მეორეს-არიანე (რომელიც იმავე ციხე-ქალაქთან 131 წელს მოვიდა) და ამ უკანასკნელის ცნობებზე დაყრდნობით, ანონიმი V საუკუნისა.

სტრაბონის (გარდ. ახ. წ. 24 წ. სავარაუდოა, რომ ის ყოფილა კოლხეთში), ცნობით პონტოს ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ ცხოვრობდნენ ტომები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ შემდეგი მიმდევრობით -

ჰენიოხები, ბიძერები და ლაზები.[104] საინტერესოა, რომ პლინიუსი და არიანე, რომლებიც ახლო დროს ცხოვრობდნენ სტრაბონის ეპოქასთან (სტრაბონის გარდაცვალებიდან 6 ათეული წლის შემდეგ პლინიუსი, ხოლო არიანე პლინიუსიდან 5 ათეული წლის შემდეგ). იმავე მიდამოებში მცხოვრებ ტომთა სიას ასეთი სახე აქვს:

ჰენიოხები-ამპრევეტები-ლაზები[105] (პლინიუსი);

ჰენიოხები-ზიდრიტები-ლაზები[106] (არიანე).

პლინიუსისა და არიანეს მონაცემებს თუ შევადარებთ სტრაბონის ცნობებს, დავინახავთ, რომ სამივე შემთხვევაში იცვლება ჰენიოხებსა და ლაზებს შორის დასახელებული ტომის სახელწოდება. სტრაბონისა და სხვათა „ბიძერებსა," თუ მის ვარიანტულ „ვიზერ"-„ბიზარებს," ცვლიან პლინიუსის „ამპრევიტი" და არიანეს „ზიდრიტი."[107] თუ ჩვენ ბიძერ-ამპრევიტ-ზიდრიტს ერთმანეთისაგან-განვასხვავებთ, მაშინ დაახლოებით რაღაც ერთი საუკუნის მანძილზე ჭოროხის შესართავის რაიონში გვექნება ტომთა მოსვლა-წასვლის ორჯერადი შენაცვლება. ე.ი. ბიძერები უნდა შეცვალონ ამპრევეტებმა, ესენი კი ზიდრიტებმა. პირველ შემთხვევაში საინტერესო იქნება სად წავიდნენ ბიძერები

---

[104] სტრაბონის ცნობით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სხვა ტომების გვერდით ცხოვრობდნენ ბიძერები. მათ საცხოვრისზე გარკვეულად მიუთითებს დიონისიოსი (ახ. წ. II ს.). მისი ცნობით, კოლხების შემდეგ, სამხრეთისაკენ პირველად ბიძერები ბინადრობენ (ВДИ, 1948, №1, с. 241). მართალია სტრაბონი და დიონისიოსი ასეთ რიგს (ჰენიოხები-ბიძერები-ლაზები) არ ასახელებენ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ V ს. ბერძენი ანონიმის ცნობებს („არქაბედან ოფიუნტამდე ძველად მოსახლეობდნენ ეკხირიელები, ახლა მაქერონები და ჰენიოხები" და კოლხები არიან „ახლა ლაზებად სახეშეცვლილი" (ВДИ, 1948, №4, с. 298, 230), მაშინ ამ მწერალთა მონაცემები ემთხვევა პლინიუსისა და არიანეს მონაცემებს ჰენიოხების, ბიძერებისა და ლაზების განსახლების შესახებ.

[105] თ. ყაუხჩიშვილი. არისტოტელეს ზოგიერთი ცნობისათვის. - ქწა., VI, თბ., 1968, გვ. 11.

[106] В. В. Латышев. СК. - ВДИ, 1948, №1, с. 270.

[107] ს. ფოფიტიძე. ერის წარსულის ანარეკლები, გაზ. „მეცნიერება", 1992, 10 სექტემბერი.

და თუ მართლა მათი მიწა-წყალი ამპრევეტებმა დაიჭირეს, საიდან მოვიდნენ თვით ეს უკანასკნელნი, ხოლო მეორე შემთხვევაში-სად წავიდნენ ამპრევეტები და საიდან მოვიდნენ ზიდრიტები. ამიტომ ბიძერების დაკავშირება ბერძნებთან (მ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი),[108] ხოლო ზიდრიტებისა ზიგებთან (ზიკხებთან, ჯიქებთან-ხ. ბღაება, ი. სიხარულიძე) მიუღებელი უნდა იყოს. ბიძერები (ბიზერები), ამპრევეტები და ზიდრიტები (ძიდრიტები) უნდა იყოს ერთი და იმავე ტომის სახელწოდების ვარიანტული სახესხვაობა და სამივე უნდა უკავშირდებოდეს სატომო სახელწოდება „ჭარ"-ებს და გეოგრაფიულ სახლწოდება „აჭარა"-ს. ამპრევეტში ჩვენ ვხედავთ ეთნონიმ აჭარების დამახინჯებას. რადგან ძველმა ბერძნულმა არ იცის ბგერა „ჭ", ამიტომ მისი გამოთქმა გაუჭირდებოდა პლინიუსის ინფორმატორს (სავარაუდოა, რომ იგი იყო აფსარის ციხეში მყოფი რომაელი ჯარისკაცი) და ეს სახელწოდება პლინიუსამდე სახეშეცვლილად მივიდა, ხოლო, როგორც ჩანს, თვით პლინიუსმაც, მისი გაგებისდა მიხედვით, მოგვცა აჭარების სახელწოდება ამპრევეტების სახით. თუ ბგერა „ჭ" გაუგებრობის ნიადაგზე დამახინჯდა ან გადმოგვცა „მპ" კომპლექსით და „ბ", რომელიც ახლოა „ვტ"-სთან, მაშინ „ამპრევეტი" გაუთანაბრდება „აჭარებს": ამპრევეტი-აჭ(ა)რები. ამპრევეტები, რომ იგივე ბი-ძერ-ები (ო-ძ(ე)რ-ოხი) არიან, ამასთან თვით პლინიუსის შრომაში მოყვანილი ცნობებიც ადასტურებენ. იგი ძველი წყაროების საფუძველზე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასახელებს „ბუქსერებს."[109] გ. მელიქიშვილის აზრით, ესენი იგივე ბიძერები არიან.[110] ხოლო პლინიუსის თანადროული ცნობების მიხედვით ჭოროხის შესართავის მახლობელ

---

[108] გ. მელიქიშვილი. ბიძერების მეგრულ-ჭანურობაზეც მიუთითებდა (გ. მელიქიშვილი. აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, მოამბე, სმაო, 1963, №3, გვ. 98.

[109] М. П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, с. 86. სქოლიო 140, იმოწმებს Plin., Nat. Hist., VI, 11.

[110] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, с. 81. სქოლიო 83.

რაიონებში განსასლებულ ტომთა შორის ბიძერები არ მოიხსენიება, ასახელებს „ამპრევეტებს."[111] ასევე ითქმის არიანეს ზიდრიტებზეც. თუ ჩვენ ამ ტომის სახელში სუფიქს „ტი"-ს ბერძნულ ფორმად (ჰესპერი-ტი, ტრაპეზუნ-ტი, აფსარუნ-ტი...) მივიჩნევთ, მაშინ ამ ტომის აღმნიშვნელი სახელის ფუძედ „ზიდრი" დაგვრჩება, რომელიც ახლოს დგას ბიძერების ვარიანტულ „ბიზირის" ფუძე „ზირი"-სთან, რომელიც ამიანუს მარცელინუსის „ზარ"-ისა და ქართული „ჭარ"-ის შესატყვისია. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ არიანეს „ზიდრიტში" ბგერა „დ" დამახინჯების შედეგად მოხდა. ბიძერები (ბი-ზირ-ები), რომ იგივე ზი(დ)რიტ-ები არიან, ამას თითქოს V საუკუნის ბერძენი ანონიმის ცნობაც ადასტურებს. კერძოდ, მისი სიტყვით აფსაროსსა და არქაბეს შორის წინათ ცხოვრობდნენ ბიძერები, ახლა ზიდრიტები.[112] როგორც აღვნიშნეთ, ამ ტერიტორიაზე ტომთა მოძრაობის ფაქტი არ დასტურდება. ამიტომ ეს ორი სახელწოდება ერთი და იმავე ტომის სახელის ვარიანტები უნდა იყოს. ფსევდოარიანე არ დაკვირვებია ამ ეთნონიმს, არ შეუდარებია ისინი ერთმანეთთან. მან უბრალოდ ბი-ზირ-ები და ზი(დ)რ-იტ-ები სხვადასხვა ტომად მიიჩნია. ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ არიანეს ზიდრიტები შეეტყვისება პლინიუსის ამპრევეტებს, ოღონდ რეალური ურთიერთობის გარკვევა, ზიდრიტ-ამპრევეტებს შორის მომავლის საქმედ მიაჩნდა.[113] დ. ხახუტაიშვილი საკანდიდატო დისერტაციაში ბიძერებისა და ზიდრიტების ერთიანობაზე მიუთითებს. მოგვიანებით ზიდრიტების სახელს დაფარული ჰქონია ბიზერების სახელი, რომელიც ამ ტომის ერთ-ერთი თემი უნდა ყოფილიყო.[114] შ. ვარშანიძე 1990 წელს გამოცემულ

---

[111] Plin., Nat. Hist., VI, 12. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, თბ., 1969, გვ. 12.

[112] В. В. Латышев. СК. - ВДИ, 1948, №4, с. 228.

[113] ს. ჯანაშია. შრომები, III, გვ. 23, სქოლიო 1.

[114] დ. ხახუტაიშვილი. მავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით, ძვ. წ. VI -ახ. წ. IV სს., საკანდიდატო დისერტაცია, 1954, გვ. 39, 57.

თავის ნაშრომში აღნიშნავდა რომ, „არიანესთან დაცული სახელწოდება „ძიდრიტები“ - „ადრინდელი „ძარიტები“-ს, თუ „ჭარიტები“-ს ფორმანაცვალი, ან დამახინჯებული სახელია.[115] იგი ძიდრიტ და ჭარიტ ეპონიმებს შორის გენეტიკურ კავშირს ხედავდა (ძიდრიტ-ძარიტ-ჭარიტ-აჭარლები).[116] შ. ვარშანიძე ფიქრობდა, რომ „ძიდრიტ“ და „ბიძერ“ ფორმები არც ფონეტიკურად და არც ლოგიკურად ტოლი არ შეიძლება იყოს. თუმცა V საუკუნის ბერძენი ანონიმის ცნობაში (აფსარიდან არქაბემდე წინათ ბიძერები, ახლა კი ძიდრიტები ცხოვრობდნენ) ძიდრიტებსა და ბიძერებს შორის ტოლობის ნიშანი ჩანს.[117] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) „ზადრის“-იც ზიდრიტების სახელს უკავშირდება. ამ საკითხის თაობაზე ჯერ კიდევ 1957 წელს ნ. ლომოური წერდა: ზადრის, არ გვხვდება სხვა წყაროებში ამიტომ მისი ლოკალიზაცია ძალიან გაძნელებულია, ჩვენ იძულებული ვართ ეს საკითხი გადაუწყეეტელი დავტოვოთ. აღვნიშნავთ, მხოლოდ იმას, - წერდა მკვლევარი, - რომ გამოცემის („Scythica et Caucasica“) კომენტარით, სახელი „ზადრის“ უნდა გაიგივდეს საკომო სახელ „ზიდრიტთან, რომელსაც ასახელებს არიანე.[118] ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში ნ. ლომოურმა ძადრისი ქალაქის თუ სოფლის სახელად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ძადრისის ადგილმდებარეობის მოძებნა არ ხერხდება.[119] თუმცა პტოლემაიოსის მონაცემების მიხედვით შედგენილ რუკაზე ძადრისი, სამართლიანად, სადღაც

---

[115] შ. ვარშანიძე. აჭარა ანტიკური ხანიდან ერთიანი მონარქიის შექმნამდე, გვ. 42.

[116] იქვე.

[117] იქვე, გვ. 43.

[118] Н. Ю. Ломоури. Из исторической географии древней Колхиды. - ВДИ, 1957, №4, с. 110.

[119] ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ.-მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ, 45, 57, განმარტება №21.

ოძრხეს მახლობლად მოათავსა.[120] ვ. ლატიშევი (იმოწმებს Mannert-ს) მიუთითებს, რომ ძადრისი მდებარეობს რიონის ზემო დინებაში.[121]

ამრიგად, ურარტული წყაროების ეთნონიმ უიტერუს-უიტირუხ'ში უნდა გამოიყოს „უი" პრეფიქსი, რომელიც მეგრული „ო" და ქართული „ა" ტოპონიმიკური პრეფიქსის ტოლია. „უხი" ხური-ურარტული სუფიქსია. ამ სახელწოდებაში გამოიყოფა ფუძე ტერ-ტირ, რომელიც მსგავსია ბერძნულ-რომაულ წყაროებში დაცული ამავე ტომის სახელწოდების (დი-ძერ-ები, ბი-ძერ-ები, ბუ-ქსერ-ები, ბი-ზერ-ები, ვი-ზირ-ები, ვი-ზარ-ები, ა-მპ(ა)რ-ევტი, ზი-(დ)რ-იტი, ზა(დ)რ-ის, ძი(დ)რ-იტის) ფუძის ვარიანტებისა ძერ-ქსერ-ზირ-ზარ-ისა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, იგივეა, რაც ქართული „ჭერ-ჭარ." სწორედ ამ სატომო სახელწოდებიდან (ზარ-ძარ-ჭარ) უნდა იყოს წარმომდგარი სახელი ძირძველი იბერიული პროვინციისა „აჭარისა" („ა"-„ა" პრეფიქს-სუფიქსის დართვით). სხვა საკითხავია სატომო სახელ „ჭარების" წარმომავლობა. იგი, როგორც ჩანს, „ჭ" ძირად და „არ" სუფიქსად უნდა დაიშალოს. შესაძლებელია „ჭ" ელემენტი „წყალს," ან „ხევს," „ღრმულს" უკავშირდებოდეს.

---

[120] იქვე, გვ. 62

[121] Клавдий птоломей. Географическое руководство. - ВДИ, 1948, №2, с. 251.

С. Д. Гогитидзе
о происхождении населения на территории Аджарии.

Анотация

В работе рассмотрены некоторые узловые вопросы древней истории Аджарии, в частности, о происхождении и этнической принадлежности местного населения, а также этимология названия «Ачара». В монографии проанализированны все письменные памятники по данным вопросам; Учтены воззрения существующие в научной литературе. Поставлен вопрос с тем, входила ли Аджария в ареал расселения племен чанов, лазов и других, также взаимосвязи племенных названий – уитерухи, бидзеры и зидриты, и их связь с термином «Ачара». Сделанная попытка семантического прояснения древнейших топонимов, гидронимов и оронимов на территории Аджарии, что должно представять собой основу для восстановления картины этнического происхождения предков аджарцев (ви-дзар-эби||чар-эби).

Gogitidze S. D.
The problem of parentage of the tribe resided on the territory of Adjara in the antiquty

summary

This publication is devoted to some key questions of the ancient history of Adjara, in particular, the parentage of the tribe resided here, it's ethnic descent and the investigation of the etimology of the termin "Adjara" itself. In the monograph is analysed all the written data connected with the question and is taken into consideration all the standpoints. In the publication is stated the question whether Adjara was a part of "Chans", "Lazs" and the other tribes residence area. It is also discussed the interrelation of the tribal names "Viterukhi", "Bitheri" and "thidriti" and there is an attemt to propose, the elicidation of the semantics of the ancient toponimies, hydronymies, oronymics located on the territory of Adjara, that must be the basis for restoration of the ethnical origination of Adjarians descends (vi-thar-ebi II thar-ebi).

შემოკლებანი

ადდლ - აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა.
ასმშ - აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები.
ბსკი - ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
ბსუ - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
მსკი - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.
სდსაძ - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები.
სდსყკ - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა.
სდსძ - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები.
სიგკ - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.
სინ - საქართველოს ისტორიის ნარკვევები.
სსეს - სამხრეთ საქართველოსა და ეთნოგრაფიის საკითხები, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი.
სქაუქტ - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია.
ქწა - ქართული წყაროთმცოდნეობა.
ქმკძა - ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში.
ძასიქ - ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია.

ВДИ – Вестник древней истории.
ЗКОИРГО – Записки Кавказского отделения имп. Русского географического общества, к. 16, ТФ., 1894, с. 2-3.
МАК- материалы археологии Кавказа.
СК – Известия древных писателей о Скифии и Кавказе.
УКН – Урартские клинообразные надписи.

სარჩევი

შესავალი	3
აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობისა და ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის	4
აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხისათვის	110
ანოტაცია რუსულ ენაზე	137
ანოტაცია ინგლისურ ენაზე	138
შემოკლებანი	139
რუკები:	
აჭარის ტერიტორია ძველაღმოსავლურ ხანაში	18
ბარბიეს მიერ შედგენილი რუკა	19
აჭარის ტერიტორია ძვ.წ. VI-I სს.	41
აჭარის ტერიტორია ახ.წ. I-VI სს.	42

რედაქტორი: ამირან კახიძე

ტექნიკური რედაქტორი: ედუარდ ანანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
რამაზ ქოქოლაძე, ნონა ცაბაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.04.2002

ქაღალდის ზომა: 60X84 1/16

ტირაჟი 150

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდო შ.პ.ს. „გამას“ სტამბაში
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის 2